საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№33 (268)
17 - 23 სექტემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## რა ესიზმრება ამერიკულ ჩონჩხს ქართულ კარადაში?
5

## საქართველო «მაიდანიზაციის» მოლოდინში
4



## თურქეთი არის რელიგიური ოკუპანტი
12



«რესპუბლიკური პარტია ხელს უწყობს თურქეთის ექსპანსიურ პოლიტიკას»

ანზორ მაისურაძე:
14

## მათი ჩანაფიქრით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოც ისე უნდა ამოიფრქვეს, როგორც უკრაინა ამოიფრქვა



კახა კახიშვილი:
9

## «ნაციონალებმა» კარგად იციან, — მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი საშუალება მაიდანია




## ცივი წყლის თავზე დასხმა — ლუციფერიანელთა რიტუალი
19

ივანიშვილის შეცდომა და ავლაბრის სასახლის შტურმი
6

«ნაცებს» ნამდვილად აქვთ მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა და ძლიერი სპეცსამსახურიც ჰყავთ!»
8

«ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ პიროვნებები, რომლებიც სათოფეზეც არ იყვნენ მასთან გასაკარებლები»
10

«დასავლეთმა ბრიყვული შეცდომა დაუშვა, როდესაც უკრაინისა და რუსეთის «ოჯახურ გარჩევებში» ჩაერია»
18

ევროპასთან ასოცირება მამათმავლობასთან ასოცირდება
20

ყველაფერი საკვები დანამატების შესახებ
28

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გაერო: აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად 3 171 ადამიანია დაღუპული



**გაეროს მონაცემებით, აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად 3 100-ზე მეტი ადამიანია დაღუპული. ამ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.**

„აღმოსავლეთ უკრაინაში, 11 სექტემბრის მონაცემებით, დაიღუპა 3 171 ადამიანი, მათ შორის, 27 ბავშვი. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაიჭრა 8 061 ადამიანი, მათგან 56 ბავშვი", — ნათქვამია გაეროს ანგარიშში.



### დავით ნარმანია:

## განიავებული ბიუჯეტი დაგვახვედრეს!

**დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" კრიტიკას უპასუხა.**

„ეს არის ყველაზე ცუდი ბიუჯეტი, რომელიც ოდესმე მინახავს. მათ დაგვახვედრეს განიავებული ბიუჯეტი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში, დაგვახვედრეს ბოლომდე გახარჯული ბიუჯეტი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ნაწილში. ჩვენ იძულებულები ვართ, ქამრები შემოვიჭიროთ. ადმინისტრაციული რესურსები დავზოგეთ, ტენდერებში არსებული ეკონომია გამოვიყენეთ სხვადასხვა აუცილებელი პროექტის განსახორციელებლად, რომლებიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. წლის ბოლომდე გვჭირდებოდა ფინანსური სახსრები ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამების, ამიტომაც სხვა მუხლებში არსებული თანხები აქეთ გადმოვიტანეთ. მათ არ ჰქონდათ გათვალისწინებული თანხები ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, წყალკანალიზაციისა და დიღომში ოლიმპიური ტერიტორიის კეთილმოსაწყობად, რაც ჩვენ გავწერეთ. ამ ყველაფრის გამო, გვიწევს გარედან რესურსების მოზიდვა, რათა მოვასწროთ ოლიმპიადის ჩატარება", — განაცხადა დავით ნარმანიამ.



### ბიძინა ივანიშვილი:

## მარგველაშვილმა «ნაცმოძრაობის» დალაგებული რეიტინგები აკენკა

**„აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევების შედეგები ბევრ კითხვას ბადებს," — განაცხადა ყოფილმა პრემიერმინისტრმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს" დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა.**

„ამ ინსტიტუტს ვაფასებ და პატივს ვცემ, მაგრამ კვლევების თემა ბევრ კითხვას ბადებს. ამ კვლევებს, თუ არ ვცდები, ცქიტიშვილი (გოჩა ცქიტიშვილი, კომპანია „აი პი ემ"-ის დამფუძნებელი) ატარებს, რომელიც, პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობის" წევრია. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის NDI-ის კვლევებში რეიტინგი იმიტომ გაეზარდა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" მოისურვა ასე...

ჩვენ პრეზიდენტ მარგველაშვილზე ვსაუბრობდით და ნახეთ, როგორ აკენკა „ნაციონალური მოძრაობის" დალაგებული რეიტინგები... პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, რომელიც აპირებს, მთავრობისა და პარლამენტის კონკურენტი იყოს, მშვენივრად ისარგებლა „ნაციონალური მოძრაობის", რომელიც ასევე მთავრობისა და პარლამენტის კონკურენტია, გადაგდებული რაღაც ჯილდოთი", — განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ მანაც და საზოგადოებამაც მშვენივრად იციან, ვინ ხატავს რეალურად ამ რეიტინგებს.



### ირაკლი ღარიბაშვილი:

## ურთიერთობების ამგვარ გაუარესებას ჩვენ, ისევე, როგორც ბატონი ბიძინა, არ ველოდით

**საქართველოს ყოფილი და მოქმედი პრემიერებისთვის მთავრობასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების გაუარესება მოულოდნელი აღმოჩნდა. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა 15 სექტემბერს განაცხადა.**

„რომ გითხრათ, ამ ამბავს ძალიან განვიცდი და ძალიან ბევრს ვფიქრობ-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, სამწუხაროა ის, რაც ხდება, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში ვიხილეთ. ურთიერთობების ამგვარ გაუარესებას ჩვენ, ისევე, როგორც ბატონი ბიძინა, არ ველოდით, მაგრამ, თუ ყველა თავის საქმეს გააკეთებს და ერთმანეთს ხელს არ შევუშლით, ყველაფერი დარეგულირდება. მჯერა, რომ პრეზიდენტიც, პარლამენტიც, მთავრობაც, სასამართლოც, მედიაც, რომელსაც აქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, თუ ჩვენ-ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნება. ერთმანეთის საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ, ეს ყველაზე მთავარია და, თუ ჩავერევით, მაშინ ხდება კონფლიქტი," — განაცხადა ღარიბაშვილმა.

## ლაშა ტუღუშს «ნაციონალურ მოძრაობასთან» კავშირში ადანაშაულებენ



**არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის" წარმომადგენელმა გურამ ადამაშვილმა განაცხადა, რომ ლაშა ტუღუში იმ ფონდიდან ფინანსდება, რომლის სათავეშიც „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები არიან.**

„ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში სამი დიდი წამყვანი ფონდის — USAID-ის, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა" და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უკან, რომლებიც ლობირებას უწევენ მათ მიერვე დაარსებულ ან უმეტეს შემთხვევაში გადაბირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დგანან „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები და ყოფილი მაღალჩინოსნები, კერძოდ: გიორგი ბარამიძე, დავით დარჩიაშვილი, თემურ იაკობაშვილი, კახა ბენდუქიძე, ლევან რამიშვილი და გია ნოდია. ამ დაფინანსებით 2007 წლიდან სარგებლობს გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორი და ფონდ „ლიბერალური აკადემიის" ხელმძღვანელი, ბატონი ლაშა ტუღუში. ფონდ **„ლიბერალურ აკადემიას"** დაარსების დღიდან ჰყავს 12 დონორი და პარტნიორი ორგანიზაცია, მათ შორის, USAID და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი". „ლიბერალურ აკადემიას" ზემოაღნიშნული ფონდების დაფინანსებით განხორციელებული აქვს პროექტი „პოლიტიკური ორატორების პლატფორმები", რომელიც ჩატარდა USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინ და პროექტი „მოდერნიზაცია საქართველოში", რომლის ფარგლებში მიმოხილულია „ვარდების რევოლუციის" გარდამავალი კურსი. შესაბამისად, რამდენად ობიექტურად შეიძლება მივიჩნიოთ ლაშა ტუღუშის განცხადებები, როდესაც ის ასეთ დაფინანსებას იღებს? მინდა, მოვუწოდო კოლეგებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხით, შექმნან საინიციატივო ჯგუფი, რომლის სახელითაც მოხდება პარლამენტში განცხადების შეტანა, რათა კანონის ფარგლებში შეიქმნას სპეციალური მიუკერძოებელი კომისია, რომელიც შეისწავლის მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხებს", — განაცხადა გურამ ადამაშვილმა.



## ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილ წევრს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს

**ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილ წევრ კობა ხარშილაძეს „გრინსერვისის" საქმეზე საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს, — განაცხადა ხარშილაძის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ.**

გამოძიება ხარშილაძეს ძველი თბილისის ყოფილ გამგებელ ლაშა ფურცხვანიძესთან ერთად უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ედავებოდა. ლაშა ფურცხვანიძესაც ასევე გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, თუმცა, მისგან განსხვავებით, ხარშილაძეს 2-წლიანი რეალური სასჯელი განესაზღვრა, ფურცხვანიძეს კი – პირობითი.

ხარშილაძეს კიდევ ერთი ბრალდება აქვს წაყენებული. მას გამოძიება სამსახურებრივი გულგრილობის გამოჩენას ედავება. ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმეში, როგორც ადვოკატი ამბობს, ამ ეპიზოდზე ბრალდებულს საპროცესო გარიგების შეთავაზება არ მიუღია. ექსპრემიერის გარდაცვალების საქმეზე წინასასამართლო სხდომა 22 სექტემბრისთვის არის დანიშნული.

## სახელმწიფო სტრატეგია მუსლიმი მესხების რეპატრიაციის შესახებ



**საქართველოს მთავრობამ მუსლიმი მესხების რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტში, რომლის სრული სახელწოდებაა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია", მოცემულია ზოგადი დებულებები, რომლებიც რეპატრიანტთა ღირსეულ დაბრუნებასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას ეხება. თუმცა ხელისუფლება ასევე აპირებს სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც უკვე კონკრეტულ მექანიზმებს, ქმედებებსა და პროცედურებს გაწერს.**

როგორც სტრატეგიაშია ნათქვამი, რეპატრიანთა ღირსეული დაბრუნება გულისხმობს რეპატრიანტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და მათ ახალ სამართლებრივ გარემოში ადაპტირებას. ამ მიზნით განსაზღვრულია რეპატრიანტთა საჭიროებების შესწავლა, რეგიონებში არსებული რესურსების იდენტიფიცირება, რეპატრიანტთა ინფორმირებულობა, აუცილებელი სამართლებრივი თუ საყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დროს რეპატრიანტთა მიერ პირადი დანიშნულების ნივთების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეღავათიან პირობებში გადმოტანის მიზნით შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება.

რაც შეეხება მუსლიმი მესხების ინტეგრაციის ხელშეწყობას, სტრატეგია მიუთითებს მუსლიმი მესხების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის აუცილებლობაზე.

**ცნობისთვის: 1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას საქართველომ აიღო ვალდებულება, 1944 წელს ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებიდან, ასევე, აჭარის ასსრ-დან გასახლებულ მოქალაქეთა დაბრუნების თაობაზე. რეპატრიანტის სტატუსის მიღების მსურველთა განაცხადებების მიღების ვადა 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა და სულ ქართულ მხარეს 5 841-მა სრულწლოვანმა აპლიკანტმა მიმართა. მათგან რეპატრიანტის სტატუსი 1 349-ს მიენიჭა.**

## ამერიკელების 60 პროცენტი ხელისუფლებას არ ენდობა

**საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცნობილმა ამერიკულმა ინსტიტუტმა გელაპმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციას კიდევ ერთი ქვა ესროლა. მოხსენებაში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა, მოყვანილია გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც გელაპის ინსტიტუტის ექსპერტები ასკვნიან, რომ „ფედერალური ხელისუფლებისადმი ამერიკელთა ასეთი დაბალი ნდობა არასოდეს აღნიშნულა“. ამასთანავე, უნდობლობის მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება.** გამოკითხვაში, რომელიც ჩატარდა 4-7 სექტემბერს, 50 შტატისა და კოლუმბიის ფედერალური ოლქის 1000-ზე მეტი მცხოვრები მონაწილეობდა. იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებსაც სჯერათ, რომ ფედერალურ ხელისუფლებას ძალუძს საგარეო პოლიტიკური პრობლემების მოგვარება, სარეკორდო ნიშნულამდე დაეცა და 43 პროცენტი შეადგინა.




ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოროშენკო, ობამა, რასმუსენი და ბაროზუ სამხედრო დამნაშავეებად ცნეს

**13 სექტემბერს ვენეციაში (იტალია) რასელის დამოუკიდებელი ტრიბუნალის სხდომა გაიმართა. რასელის ტრიბუნალი — ეს არის არაოფიციალური კერძო სასამართლო, რომელიც ინგლისელმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ ბერტრან რასელმა ფრანგ ფილოსოფოს ჟან-პოლ სარტრთან ერთად დააარსა 1967 წელს. ამ ტრიბუნალის ძირითადი მიზანი სამხედრო დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაა.**




რასელის ტრიბუნალმა, რომელშიც, პროფესიონალი იურისტების გარდა, ფილოსოფოსები, მწერლები და მეცნიერებიც მონაწილეობდნენ, დონბასის მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ბრალი დასდო უკრაინის პრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს**, ნატოს გენმდივან **ანდერს ფოგ რასმუსენს**, აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამასა** და ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე **მანუელ ბაროზუს**.

რასელის ტრიბუნალმა ეს ვერდიქტი გამოიტანა „საკუთარი ძალებით ჩატარებული გამოძიებისა და თვითმხილველების ჩვენებების საფუძველზე“.

ტრიბუნალის სხდომაზე საკითხების განხილვა საჯაროდ მიმდინარეობდა. შედეგად, ზემოაღნიშნულ პოლიტიკოსებს პირდაპირ უწოდეს „სამხედრო დამნაშავეები“.

**რასელის ტრიბუნალი თავის გადაწყვეტილებას გაუგზავნის ყველა დიდ საერთაშორისო ორგანიზაციას: გაეროს, ეუთოს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, აგრეთვე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს იმისათვის, რომ დაიწყოს ამ პოლიტიკოსების სისხლისსამართლებრივი დევნა.**

პროცესის ორგანიზატორების განცხადებით, ამ ნაბიჯით მათ სურთ, საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრონ დონბასში ჩადენილ დანაშაულებს, რომლებზეც დასავლური მედია არ ლაპარაკობს, რადგან ის მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირის მიერ გავრცელებული პრესრელიზების შინაარსს იმეორებს. ამასთანავე, ბევრმა ევროპელმა არაფერი იცის დონბასისა და იქ დატრიალებული ტრაგედიის მასშტაბების შესახებ.

ასეთი „კერძო ტრიბუნალი“ პირველად 1967 წელს გაიმართა ბერტრან რასელისა და ჟან-პოლ სარტრის ინიციატივით, რათა დაეგმოთ ვიეტნამში ჩადენილი სამხედრო დანაშაულები. შემდეგ ანალოგიური ტრიბუნალი მიეძღვნა ჩილეში, ერაყში, პალესტინასა და სხვა ქვეყნებში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებს. ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ აქვს იურიდიული ძალა, მაგრამ აქვს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ბერკეტები.



## რენდ პოლი: ობამა ასუსტებს ამერიკას!

**„ფართო დისკუსია უნდა გავმართოთ კონგრესში და ამერიკელ ხალხთან, მაგრამ ობამა ამას არ აკეთებს, რითაც ასუსტებს პრეზიდენტობას, ასუსტებს ამერიკას და ასუსტებს ყველაფერს, რისთვისაც ვიბრძვით“, — განაცხადა აშშ-ის სენატორმა რესპუბლიკური პარტიიდან — რენდ პოლმა ტელეარხ Fox News-ის ეთერში.**

სენატორის აზრით, იმით, რომ კონგრესთან ერთად არ მსჯელობს ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციაზე, ობამა თავის პრეზიდენტობას ასუსტებს. ის (ობამა) კონგრესის წინაშე უნდა გამოვიდეს განცხადებით, რომ აშშ უფლებას არავის მისცემს, თავი მოჰკვეთოს ამერიკელ ჟურნალისტებს.

რენდ პოლის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, აშშ-ის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ ინტერნეტში გავრცელებული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც 31 წლის **სტივენ სოტლოფის** სიკვდილით დასჯაა ასახული, ნამდვილია. სტივენ სოტლოფი, რომელიც რამდენიმე გამოცემასთან, მათ შორის, Time-სა და Foriegn Policy-სთან თანამშრომლობდა, 2013 წელს სირიაში შეიპყრეს ტერორისტებმა. რამდენიმე დღის წინათ კი მას თავი მოჰკვეთეს.

## ვაცლავ კლაუსი:
# უკრაინას დასავლეთმა დაარტყა!

**ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი ამტკიცებს, რომ უკრაინას დასავლეთმა „დაარტყა“, რუსეთი კი იძულებული შეიქნა, რეაგირება მოეხდინა. კლაუსის აზრით, ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, სამოქალაქო ომია, პრობლემის გადაწყვეტა კი მხოლოდ მოთმინებითა და მოლაპარაკებებით არის შესაძლებელი.**



ჩეხეთის ექსპრეზიდენტმა უკრაინას ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო უწოდა. **1945 წლამდე ამ ქვეყნის ტერიტორიები შედიოდა რუსეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის, უფრო ადრე კი — ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში.**

„დარტყმა, — ამას ვამბობ გადატანითი მნიშვნელობით, — ამ ძალიან მყიფე და მოწყვლად უკრაინაზე ნებისმიერი მხრიდან — ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან — ამ ქვეყნის დასასრულს ნიშნავს. ვფიქრობ, რუსეთს ეს არ გაუკეთებია, რუსეთი იძულებით ნაბიჯებს დგამს“, — განაცხადა ვაცლავ კლაუსმა. მისი აზრით, ის, ვინც უკრაინას „დაარტყა“, იყო დასავლეთი. **„უკრაინას ეძგერა დასავლეთი ევროპა, აშშ და ჩვენი ე. წ. მეომრებიდან ზოგიერთი, რომლებიც დღემდე ებრძვიან კომუნიზმს, მაგალითად, ბატონი შვარცენბერგი და მისთანები, სწორედ მათ დაარტყეს. სწორედ ისინი გავიდნენ მაიდანზე მოწყობილ დემონსტრაციაზე. და ამ ამბის კარგად დასრულება შეუძლებელი იყო.**

**ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, სამოქალაქო ომია და არა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, რის დამტკიცებასაც ცდილობს დასავლური მედია. ეს არის ტყუილი, რომელსაც ყველა დასავლური მედიასაშუალება იმეორებს. ეს საშინელებაა!“** — განაცხადა ვაცლავ კლაუსმა რადიო Impuls-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.



## რომის პაპი: მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია!

**„მესამე მსოფლიო ომი უკვე დაიწყო. ეს არის ომი, რომელიც დანაშაულებისგან, მასობრივი მკვლელობებისა და ნგრევისგან შედგება“, — განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკმა პირველი მსოფლიო ომის დაწყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე, იტალიის ქალაქ რედიპულიეს სასაფალაოზე, სადაც პირველი მსოფლიო ომის ათასობით მონაწილეა დაკრძალული.**

პირველ მსოფლიო ომში დაღუპული სამხედროების საფლავებთან პონტიფიკოსმა მსოფლიოში შექმნილი ვითარება განიხილა და განაცხადა, რომ ამჟამინდელი ომი მოუთმენლობის, სიხარბის, ძალაუფლებისადმი სწრაფვის მიზეზით დაიწყო.

რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა მსოფლიოს მოუწოდა, თავი დააღწიოს აპათიას და უარი თქვას ძალადობაზე.

# რაზე იბაასეს ტკბილად მაკკეინმა და ტერორისტული დაჯგუფება «ისლამური სახელმწიფოს» ლიდერებმა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაგმო დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლების მიერ დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომის — დევიდ ჰეინსის სიკვდილით დასჯა და აღნიშნა, რომ აშშ კვლავაც ითანამშრომლებს დიდ ბრიტანეთთან და ეს ქვეყნები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მკვლელები სასამართლოს წინაშე წარდგნენ.**



კადრებზე გამოსახული სირიელი ოპოზიციონერები დღეს ლიდერები არიან ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსი“, რომლის „ბოევიკებიც“ თავს აჭრიან ამერიკელ და ბრიტანელ ჟურნალისტებს, მონებად ჰყავთ ქრისტიანი ქალები და რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის დროშით იავარქმნიან ქალაქებს.

ამასთანავე, ინტერნეტსა და ბევრ მედიასაშუალებაში დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი იმ კადრებზე, რომლებიც ამერიკულმა ტელეარხმა CNN-მა აჩვენა. ამ კადრებზე აშშ-ის სენატორი ჯონ მაკკეინი ე.წწ. სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად არის ასახული. ისინი სირიის სახელისუფლო ჯარებთან საბრძოლველად „ოპოზიციისთვის“ ამერიკული იარაღის მიწოდების შესაძლებლობაზე მსჯელობენ. კადრებზე გამოსახული სირიელი ოპოზიციონერები დღეს ლიდერები არიან ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსი“, რომლის „ბოევიკებიც“ თავს აჭრიან ამერიკელ და ბრიტანელ ჟურნალისტებს, მონებად ჰყავთ ქრისტიანი ქალები და რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის დროშით იავარქმნიან ქალაქებს.

კადრებზე ჩანს, როგორ ტკბილად ბაასობენ ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი და „ისლამური სახელმწიფოს“ ამჟამინდელი ლიდერები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა — **ვისთან აპირებს ომს მისტერ ობამა? „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების შესაჩერებლად ხომ სულაც არ არის საჭირო აშშ-ის საზღვრებიდან გასვლა!**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღესაც დასავლეთს დიდად არ ადარდებს, მაგალითად, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა; მისთვის სრულიად მისაღებია მისი რამდენიმე სუსტ ანკლავად დაყოფა, რომელთა მართვა და მანიპულირება არ უნდა გაუჭირდეს.**

**„100 წლის წინათ ლორდი კერზონი ამტკიცებდა, რომ კავკასიაში ბრიტანეთის ყოფნა აუცილებელია იმისთვის, რათა არ შევუშვათ იქ რუსები და უზრუნველვყოთ ადგილობრივი სახელმწიფოების ნორმალური განვითარება: „ჩვენ უნდა დავრჩეთ კავკასიაში, რათა ფეხზე დავაყენოთ კავკასიის ხალხები“. კერზონს ეწინააღმდეგებოდა არტურ ბელფური, რომლის აზრით, საეჭვოა, დასავლურ ნეოკოლონიალიზმს საერთოდ შეეძლოს რამის კეთება, გარდა საკუთარი ინტერესების დაცვისა. „უნდა დავიცვათ ბათუმი, ბაქო, რკინიგზა მათ შორის და მილსადენი“. მერე მოვიდა წითელი არმია და ბოლო მოუღო როგორც კერზონის ნათელ იმედებს, ასევე ბელფურის შავ ცინიზმსაც“.**

**მარკ ალმონდი**

# საქართველო «მაიდანიზაციის» მოლოდინში



ისტორია მეორდება. ახლაც, როგორც ასი წლის წინათ, დასავლეთი მხოლოდ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დასაცავად იბრძვის მსოფლიოში, მათ შორის, იმ ქვეყნებში, რომლებიც მათი საზღვრებიდან ათასობით კილომეტრით არის დაშორებული. **უკრაინის კრიზისმა საბოლოოდ დაასამარა „კერზონის ნათელი იმედები“ და სრულიად გააშიშვლა „ბელფურის შავი ცინიზმი“.**

2004 წელს ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გამოსცა წიგნი „არჩევანი: მსოფლიო ბატონობა თუ გლობალური ლიდერობა“, რომელშიც წერდა: „მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ნატო ახალ როლში გამოვიდა, როცა მღელვარებითა და ძალადობრივი კონფლიქტებით მოცულ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სტაბილურობა დაამყარა. შემდგომი ათწლეულის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ვერ ავცდებით ერთგვარ სტაბილურობის პაქტს კავკასიისთვის — სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტის მსგავსს“. შეხსენებისთვის: „სტაბილურობა“ იუგოსლავიის დაშლასა და სერბეთის ძირძველი მიწის — კოსოვოს ტერიტორიაზე ალბანური სახელმწიფოს აღიარებაში გამოიხატა.

**დღესაც დასავლეთს დიდად არ ადარდებს, მაგალითად, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა; მისთვის სრულიად მისაღებია მისი რამდენიმე სუსტ ანკლავად დაყოფა, რომელთა მართვა და მანიპულირება არ უნდა გაუჭირდეს.** ჩვენი ექსპერტები, რომლებიც უკრაინის მოვლენებს შემდგარ ფაქტად აფასებენ, ნაკლებად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ეს დიდი გეოპოლიტიკური პროცესის ნაწილია.

**ბჟეზინსკი 1997 წელს თავის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ დაუფარავად წერდა, რომ, თუ ბალკანეთი, ტრადიციულად, ევროპაზე ბატონობის „გასაღები“ იყო, „ევრაზიის ბალკანეთი“ მსოფლიოზე ბატონობის „გასაღებია“. „ევრაზიის ბალკანეთი“ კი ასე გამოიყურება: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ავღანეთი.** ცხადია, ყველა ამ სახელმწიფოს ტერიტორია ისევე უკავშირდება ენერგომატარებლებს, როგორც ბელფურის მიერ ნახსენები „ბათუმი, ბაქო, რკინიგზა მათ შორის და მილსადენი“. „ევრაზიის ბალკანეთი“ დასავლეთისთვის, ბჟეზინსკის აზრით, მხოლოდ გეოპოლიტიკურ მიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ „პოტენციურ ეკონომიკურ მოგებას“: ამ რეგიონში ხომ, დასავლეთისთვის მიმზიდველი ბუნებრივი აირისა და ნავთობის გარდა, ოქრო და სხვა ძვირფასი წიაღისეული უხვად მოიპოვება.

ტერმინი „ევრაზიის ბალკანეთი“ პირდაპირ მიანიშნებს, თუ როგორ ხედავს ბჟეზინსკი ამ რეგიონის მომავალს. ბალკანიზაციის პროცესს სახელმწიფოები და ერები შეიძლება შეეწიროს, მაგრამ, აბა, ამას ვინ დაეძებს, როცა დასავლეთის გავლენის გაფართოებასა და რესურსების მისაკუთრებაზეა ლაპარაკი! სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის შინაგან წინააღმდეგობებს ბჟეზინსკი საგანგებოდ უსვამს ხაზს და აზერბაიჯანს „საცობს“ უწოდებს, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს წვდომა კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის სიმდიდრეზე. სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობაში უხვად არიან ეროვნული უმცირესობები, რომლებიც, ბჟეზინსკის სიტყვებით, „მძაფრად არიან აღშფოთებული ქართველთა ბატონობით“.

ერთი სიტყვით, ამ ნაშრომში დაუფარავად იკითხება ყველა ის ბერკეტი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული დესტაბილიზაციისთვის. **„ევრომაიდნის“ საქართველოში გადმოტანას მხოლოდ „ნაციონალები“ როდი ელიან სულმოუთქმელად; დასავლეთს „ევრაზიული ბალკანეთის“ დესტაბილიზაცია გაცილებით მეტად აძლევს ხელს, ვიდრე ცალკე აღებული საქართველოს ხელისუფლებაში მარიონეტი სააკაშვილის რევანშით დაბრუნება.** გეოპოლიტიკური ამბიციების განსახორციელებლად რა მოსატანია ან სომხების, ან აზერბაიჯანელების, ან ქართველების სისხლი ან ტერიტორიული მთლიანობა. ყველა მხარის წაქეზება შეიძლება, რათა საბოლოოდ დასავლეთს ენერგორესურსები არ შემოაკლდეს და ევრაზიის სივრცე „მოკლეზე“ მოჭრას!

ნათქვამს და დაწერილს მატერიალიზაციის უნარი აქვს და ამიტომ საკუთარ ქვეყანასა და სამხრეთ კავკასიაზე საშინელებათა პროგნოზირებას, გვიჯობს, ახლახან დაშლილ-დანაწევრებული იუგოსლავიის პროცესი გავიხსენოთ და ანალოგიებიც თვალშისაცემი გახდება. ქვეყნის დაშლა 1991 წელს დაიწყო. როგორც ბჟეზინსკი წერდა, რომ საქართველოში ეროვნული უმცირესობები „მძაფრად არიან აღშფოთებული ქართველთა ბატონობით“, ისე სხვა დასავლელი ანალიტიკოსები წინსწრებით წერდნენ ჯერ კიდევ მთლიანი იუგოსლავიის შესახებ: „სლოვენები და ხორვატები, რომლებიც ტრადიციულად დემოკრატიაზე არიან ორიენტირებულნი მათი დასავლურ-კათოლიკური წარსულის გამო, უნიკალურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ: მათ შეუძლიათ, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდნენ სერბი დესპოტებისა და სერბულ-კომუნისტური დამპყრობლებისა და მჩაგვრელებისგან“ (გეორგ რაისმილერი).

ანტისერბული რიტორიკა სულ უფრო ძლიერდებოდა. დასავლეთის ხელშეწყობით იუგოსლავიას ექვსიდან ოთხი რესპუბლიკა გამოეყო: სლოვენია, ხორვატია, ბოსნია და ჰერცეგოვინა. 1992-2003 წლებში იუგოსლავია უკვე ორადორი სუბიექტისგან — სერბეთისა და ჩერნოგორიისგან შედგებოდა. 1999 წელს კი შევიდა „განმათავისუფლებელი“ ნატო და კოსოვოს ოკუპაცია მოახდინა — სერბეთის წინმსწრები „ჰუმანიტარული“ დაბომბვების გზით. 2006 წელს კონფედერაციიდან ჩერნოგორიაც გავიდა და დასავლეთმა მას სიყვარულით მონტე ნეგრო დაარქვა. 2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლით კოსოვოს დამოუკიდებლობა გაეროს წევრი 193 სახელმწიფოდან 108-მ აღიარა.

მსგავსი სცენარები არც „ევრაზიულ ბალკანეთშია“ გამორიცხული. თუ დღეს სამხრეთ კავკასიაში სამი გაყინული კონფლიქტია მთიანი ყარაბახის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით, სულაც არ არის გამორიცხული, მათი რაოდენობაც გაიზარდოს და გეოგრაფიაც. ისევე, როგორც იუგოსლავიის შემთხვევაში, უკრაინაშიც და სამხრეთ კავკასიაშიც საკუთარი მიზნების მისაღწევად დასავლეთი ამ სცენარებს ხელს შეუწყობს. **მთავარია მილსადენები, როგორც ცხონებული ბელფური იტყოდა! ხოლო ამ მილსადენების გასწვრივ იცხოვრებს ვინმე თუ არა და რა ეროვნების ხალხი იქნება, ეს სულაც არ არის მთავარი! ამ სცენარით ვერც საქართველო იხეირებს, ვერც აზერბაიჯანი და ვერც სომხეთი, მაგრამ მათ სწორედ ამის დაპირებით შეაგულიანებენ.**

დაივიწყეთ სააკაშვილი, იგი წარსულია, ჩვენი წარსულის ბნელი ლაქა. წინ გაცილებით უფრო მძიმე გამოწვევებია. **საქართველოს „მაიდანიზაცია“ ხელისუფლებას კი არა, თავად ქართულ სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს. სააკაშვილის „ნათელი იმედები“ კი ისევე დასამარდება, როგორც კერზონისა — წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ. ოღონდ დღეს მსოფლიოში ერთადერთი წითელი არმიაა — ნატოს სახით, რომელიც ყველგან შედის, სადაც ბუნებრივი რესურსები ეგულება.**

სულ ახლახან სოციალურ ქსელებში ასეთი ანეკდოტი გავრცელდა: დედოფალი ელისაბედი მიმართავს ბარაკ ობამას: „შოტლანდიას გამოყოფა სურს. დამეხმარე, უწოდე მას სისხლიანი ტირანია!“.

ობამა ეკითხება: „შოტლანდიაში ნავთობი არის“?

ელისაბედი: „ნავთობს არ მოგცემ!“

ობამა: „ბოდიში, ლიზა! თუ ნავთობი არ არის, არც სისხლიანი ტირანია იქნება!“

დღეს „სისხლიანი ტირანიის“ კანდიდატი რუსეთია — ასეთია დასავლური კონიუნქტურა, თანაც, რუსეთს სწორედ ის აქვს, რის გამოც იმსახურებენ თანამედროვე მსოფლიოში ამ სტატუსს — ბუნებრივი რესურსები, თორემ „დემოკრატია“ ისეთი უნდოდა, ელცინმა რომ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი ჰაუბიცებით დაცხრილა! მაშინ მისთვის დასავლეთს არ უსაყვედურია, რადგან მთელი რუსეთის რესურსები სწორედ დასავლეთს ჩაუგდო ხელში „დემოკრატმა“ ელცინმა. არც კორუფცია უხსენებია მაშინ ვინმეს, რომელშიც იმჟამინდელი რუსეთი იხრჩობოდა!

ორმაგი სტანდარტი ერთნაირად მოქმედებს დღესაც და წარსულის მიმართაც; როცა ბჟეზინსკი რუსეთის ისტორიას აანალიზებდა, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ეს იყო 300-წლიანი ტერიტორიული ექსპანსიის პოლიტიკა, თუმცა მორცხვად დუმდა იმაზე, რომ ის 300 წელი ყველა დასავლურმა იმპერიამ სწორედ მისი საზღვრებიდან ძალიან შორს მდებარე ქვეყნების დაპყრობას და კოლონიზაციას მოანდომა. კიდევ ერთი საყურადღებო „დეტალი“: **როდესაც რუსეთი თურქეთს ართმევდა ტერიტორიებს, მას ადგილობრივი მოსახლეობის სრული მხარდაჭერა ჰქონდა** (როგორც დღეს — ყირიმში), **რადგან თავის დროზე თურქების მიერ მიტაცებულ ამ ტერიტორიებზე ქრისტიანები ცხოვრობდნენ — სლავები, მოლდაველები, რუმინელები, ქართველები და სომხები. თურქეთის მიმართ კეთილგანწყობილი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანი მოსახლეობა და ყირიმელი თათრები იყვნენ.**

მკვლევარები წერენ, რომ ციმბირისა და ყაზახეთის დაპყრობისას რუსეთს იმდროინდელი საერთაშორისო სამართალი არ დაურღვევია იმ მარტივი მიზეზით, რომ იმხანად დღევანდელი საერთაშორისო სამართლის ნორმები არ არსებობდა. **როცა რუსეთს ამუნათებენ, ივიწყებენ, რომ ზუსტად იმ პერიოდში ევროპიდან ჩასახლებულმა „დემოკრატიზატორებმა“ დღევანდელი შტატების ძირძველი მოსახლეობა საკუთარი მიწიდან აყარა და თითქმის სრულად გაანადგურა.** ეს ისე, სამართლიანობისთვის.

რუსეთის მიერ აღმოსავლეთისკენ გაფართოებამდე 25 წლით ადრე **შტატებმა მექსიკას ტეხასი აართვა, ხოლო კიდევ 10 წლის შემდეგ მექსიკის დედაქალაქი დაიკავეს და აიძულეს, უარი ეთქვა იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც დღეს კალიფორნიის, არიზონის, ნევადის, იუტას, ნიუ-მექსიკოს, ნაწილობრივ ვაიომინგის და კოლორადოს შტატები მდებარეობს.** ესეც ისე, სამართლიანობის და „საერთაშორისო სამართლის“ ხათრით.

და მაინც, უკრაინის პროცესები მთლად ის ვერ წარიმართა, როგორც შეერთებული შტატები და მისი მითითებით მოქმედი ევროპელი პოლიტიკოსები ვარაუდობდნენ. ბლიცკრიგი არ გამოვიდა, აღმოსავლეთ უკრაინის სანედლეულო დანამატად ქცევა იოლი არ აღმოჩნდა. პრეზიდენტი პოროშენკო იძულებული შეიქნა, დაუმორჩილებელი რეგიონებისთვის განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭებინა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ცალკეულ პუნქტებზე რუსეთთან კონსულტაციები იმართება. რუსები და უკრაინელები საერთო ენას გამოძებნიან. არ არსებობს სხვა უფრო ახლობელი ხალხები. სააკაშვილს ისევე გააპანღურებენ უკრაინიდან, როგორც საქართველოდან. სავარაუდოდ, იგი ველარც ამ ქვეყანაში გაბედავს ჩამოსვლას და სადმე მის საზღვართან თუ შეხვდება თავის უკრაინელ კოლეგა-მეგობრებს.

ძვირფასო პოლიტიკოსებო! **ნუღარ ფიქრობთ სააკაშვილზე — იგი პოლიტიკური გვამია და, როგორც გივი თარგამაძე ამბობდა შევარდნაძის ხელისუფლებაზე, კარგა ხანია, გვამური ლაქები აქვს! იფიქრეთ ქვეყანაზე და არა მის მტრებზე. შორეული მეგობრები ახლო მეზობლებს ვერ შეგვიცვლიან.** მით უფრო, როცა მათი მეგობრობა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვაში გამოიხატება. როცა ევრაზიის არარსებულ ეკონომიკურ კავშირზე კამათს გახვევენ თავს, **იფიქრეთ იმაზე, რომ „ევრაზიული ბალკანეთის“ სცენარი თითქმის 20 წლის წინათ დაიწერა და იგი კარგს არაფერს გვიქადის.** ამაზე დაშლილ-განადგურებული იუგოსლავიისა და გულამოგლეჯილი სერბეთის მაგალითი ნათლად მეტყველებს!

**იმ სიტუაციაში, როდესაც „ოცნების“ ელექტორატის უმრავლესობა განიხილავს არათუ თანამშრომლობას, არამედ ზედმეტ კონტაქტს „ნაციონალებთან“, როგორც კრიმინალს, „ამერიკული რჩევის“ გათვალისწინება პოლიტიკოსებისთვის საკმაოდ რთული იქნება.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ესიზმრება ამერიკულ ჩონჩხს ქართულ კარადაში?

**გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო ძებნაში გამოცხადებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია ინტერპოლს გაუგზავნა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი საქართველოში განვითარებულ პროცესების შესახებ მორიგი განცხადება გაავრცელა, რომელშიც გამოთქმულია არა მხოლოდ ტრადიციული შეშფოთება ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლისსამართლებრივ დევნაზე, არამედ საკმაოდ საგულისხმო მოწოდება ქართველი პოლიტიკოსების მიმართ, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ შეიძლება აღიქვას, როგორც ფრიად საგანგაშო სიგნალი.**



**„ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს პროდემოკრატიულ და პროევროატლანტიკურ ძალებს, რომ საერთო ინტერესებზე გაამახვილონ ყურადღება, ბოლოდროინდელ მიღწევებს დაეყრდნონ და ერთად იმუშაონ ქვეყნის წინ წაყვანისთვის და დღევანდელი აქტუალური ეკონომიკური და რეგიონული უსაფრთხოებისადმი არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად“,** — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში: „შეშფოთებული ვართ ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებებითა და სისხლისსამართლებრივი დევნით, ასევე იმ რისკებით, რომელთაც პოლიტიზებული სამართლებრივი დევნა შეუქმნის ქართულ დემოკრატიას. აშშ აგრძელებს ქართული დემოკრატიის განვითარების მხარდაჭერას, რომელიც უნდა შეიცავდეს პოლიტიკურ პლურალიზმს და ღია დებატების პატივისცემას„.

ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ამ განცხადებაში არის მოწოდება **„პროდემოკრატიული და პროევროატლანტიკური ძალების“** მიმართ, მაგრამ ვიდრე მასზე გადავალთ, ალბათ, ორიოდე სიტყვა „შეშფოთებაზეც“ უნდა ვთქვათ, რადგან, სავარაუდოდ, სწორედ ის გახდა ანტიამერიკული ემოციების ამოფრქვევის მიზეზი, რომელიც ქართულ სოციალურ ქსელებში მკაფიოდ დაფიქსირდა. ეს თემა უკვე არაერთგზის განვიხილეთ, ამ დროისთვის საქართველოს მთავრობისა და საზოგადოhების დიდი ნაწილის პოზიციამ დაახლოებით შემდეგი სახე მიიღო: **ამერიკელ პარტნიორებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელსაც თავისი, თანამედროვე დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი კანონები აქვს. თუ ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ყოფილ მაღალჩინოსნებთან მიმართებაში ადგილი აქვს პოლიტიზებულ დევნას, მათ უნდა მიუთითონ კონკრეტულ ფაქტებზე — ყველაფერი დანარჩენი წყლის ნაყვა და კანონის უზენაესობის პრინციპის ეჭვქვეშ დაყენების მცდელობაა.** საგულისხმოა, რომ პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამ განცხადების კომენტირებაზე უარი თქვა და აღნიშნა, რომ საკუთარი პოზიცია ადრე დააფიქსირა, რითაც, ფაქტობრივად, მიანიშნა, რომ ახალი ხელისუფლება ამ პრინციპულ საკითხში უკან არ დაიხევს.

**გამოძიებების შეწყვეტა დღეს, როდესაც პროცესი კულმინაციას მიუახლოვდა, სრულიად წარმოუდგენელი ჩანს. ამას მოჰყვება არა მხოლოდ მოქმედი ხელისუფლების კრახი, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეის დასამარებაც. ამ შემთხვევაში სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული ადამიანები, 99%-იანი ალბათობით, საკუთარ თავზე აიღებენ განაჩენების გამოტანა-აღსრულებას და ქვეყანა სისხლიანი ანგარიშსწორების ჭაობში ჩაეფლობა.** ასე რომ, კანონის უზენაესობას ალტერნატივა არ აქვს და საკამათო აქ არაფერია. რა თქმა უნდა, ამერიკელებს შეუძლიათ, დააკვირდნენ პროცესებს და, ბრალდებულთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში, პროტესტი გამოთქვან. მსგავსი მონიტორინგი პროკურატურისთვის და სასამართლოსთვის, პრინციპში, სასარგებლოცაა — ფორმაში ჩადგებიან.

აქ, ალბათ, ერთ საინტერესო ნიუანსს უნდა შევეხოთ. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა ყოფილ მაღალჩინოსნებს არ ასვენებს, ის არ ეხება იმ ეპიზოდებს, რომლებშიც ამერიკული მხარის როლი, რბილად რომ ვთქვათ, არაერთგვაროვანია. მაგალითად, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაყალბებას, სადაც, ერთი შეხედვით, ყველაფერი ცხადია და მძიმე დანაშაული სახეზეა. **„ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო, მაგრამ ამაზე ყველამ თვალი დავხუჭეთ. მშვენივრად მახსოვს ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი... დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემი მისამართით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური“,** — განაცხადა 2011 წლის ივლისში ნინო ბურჯანაძემ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. მაგრამ ამ განცხადეhბის და უამრავი დოკუმენტირებული ფაქტის მიუხედავად, ამ საქმის გამოძიება მკვდარი წერტილიდან არ იძვრის. შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ხსენებული „დასავლელი მეგობრების“ სახელები არ ამოტივტივდეს და ვაშინგტონს თუნდაც მცირედი პრობლემა არ შეექმნას. არის კიდევ რამდენიმე მსგავსი ეპიზოდი, რომელშიც ხელისუფლება მაქსიმალურად უფრთხილდება ამერიკელი პარტნიორების იმიჯს და, ასე ვთქვათ, „ჩონჩხებს კარადაში ტოვებს“.

მაგრამ გასულ კვირას მოხდა ინციდენტი, რომელმაც შეიძლება დააფიქროს (თუ უკვე არ დააფიქრა) ვაშინგტონი იმაზე, რომ ქართულმა მხარემ ამ მიდგომაზე უარი თქვა. შვედურმა „აფტონბლადეტმა“ გამოაქვეყნა სკანდალური სტატია წამყვანი შვედი პოლიტიკოსის — კარლ ბილდტის შესაძლო კორუფციულ კავშირებზე სააკაშვილის რეჟიმთან. გამოცემის ვარაუდით, სწორედ აქედან გამომდინარეობს ბილდტისა და სააკაშვილის „მეგობრობა“ და, სხვა ყველაფერთან ერთად, ბილდტის მიერ 2008 წლის გაყალბებული არჩევნების ლეგიტიმურად გამოცხადება. **საინტერესოა, რომ შვედეთის იმჟამინდელმა ელჩმა საქართველოში ჰანს-გუნარ ადენმა თავის ანგარიშში მიუთითა დარღვევის ფაქტებზე და ამის შემდეგ თანამდებობას დაემშვიდობა.**

აქ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოების გათვალისწინება — კარლ ბილდტი ვაშინგტონისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია. ჯერ კიდევ 1976-ში ის აწვდიდა ამერიკელებს ინფორმაციას შვედეთის სამი წამყვანი პარტიის დახურული კონსულტაციების შესახებ. ბილდტი არ უარყოფს ამ, „ვიკილიქსის“ მიერ გამომზეურებულ ფაქტს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს იყო უბრალოდ „ინფორმაციის გაცვლა“ და მას კანონი არ დაურღვევია. კარლ ბილდტისა და საქართველოს მთავრობის ურთიერთობა ბოლო დროს მკვეთრად დაიძაბა. **სააკაშვილის სხვა ლობისტები, ყველაფრის მიუხედავად, გარკვეულ კორექტულობას იცავენ, შვედი პოლიტიკოსი კი ზერადიკალურ განცხადებებს აკეთებდა და ბოლოს ლამის ღია მუქარებზე გადავიდა. შესაძლოა, ვაშინგტონში მივიდნენ დასკვნამდე, რომ „მათ კაცს სტოკჰოლმში“ მიზანმიმართულად სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ დაარტყა (და არა გოგა ხაინდრავამ ან ზურაბ ნოღაიდელმა).** თანაც დაარტყა უშუალოდ შვედეთის საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც კვირას გაიმართა და მმართველი კოალიციის (რომელშიც ბილდტიც შედიოდა) მარცხით დასრულდა. თბილისიდან მიწოდებული დოკუმენტების გარეშე, „აფტონბლადეტის“ პუბლიკაცია ასეთი სკანდალური არ იქhნებოდა.

**ვერ გამოვრიცხავთ, რომ ვაშინგტონში იფიქრეს, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაარღვია დაუწერელი შეთანხმება „კარადებიდან ჩონჩხების არგამოღების შესახებ“ და მალე შეიძლება გამოამზეუროს სკანდალური ინფორმაცია ამერიკული ისტებლიშმენტის წარმომადგენლებისა და სააკაშვილის რეჟიმის საეჭვო ურთიერთობებზე.** ამას ემატება კიდევ ერთი ფაქტორი — ჯერ კიდევ გადადგომამდე სააკაშვილი ცდილობდა, დაეშანტაჟებინა ამერიკელები და ძალიან უხეშად მიანიშნებდა, რომ შეიძლება მათთვის ფრიად არასასურველი ინფორმაცია გაავრცელოს თუ მისი ხელშეუხებლობა ეჭვქვეშ დადგება. თუნდაც მოიტყუოს, მისი ძველი სტატუსიდან გამომდინარე, სკანდალი მაინც დიდი იქნება.

**ჩვენი მთავრობა შეიძლება საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, ის, სავარაუდოდ, მოისურვებს, დაარწმუნოს ამერიკელები, რომ თამაშის ძველი წესების დარღვევას არ აპირებს. მეორე მხრივ კი, ნათლად გამოხატოს, რომ თავს დაიცავს, თუ ისევე რადიკალურად შეუტევენ, როგორც ამას ბოლო დროს კარლ ბილდტი აკეთებდა. ერთდროულად ორივე მიზნის მიღწევა საკმაოდ რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი — ალტერნატივა კი აშშ-თან დაპირისპირების გარღმავებაა, რაც არც ბიძინა ივანიშვილს, არც „ქართულ ოცნებას“ არ სურთ.** საუბარი სახელმწიფო დეპარტამენტის მოწოდებაზე „პროევროატლანტიკური“ ძალების მიმართ, ალბათ, ამ ფონის გათვალისწინებით უნდა დავიწყოთ. ზოგადად, **როდესაც ვაშინგტონი მიმართავს არა ხელისუფლებას, პოლიტიკურ სპექტრს ან საზოგადოებას მთლიანობაში, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. რა უნდა გააკეთონ ამ განცხადების შემდეგ, მაგალითად, მარგველაშვილმა, უსუფაშვილმა და ალასანიამ, თუ ამერიკელების რჩევას გაითვალისწინებენ — „გაამახვილონ ყურადღება საერთო ინტერესებზე“ „ნაცმოძრაობასთან“ და მასთან „ერთად იმუშაონ“? (იგივე ეხება არაერთ სხვა პოლიტიკოსს და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს).**

ჩამოთვლილ პოლიტიკოსებს ახლო წარსულში არაერთგზის უცდიათ საუბრის დაწყება იმაზე, რომ დამნაშავე მაღალჩინოსნებისა და „ნაცმოძრაობის“ მიმართ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა დამოკიდებულება უნდა შერბილდეს, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი ამას იმდენად მკვეთრი კრიტიკით სცემდა პასუხს, რომ ფიგურანტები მყისიერად ჩუმდებოდნენ. იმ სიტუაციაში, როდესაც „ოცნების“ ელექტორატის უმრავლესობა განიხილავს არათუ თანამშრომლობას, არამედ ზედმეტ კონტაქტს „ნაციონალებთან“, როგორც კრიმინალს, „ამერიკული რჩევის“ გათვალისწინება პოლიტიკოსებისთვის საკმაოდ რთული იქნება. მაგრამ აქაც არის ერთი ნიუანსი: წამით წარმოვიდგინოთ, რომ „ნაციონალები“ მართლაც შეეცდებიან, „მაიდანი“, „ტაჰრირი“ თუ ბანალური სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ. **თუ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი (და ბევრი სხვა) ამ მომენტში ზემოთ ხსენებულ „საერთო ინტერესებზე“ და „ერთობლივ მუშაობაზე“ იფიქრებენ, იანუკოვიჩის ჩინოვნიკების მსგავსად უმოქმედოდ დაჯდებიან (ეს როგორც მინიმუმ) და ამით მოახდენენ სახელმწიფო ინსტიტუტების ნაწილობრივ პარალიზებას.** ამან, პუტჩისტების რესურსების სიმწირის მიუხედავად, შეიძლება საკმაოდ ცუდ შედეგამდე მიგვიყვანოს. ასეთი ჰიპოთეტური სიტუაციების მოდელირების დროს მნიშვნელოვანია ერთი აქსიომის გათვალისწინება: ძალთა საერთო რაოდენობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ძალებს, რომელთა გამოყენება შეგიძლია. შესაძლოა, ღარიბაშვილისთვის (და ივანიშვილისთვის) საშიშია არა იმდენად თანაგუნდელების ღია ალიანსი „ნაციონალებთან“ (ეს, პრინციპში, უიმედო ვარიანტია), არამედ უმოქმედობა კრიტიკულ სიტუაციაში და „ჩუმი საბოტაჟი“.

თქმული არ ნიშნავს, რომ ამერიკელები აპირებენ ივანიშვილს „მაიდანი“ მოუწყონ, ობიექტური წინაპირობები ამისთვის ამ ეტაპზე არ არსებობს. მაგრამ მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საკუთარ თავში, სავარაუდოდ, შეიცავდა როგორც უკმაყოფილების აშკარა გამოხატვას, ისე, მინიშნებას იმაზე, რომ მისი პატრონაჟის ქვეშ შეიძლება ახალი ალიანსის ფორმირება დაიწყოს. **ზოგმა შეიძლება აღიქვას ეს, როგორც „ბოლოსწინა გაფრთხილება“, თუმცა ამაში შეიძლება დადებითი მხარე დავინახოთ, ღარიბაშვილს (უპირველესად კი, ივანიშვილს) შესაძლებლობა ეძლევა, დააკვირდეს კოალიციური პარტნიორების რეაქციას ამერიკელების ამ და სხვა მსგავს მოწოდებებზე, მათი სავარაუდო ტაქტიკა გაშიფროს და წინმსწრები კონტრზომები მიიღოს. ძველად რომ იტყოდნენ, „პრედუპრეჟდენ — ვოორუჟენ“ (გაფრთხილებული ხარ, ესე იგი შეიარაღებული ხარ).**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა შეიძლება აჭარაში რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების პროვოცირება სცადონ. ასეთ სიტუაციაში, „ქართული ოცნების“ სასიცოცხლო ინტერესებშია, აჭარაში თავისი მხარდამჭერების კონსოლიდირება მოახდინოს და მთავრობა გაათმაგებული ენერგიით ამუშავოს.**

# ივანიშვილის შეცდომა და ავლაბრის სასახლის შტურმი

**პარლამენტის ვიცესპიკერი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს. პირველად მმართველი ძალის ხანმოკლე ისტორიაში შიდა კონკურენცია სააშკარაოზე ესოდენ ხმაურიანი სკანდალის სახით გამოვიდა და ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის მძიმე მარცხით დასრულდა. აგრეთვე, გასულ კვირას გრძელდებოდა დისკუსია პრეზიდენტ მარგველაშვილის უსაზღვრო ამბიციების თაობაზე და მასში ბიძინა ივანიშვილიც ჩაერთო. ცხადია, არჩევნების შემდეგ არავინ მოელოდა, რომ მმართველ კოალიციაში რამდენადმე ხანგრძლივი დროის განმავლობაში „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ შენარჩუნდებოდა, მაგრამ დაპირისპირების სიმწვავე იმდენად სწრაფად მატულობს, რომ ზოგიერთი კომენტატორი სულ უფრო ხშირად გამოთქვამს ვარაუდს ყოვლისმომცველი კრიზისის მოახლოებაზე.**



## კამიკაძე, სახელად მურმანი

მურმან დუმბაძეს პრობლემები „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობასთან, უპირველესად, ალბათ, იმიტომ შეექმნა, რომ სათანადოდ ვერ შეაფასა დრამატული სხვაობა საკუთარი ამბიციების მასშტაბსა და რეალურ შესაძლებლობებს შორის (ეს ქართულ პოლიტიკაში ფართოდ გავრცელებული ფენომენია). დუმბაძის მხარდამჭერები მას გულწრფელ ადამიანად მიიჩნევენ და სავსებით სამართლიანად მიუთითებენ იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლაში მას თავი არ დაუზოგავს. მაგრამ, ალბათ, ისიც ფაქტია (ერთი მეორეს არ გამორიცხავს), რომ დუმბაძე საკმაოდ მოუქნელი პოლიტიკოსია, რომელმაც ოპონენტებს უბიძგა, მის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ, ხოლო გადამწყვეტ მომენტში ძლიერი მოკავშირეების გარეშე დარჩა. **დაპირისპირების დასკვნით სტადიაში მისი მოქმედებები ერთდროულად ჰგავდა როგორც ვა-ბანკს, ისე აგონიას — დღის წესრიგში აჭარის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დაყენება აბსოლუტურად უპერსპექტივო წამოწყება იყო. ამან „ოცნების“ ხელმძღვანელობას რადიკალური ზომების მიღებისთვის ფორმალური საბაბი მისცა.**

მურმან დუმბაძე, სავარაუდოდ, არ გაჩერდება და ამიერიდან აჭარის ხელისუფლებისთვის „სახალხო კონტროლის“ განსახიერებად გადაიქცევა და ნებისმიერი გადაცდომის კვალობაზე საშინელ სკანდალს ატეხავს. ეს კი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მთავრობის შემდგომ დისკრედიტაციას. გამორიცხული არაა, რომ მალე მურმან დუმბაძეს იაპონელ კამიკაძეს შევადარებთ, რომელმაც თავი კი აიფეთქა, მაგრამ მოწინააღმდეგის ხომალდს იმდენად დიდი ზიანი მიაყენა, რომ მან პორტამდე ვერ მიაღწია. თუმცა საუბარი ამაზე ერთობ ნაადრევია, ხომალდი ჯერჯერობით არ ჩაძირულა.

აჭარაში „ქართულ ოცნებას“ განსაკუთრებით ეფექტური და მაღალრეიტინგული მთავრობა სჭირდება. **საიდუმლო არაა, რომ „ნაციონალები“ განიხილავენ ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც ერთ-ერთ მთავარ პლაცდარმს შესაძლო რევანშისთვის. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აჭარის მოქმედი მთავრობა რაც შეიძლება დისკრედიტირებული იყოს და ვარშალომიძის მთავრობასთან შედარებით უსუსურად გამოიყურებოდეს. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა შეიძლება აჭარაში რელიგიურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების პროვოცირება სცადონ. ასეთ სიტუაციაში, „ქართული ოცნების“ სასიცოცხლო ინტერესებშია, აჭარაში თავისი მხარდამჭერების კონსოლიდირება მოახდინოს და მთავრობა გაათმაგებული ენერგიით ამუშავოს.**

ახლო მომავალში აჭარის მთავრობა, როდესაც კონკრეტულ გადაცდომაზე მიუთითებენ, სავარაუდოდ, იტყვის, რომ ეს განაწყენებული დუმბაძის ინტრიგებია, ხოლო პრობლემა რეალურად არ არსებობს. ეს ალგორითმი ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს, რადგან პრობლემები აჭარაში ნამდვილად არის, ნეპოტიზმიც სახეზეა და არაეფექტური მართვაც. ამიტომ „ქართული ოცნებისთვის“ სასურველია, ადეკვატურობა შეინარჩუნოს და ერთმანეთისგან გამიჯნოს დუმაბაძის პრობლემა და აჭარის მთავრობის ზოგადი უნიათობის საკითხი.

**მარგველაშვილმა ავლაბრის რეზიდენცია უნდა დატოვოს და აქ საკამათო არაფერია, მაგრამ იქიდან მისი გამოყვანის (გაგდების, გაძევების — გააჩნია, როგორ განვითარდება კრიზისი) მისია, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება არა მედიას და საზოგადოებას, არამედ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მარგველაშვილი აქამდე მიუშვა**

დუმბაძის „ოცნებიდან“ გარიცხვის და პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: **„თქვენ მოისმინეთ პარტიასთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებები აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან. პარტიის სამდივნომ იმსჯელა მათი თვითნებური ქმედების შესახებ და მათ საყვედური გამოუცხადა. ასევე გადავწყვიტეთ, რომ ყველა საკითხი, ყველა ბრალდება, რომლებიც მოვისმინეთ ფრაქციის მხრიდან, დეტალურად იქნება შესწავლილი. მე მათ პირობა მივეცი, რომ ამას ერთად შევისწავლით“** (ინტერპრესნიუსი). თავის მხრივ, „ქართული ოცნების“ ფრაქციამ აჭარის უმაღლეს საბჭოში ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხზე დროებით მორატორიუმი გამოაცხადა. ვნახოთ, რა გახდება მთავარი შემდგომ პროცესებში — აჭარის მთავრობის გონზე მოყვანა თუ მურმან დუმბაძის გადაქცევა განტევების ვაცად.

ზოგიერთი კომენტატორი (განსაკუთრებით რესპუბლიკელები აქტიურობენ) საყვედურობს ბიძინა ივანიშვილს იმის გამო, რომ თავის დროზე დუმბაძე ბათუმის მაჟორიტარად დაასახელა. პრინციპში, ამ მედალს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვას, ორი მხარე აქვს — სქემა, რომელიც ივანიშვილმა აჭარისთვის შექმნა, მთლიანობაში გამართლებული იყო. ის სხვადასხვა ჯგუფის მეტ-ნაკლებად ჯანსაღ კონკურენციას და ურთიერთკონტროლს უზრუნველყოფდა. მაგრამ მან, ალბათ, დაუშვა შეცდომა, როდესაც დუმბაძეს მასში ერთ-ერთი საკვანძო ელემენტის მნიშვნელობა მიანიჭა. **თქმული, არავითარ შემთხვევაში, არ ნიშნავს, რომ მურმან დუმბაძე ცუდი ადამიანია, უბრალოდ, კარიერული კიბის მაღალ საფეხურებზე ყველას როდი შეუძლია გამკლავება მოზღვავებულ ამბიციებთან და გამოწვევებთან, რომლებზეც ადრე წარმოდგენა არ ჰქონდა.** მურმან დუმბაძე, ალბათ, ძალიან საინტერესო იქნებოდა სამოქალაქო სექტორში (მაგალითად, ივანიშვილის ორგანიზაცია „მოქალაქის“ აჭარის ოფისის დირექტორის პოსტზე), შესაძლოა, ის წარმატებით უხელმძღვანელებდა აჭარის უზენაესი საბჭოს „ქართული ოცნების“ ფრაქციას, მაგრამ ამ თემაზე მსჯელობას აზრი უკვე აღარ აქვს, მოხდა ის, რაც მოხდა, რადგან ბიძინა ივანიშვილმა არასწორი საკადრო გადაწყვეტილება მიიღო. ხოლო მსგავსი შეცდომების მთავარი განსახიერება დღევანდელ საქართველოში, ალბათ, მაინც არა მურმან დუმბაძე, არამედ გიორგი მარგველაშვილია.

## დაგვიანებული განგაში

ციტატა ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუდან, რომელიც „კვირის პალიტრას“ მისცა: **„ცდილობენ, როგორმე დაიახლოვონ. ორი-სამი ადამიანი, თავს ექსპერტს რომ უწოდებს და რეალურად ელემენტარული ანალიზის უნარი არ აქვთ, მიეტმასნენ მარგველაშვილს (ადრე მთავრობაში იყვნენ და იქ თავიანთი ადგილი ვერ იპოვეს). თითქოს პრეზიდენტის ინსტიტუტის გამაგრებას ცდილობენ, რეალურად კი ერთი სამსახურს ეძებს, მეორეს თავისი ადგილი ვერ უპოვია, მესამეს კიდევ რაღაც უნდა... ისინი დათვურ სამსახურს უწევენ მარგველაშვილს, ამბიციებს უღვივებენ და სასაცილო მდგომარეობაში ვარდება ქვეყანა და თვითონაც. პირველ რიგში ეს პრეზიდენტ მარგველაშვილის იმიჯს აზიანებს. ცალკე საკითხია სასახლის თემა. მე სპეციალურად არ ვაღვივებ ამას, ველოდები, რას იზამს საზოგადოება, მასმედია. ეკონომიკური ხასიათის კითხვებია. 16 ათასი კვადრატული მეტრ-**

▶

მოკლედ

## საქართველოს პრემიერმინისტრი: მოსასმენი საშუალებები ისევ «ნაცმოძრაობის» ხელშია

**პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, დიდი ვარაუდი არსებობს იმისა, რომ მოსასმენი საშუალებები, რომლებიც წინა მთავრობამ საქართველში შემოიტანა, ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელთაა.**

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მოწყობილობები, რომლებითაც შეიძლება მოსმენების განხორციელება, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდშია შეძენილი, ამჟამად კი ვითარების კონტროლი ვერ ხერხდება. ამის შესახებ მან ყოფილი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

**„ბიძინა ივანიშვილი ინტერვიუში მიმდინარე საკითხებზე ძალიან სერიოზულ აქცენტებს აკეთებს. ჩვენმა მთავრობამ საზოგადოებას განუმარტა, რომ მოსმენები წლების განმავლობაში ხდებოდა. სამწუხაროდ, არსებობდა საშუალებები, რომლებიც წინა მთავრობის მიერ იქნა შეძენილი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია და დიდი ვარაუდი არსებობს იმისა, რომ ეს საშუალებები მათ ჯერ კიდევ ხელთ აქვთ“,** — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

მისივე განმარტებით, მოსასმენი აპარატურის საქართველოში შემოტანა ახალ მთავრობამდე მოხდა, შესაბამისად, კონტროლის საშუალება ამ ეტაპზე არ არსებობს. ყოფილი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მისი ჟურნალისტობის შესახებ ინფორმაცია ტელეფონის მოსმენის შემდეგ გავრცელდა.

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ექსპერიმენტები შერეულ მოდელთან არამდგრადი დემოკრატიის ქვეყნებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონმდებლობაში წარმოდგენილია არა ერთი ბუნდოვანი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმა, ძალზე საშიშია. ჩვენ ვხედავთ, რით დასრულდა მსგავსი ექსპერიმენტები უკრაინაში.

**„ის ფართობისაა სასახლე, მას (მარგველაშვილს) რეალურად სჭირდება 3 ათასი. 16 ათასი კვადრატული მეტრის ფართობის სასახლე უკავია — გადაამრავლეთ, იმ უბანში ერთი კვადრატული მეტრის გირაობა რა ღირს და ნახავთ, რომ 2-3 მილიონი დოლარი ზედმეტი იხარჯება. მე არ მინდა ამის გაღვივება, თუმცა ეს ყველაფერი მიწყნარებულია იმის გამო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ასე აწყობს“.**

ვერაფერს ვიტყვით, ანალიზი თითქმის იდეალურია და დასაწუნი აქ არაფერია. თუმცა ისმის კითხვა: **ვინ წამოაყენა მარგველაშვილის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე, მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების დიდი უმრავლესობა დღედაღამ ამტკიცებდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება?** გამორიცხული არაა, რომ მარგველაშვილისგან ბრწყინვალე ომბუდსმენი გამოვიდოდა ან (კი, ბატონო) განათლების მინისტრი, მაგრამ პრეზიდენტის პოსტს ცოტა სხვა ფსიქოლოგიური თვისებები, სხვა ნებისყოფა სჭირდება. თუ ხედავ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი იმდენად სუსტია, რომ შეიძლება მრჩევლების სათამაშოდ გადაიქცეს, ან სხვა კანდიდატურა უნდა დაასახელო, ან მრჩევლები თვითონ შეურჩიო.

რაც შეეხება სასახლის პრობლემას, ერთობ გაუგებარია, რას ელოდება ივანიშვილი საზოგადოებისა და მასმედიისგან. „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მწვავედ აკრიტიკებს მარგველაშვილს ავლაბრის რეზიდენციაში შესვლის გამო, ხოლო მასმედიამ ამ თემას არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. კიდევ რა უნდა ქნან, სასახლე შტურმით აიღონ?! ნუთუ იმ მომენტში, როდესაც მარგველაშვილმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, ბიძინა ივანიშვილს არ შეეძლო მისი შეჩერება? მარგველაშვილი, ძალიან დიდი ალბათობით, უკან დაიხევდა, ისევე, როგორც გააკეთა ეს ვანო მაჭავარიანის თანამდებობიდან გაშვების შემთხვევაში, შტატებში ვიზიტზე უარის თქმის შემთხვევაში და ა. შ.

სხვათა შორის, ფინანსური საკითხი, ამ კონტექსტში, ალბათ, მაინც მეორეხარისხოვანია. მთავარი კი ისაა, რომ ავლაბრის რეზიდენცია სააკაშვილის რეჟიმის, მისი ამორალურობისა და დანაშაულებრივი ბუნების სიმბოლოა. პრეზიდენტის იქ ყოფნა ყოველივე ამასთან, კოშმარულ წარსულთან კავშირის განმტკიცებას ნიშნავს, მაშინ, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ამ კავშირის გაწყვეტას მოითხოვს. **მარგველაშვილმა ავლაბრის რეზიდენცია უნდა დატოვოს და აქ საკამათო არაფერია, მაგრამ იქიდან მისი გამოყვანის (გაგდების, გაძევების — გააჩნია, როგორ განვითარდება კრიზისი) მისია, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება არა მედიას და საზოგადოებას, არამედ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მარგველაშვილი აქამდე მიუშვა.**

გასულ კვირას საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „თუ პრეზიდენტი საკუთარ როლს ხედავს სახელისუფლო განშტოებების — მთავრობისა და პარლამენტის კონკურენტად, ეს არის მცდარი მოსაზრება. ეს პოზიცია მომავალშიც ბევრ პრობლემას შექმნის. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტებს შორის კონფლიქტი გარდაუვალი იქნება. მსურს, შევხვდე პრეზიდენტს და ვესაუბრო, როგორ ხედავს ის საკუთარ როლს — პარტნიორად კონსტიტუციის ფარგლებში თუ პოლიტიკურ კონკურენტად“ (ინტერპრესნიუსი). ვერ გამოვრიცახვთ, რომ მას სავსებით გულწრფელი მოტივები ამოძრავებს, მაგრამ ასეთი მიდგომა, ალბათ, პრობლემის გაუმართლებელ გამარტივებამდე მიგვიყვანს. პრობლემა მხოლოდ მარგველაშვილის მცდარი შეხედულებებით თუ ფსიქოლოგიური სისუსტით არ შემოიფარგლება; **კონსტიტუციასა და რიგ კანონებში შესატანია ცვლილებები, რომლებიც ლოგიკურად დაასრულებს უფლებების გამიჯვნის პროცესს და პრეზიდენტსა (მარგველაშვილი იქნება თუ სხვა) და მთავრობას შორის კონფლიქტების წარმოქმნის საფრთხეს მკვეთრად შეამცირებს.**

## საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო?

ციტატა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამიდან: **„ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საპარლამენტო მმართველობას. ამასთან, საბოლოო გადაწყვეტილება კონსტიტუციური მოწყობის თაობაზე მიღებული იქნება ფართო სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ყველა გონივრული მოსაზრება და ინტერესი“.**

გავიდა ორი წელი. სადაა „ფართო სამოქალაქო შეთანხმება“ ან თუნდაც ამ საკითხის საერთო-სახალხო განხილვა? ქვეყანა უცნაური, ჰიბრიდული, სპეციალურად სააკაშვილის პრემიერობისთვის შექმნილი მოდელის პირობებში ცხოვრობს და რეალურად, სრულფასოვანი საპარლამენტო რესპუბლიკის ჩამოყალიბებისკენ არ მიდის. ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის უფლება-მოვალეობები საბოლოოდ გამიჯნული არ არის. ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ იმ პირობებში, როდესაც ბიძინა ივანიშვილს შეუძლია დაურეკოს მარგველაშვილს თუ ღარიბაშვილს და მათი მოქმედების კორექტირება მოახდინოს. მაგრამ მსგავსი არაფორმალური პრაქტიკა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფოს სტაბილურობის ქვაკუთხედი. წამით წარმოვიდგინოთ, რომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები არა ერთმა, არამედ ორმა სხვადასხვა, ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულმა ძალამ მოიგო. მოქმედი კანონმდებლობის პირობებში ამან შეიძლება სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანოს.

**ალბათ, სასურველია, არჩევანი ან კლასიკური საპარლამენტო მოდელის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საპრეზიდენტო მოდელის სასარგებლოდ გავაკეთოთ. ექსპერიმენტები შერეულ მოდელთან არამდგრადი დემოკრატიის ქვეყნებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონმდებლობაში წარმოდგენილია არა ერთი ბუნდოვანი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმა, ძალზე საშიშია. ჩვენ ვხედავთ, რით დასრულდა მსგავსი ექსპერიმენტები უკრაინაში.**

ერთმა საკადრო შეცდომამ ამხელა აურზაური გამოიწვია, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი უფრო ხისტად იმოქმედებდა, კრიზისი სრულფასოვანი დესტაბილიზაციით დასრულდებოდა. მომხდარი, უპირველეს ყოვლისა, გაკვეთილია, რომელმაც, წესით, სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბების გზებზე უნდა დაგვაფიქროს. დასაწყისისთვის, ურიგო არ იქნება, **„ქართული ოცნების“ ამომრჩევლებმა თავიანთ რჩეულებს საარჩევნო პროგრამის წაკითხვა და შესაბამისი კანონპროექტების შემუშავება აიძულონ.**

**დიმიტრი მონიავა**




**კონსტიტუციასა და რიგ კანონებში შესატანია ცვლილებები, რომლებიც ლოგიკურად დაასრულებს უფლებების გამიჯვნის პროცესს და პრეზიდენტსა (მარგველაშვილი იქნება თუ სხვა) და მთავრობას შორის კონფლიქტების წარმოქმნის საფრთხეს მკვეთრად შეამცირებს**



# პროექტები მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის

**ბიძინა ივანიშვილი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს.**

„ორი პროექტი უკვე მზად არის, რომელთა მიზანი საზოგადოების განვითარებაა, რომლებშიც მე ჩემს როლს ვხედავ. სკოლის მოსწავლეებისთვის საკმაოდ ფართომასშტაბიანი პროექტი მზადდება — ჩატარდება ოლიმპიადები, იქნება წამახალისებელი მექანიზმები. **პროექტის არსი არის ის, რომ სკოლის მოსწავლეები ჩაერთონ იმაში (ცოდნის სახით), თუ რა არის სამოქალაქო საზოგადოება, როგორი უნდა იყოს მოქალაქე, რომ ყველა უნდა იყოს პასუხისმგებლიანი, ყველამ უნდა იზრუნოს სამშობლოზე** და ა.შ. დაიბეჭდება ასეთი სახის კითხვარები, რომლებიც სკოლებში გავრცელდება და გამარჯვებული გამოვლინდება. მისი თქმით, პროექტის მიზანია, სკოლის მოსწავლეებმა თავიდანვე ისწავლონ, რომ საზოგადოების წევრები არიან და მოუწევთ მონაწილეობა საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. **მეორე, ასეთივე ფართომასშტაბიანი პროექტი სტუდენტებისთვისაა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებასა და ამაში სტუდენტების ჩართულობას უკავშირდება. სტუდენტები ჩაერთვებიან რეგიონების ბიუჯეტის განხილვაში, უნდა გამოთქვან კრიტიკული შენიშვნები და შეძლონ უკეთესი ვარიანტის წარმოდგენა.** საკმაოდ ბევრი დრო დავხარჯე ამ ორი პროექტის მომზადებაში და ეს, ალბათ, ადასტურებს, რომ ვმუშაობ კონკრეტული მიმართულებებით“, — აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.



# მურმან დუმბაძე ივანიშვილსა და ღარიბაშვილს ბრალდებებს უყენებს

**დეპუტატმა მურმან დუმბაძემ მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს ბრალდებები წაუყენა. პარლამენტის ვიცესპიკერი ამტკიცებს, რომ პარტიიდან ბიძინა ივანიშვილთან აზრთა სხვადასხვაობის გამო გარიცხეს.**

დუმბაძის განცხადებით, ის ივანიშვილს აზიზიეს მეჩეთის გამო დაუპირისპირდა, რადგან არ ეთანხმებოდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას მეჩეთის მშენებლობის თაობაზე.

დუმბაძე ამბობს, რომ ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებები და ნაბიჯები არასერიოზულია. ის ასევე ეჭვქვეშ აყენებს ვიცესპიკერის პოსტიდან მისი გადაყენების საკითხს და აცხადებს, რომ პროცედურები რთული იქნება.

მურმან დუმბაძე პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვს.

მსოფლიო

# სარა პეილინმა ამერიკელებს მოუბოდიშა... ობამას გამო

**ალასკის ყოფილმა გუბერნატორმა და ვიცეპრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა სარა პეილინმა მწვავედ გააკრიტიკა პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოქმედება ისლამისტი ექსტრემისტების წინააღმდეგ, — იუწყება ტელეარხი Fox News-ი.**

სარა პეილინის აზრით, აშშ-ის ადმინისტრაციის თვითდაჯერებულობა არის მიზეზი იმისა, რომ თეთრმა სახლმა ვერ შეძლო ჯარების დატოვება ერაყში. ობამა კი ისლამისტებისგან წამოსულ საფრთხეს სერიოზულად ვერ აღიქვამს. **„როდესაც ბარაკ ობამა ისევე, როგორც ჩვენ, ყველანი, ვისმენთ, როგორ იძლევიან ტერორისტები დაპირებას, რომ თეთრი სახლის თავზე ალაჰის დროშას აღმართავენ, ვერ ვხვდები, რატომ არ აღიქვამს ამ მუქარას ის სერიოზულად. ამერიკელებს ბოდიშს ვუხდი... იმიტომ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, ობამა კი არა, ჯონ მაკკეინი უნდა იყოს“,** — განაცხადა პეილინმა.



ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება იყო პრევენცია. ეს ეხება საჯარო მოხელეებს, იმ ადამინებს, რომლებსაც სახელმწიფო საიდუმლოებაზე მიუწვდებათ ხელი და აქვთ საიდუმლო ინფორმაცია“.

# ბესიკ ალადაშვილი: პრემიერი მართალია — «ნაცებს» ნამდვილად აქვთ მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა და ძლიერი სპეცსამსახურიც ჰყავთ!

**2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებასთან ერთად ადამიანები ერთმანეთს იმასაც ულოცავდნენ, რომ თავისუფლად საუბარს შეძლებდნენ, აღარ დასჭირდებოდათ ტელეფონის აპარატიდან პინბარათის ამოღება და სხვა ოთახში გატანა, მაგრამ საზოგადოება დღეს კვლავ საუბრობს უკანონო მოსმენებზე, ამ პრობლემაზე საუბრობენ ადამიანის უფლებათა დამცველებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოფილი და ახალი მთავრობის წევრებიც.**



**აი, რა განუცხადა უფლებათა დამცველმა ირმა ჭკადუამ „საქართველო და მსოფლიოს“:**

„კატასტროფულად ბევრი ნომერი ისმინება, ეს თითქოს კანონიერად ხდება, მაგრამ როგორ შეიძლება, საქმეში, რომელშიც მხოლოდ ოთხი ბრალდებულია, 200 ნომერი ისმინებოდეს?! სასამართლოში პროკურატურიდან შედის მოთხოვნა მოსმენაზე და თითო საქმეზე, სულ ცოტა, 200 ნომერი მაინც ისმინება. თუ გავითვალისწინებთ, რამდენი სისხლის სამართლის დანაშაულია და ამ საქმეების რაოდენობას პროკურატურის მიერ მოთხოვნილი მოსმენების რაოდენობაზე გავამრავლებთ, კატასტროფულ რიცხვს მივიღებთ. **თანაც, მოსმენების კანონიერება საეჭვოა, რადგან პროკურატურას სასამართლო შეცდომაში შეჰყავს და ბრძანება ყოველგვარი მოკვლევის გარეშე გაიცემა — არ ინტერესდებიან, ვის ეკუთვნის ტელეფონის ნომერი, რა კავშირშია ამა თუ იმ საქმესთან. წინა ხელისუფლებას ნებართვა არ სჭირდებოდა, ისე უსმენდა ყველას, მაგრამ დღეს მოსმენას კანონიერი სახე მიეცა, სასამართლოები კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს არღვევენ“.**

პრემიერ ღარიბაშვილის რამდენიმე დღის წინანდელმა განცხადებამ, რომ ყოფილი მთავრობის წევრები კვლავ გვისმენენ, ყველა შეაშფოთა, ხალხმა ვერ გაიგო, გაფრთხილება იყო ეს თუ მთავრობის უნიათობის დადასტურება. მოსმენებზე ლაპარაკობს ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩემი „შოუმენობის“ ამბავს ტელეფონით საუბრისას განვიხილავდი და მეორე დღეს სატელევიზიო ეთერში ითქვაო.

**ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, რატომ აღმოჩნდა მოსმენების პრობლემის აღმოფხვრა ახალი ხელისუფლებისთვის შეუძლებელი და ამ საკითხზე სასაუბროდ სპეცსამსახურების საქმიანობზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის თავმჯდომარეს, პროფესორ ბესიკ ალადაშვილს მივმართეთ.**

— ბატონო ბესიკ, უკვე ორი წელიწადი გავიდა ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან. ყველაფერი მათ ხელშია, პრემიერი კი კვლავ მოსმენებზე ლაპარაკობს. რეალურია, რასაც ის ამბობს?

— დიახ, პრემიერის სიტყვები რეალურია. დღეს მსოფლიოში პორტატული მოსასმენი აპარატურა ხელმისაწვდომია. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში სპეცსამსახურები საკმაოდ კარგად ფინანსდებოდნენ, გასაკვირი არაფერია. **„ნაცები“ თანხებს, ძირითადად, ორი მიმართულებით ხარჯავდნენ: პირველი — ძალოვანების პრემიებსა და ხელფასებში. ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია, თუ კანონის ფარგლებში ჯდება და გვამების ყოლის აუცილებლობაში არ იხარჯება; და მეორე — უდიდესი საბიუჯეტო თანხები მიდიოდა ოპერატიული ტექნიკის შესაძენად, ამაში შედიოდა ფარული სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა.**

სამწუხაროდ, „ნაციონალების“ მიერ შესყიდული მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურის რაოდენობისა და ადგილსამყოფელის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან ამ აპარატურის შეძენა საბუღალტრო აღრიცხვის მიღმა ხდებოდა.

ასე რომ, პრემიერი მართალია — „ნაცებს“ ნამდვილად აქვთ მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა, „კუდები“ ჰყავთ დატოვებული ძალოვან სტრუქტურებში, მათ ძლიერი სპეცსამსახურიც ჰყავთ.

**— ბატონო ბესიკ, რაც თქვით, მძიმე მოსასმენია, მაგრამ რა უნდა ქნას რიგითმა მოქალაქემ, რომელსაც, როგორც ამბობენ, ძველი მთავრობაც უსმენს და ახალიც?**

— 2004 წლიდან ამაზე ვმუშაობ, ეს რეალური საფრთხე იყო იმხანად და დამტკიცდა კიდეც, როდესაც სამალავებში ათასობით ფაილები აღმოაჩინეს. **„ნაცებს“ ჰქონდათ უძლიერესი, უახლესი ტექნიკა და ახორციელებდნენ ტოტალურ მოსმენებს — ისინი თავიანთ მომხრეებსაც უსმენდნენ და მოწინააღმდეგეებსაც. სწორედ მოპოვებული კომპრომატებით ახერხებენ აქამდე თავის გადარჩენას.**

დღეს იგივე ვითარება არ არის, ტოტალური მოსმენები ნამდვილად აღარ არსებობს და მოსახლეობა ამ მხრივ გაცილებით დაცულია, მაგრამ არსებობს დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვან თემებზე ტელეფონით არ უნდა ისაუბრო. საჯარო სამსახურის თანამშრომლებმა, სჯობს, თავი შეიკავონ სატელეფონო საუბრებისგან. მათ შეიძლება არა მხოლოდ საქართველოს სპეცსამსახურები ან დაინტერესებული პირები უსმენდნენ, არამედ უცხო ქვეყნების, რადგან პორტატული მოსასმენი აპარატები ისეთი მობილურია, რომ შესაძლებელია, შორეული ქვეყნიდანაც კი მოგვისმინონ. მსგავსი აპარატებით 20-30 აბონენტის ერთდროული მოსმენაა შესაძლებელი.

**— პრემიერის განცხადება, ყოფილი მთავრობის წევრები კვლავ გვისმენენო, პრევენცია იყო თუ აღიარება, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება უძლურია?**

— რთულია მოსამსმენი აპარატურის აღმოჩენა. სამი წელიწადია, ამაზე მეც და ყველა ამ საქმის ექსპერტი ვსაუბრობთ. მოგეხსენებათ, როგორი მაღალი ტექნოლოგიებია გერმანიაში, მაგრამ ვერაფრით დაადგინეს, უსმენს თუ არა რომელიმე ქვეყანა მათ აბონენტებს. რთულია ამ ყველაფრის დადგენა. **პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება იყო პრევენცია. ეს ეხება საჯარო მოხელეებს, იმ ადამინებს, რომლებსაც სახელმწიფო საიდუმლოებაზე მიუწვდებათ ხელი და აქვთ საიდუმლო ინფორმაცია.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

> «ნაცები» თანხებს, ძირითადად, ორი მიმართულებით ხარჯავდნენ: პირველი — ძალოვანების პრემიებსა და ხელფასებში. ერთი შეხედვით, ამაში ცუდი არაფერია, თუ კანონის ფარგლებში ჯდება და გვამების ყოლის აუცილებლობაში არ იხარჯება. და მეორე — უდიდესი საბიუჯეტო თანხები მიდიოდა ოპერატიული ტექნიკის შესაძენად, ამაში შედიოდა ფარული სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა»



> «სამწუხაროდ, «ნაციონალების» მიერ შესყიდული მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურის რაოდენობისა და ადგილსამყოფელის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან ამ აპარატურის შეძენა საბუღალტრო აღრიცხვის მიღმა ხდებოდა»

## აშშ-ის მთავრობა ჟურნალისტებს ხელს უშლის მუშაობაში

**ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო კომიტეტის განცხადებით, სპეცსამსახურების მხრიდან დევნა პრესის მუშაკებს ხელს უშლით თავიანთი სამუშაოს შესრულებაში.**

ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა გამოაქვეყნა თეთრი სახლისადმი მიმართვა მოთხოვნით, რომ დაცული იქნას მასმედიის მუშაკების უფლება ინფორმაციის მოპოვებასა და გამოქვეყნებაზე. კამპანიამ სახელწოდებით Right to report in the digital age სტარტი 8 სექტემბერს აიღო.

კომიტეტმა ამერიკის მთავრობას წაუყენა სამი მოთხოვნა: აკრძალოს ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების თვალთვალი, ბოლო მოუღოს „აგრესიულ სასამართლო დევნას“, აგრეთვე, — შეწყვიტოს ჟურნალისტების შევიწროება აშშ-ის საზღვრის გადაკვეთისას.

მიმართვის პრეამბულაში აღნიშნულია: **„პრესის მუშაკების მიმართ თვალთვალისა და მუქარის შემთხვევებმა წამოჭრა „შემაშფოთებელი საკითხი“ იმის თაობაზე, რომ აშშ-ისა და დასავლეთის ზოგიერთმა დემოკრატიამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჟურნალისტების მუშაობას. შემაშფოთებელი ცნობები, რომლებიც ედვარდ სნოუდენმა გამოაქვეყნა, მიუთითებს, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სპეცსამსახურები მასმედიისა და უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს უთვალთვალებენ.**

**ჟურნალისტები ვერ ასრულებენ თავიანთ სამუშაოს — საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას — როცა მათ „სამთავრობო ჰაკერები“ უთვალთვალებენ, რადგან ეშინიათ, რომ სასამართლოში მოხვდებიან, ხოლო აშშ-ის საზღვრის გადაკვეთისას მათ ჩხრეკენ და დაკითხვაზე მიჰყავთ“.**

მიმართვას ხელს აწერენ: ტელეარხ CNN-ის წამყვანი კრისტიან ამანპური; Fox News-ის რეპორტიორი იანა ვინტერი; The Huffington Post-ის დამფუძნებელი არიანა ჰაფინგტონი; მათ მხარს უჭერენ სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი“, „ბლუმბერგ ნიუსი“ და უფლებათა დამცველი ორგანიზაციები.

## საფრანგეთმა რუსეთს პირველი მისტრალი გადასცა

**ვერტმფრენმზიდმა „ვლადივოსტოკმა“ უკვე დატოვა ფრანგული ქალაქი სენ-ნაზერის პორტი ტესტირების გავლისთვის.**

მის ბორტზე 200 რუსი მეზღვაური იმყოფება. ეს არის ორიდან პირველი მისტრალი, რომელიც საფრანგეთმა რუსეთს მიჰყიდა. საფრანგეთსა და რუსეთს შორის კონტრაქტი 2011 წელს დაიდო. კონტრაქტის ღირებულება 1 200 000 000 ევროს შეადგენს. გემი რუსეთის შეირაღებულ ძალებს 2014 წლის ბოლომდე ჩაბარდება. რაც შეეხება მეორე მისტრალს, რომლის სახელწოდებაა „სევასტოპოლი“, ფრანგული მხარე მისი რუსეთისთვის გადაცემას 2015 წელს აპირებს.



„ნაციონალების“ ზოგიერთი წარმომადგენელი, არათუ ცხრა, ოცი წელიწადია, ხელისუფლებაშია. გვახსოვს, რომ „მოქალაქეთა კავშირიც“ მათი მშობლიური პარტია იყო. ასე რომ, წლების განმავლობაში, სახელისუფლო უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის შედეგად, მათ აქვთ პირადი კონტაქტები დასავლეთში...

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კახა კახიშვილი:

# «ნაციონალებმა» კარგად იციან, — მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი საშუალება მაიდანია

**„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი არეულობის შესახებ გავრცელებული ხმები ახლახან თავად შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადასტურა. ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, ექსპრეზიდენტმა ქვეყანაში ქაოსის შესაქმნელად თანაგუნდელებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს უკვე მისცა დავალებები და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულება მზადდება. თუ რა რეალური საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა, „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი, საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი ესაუბრა.**




**— ახლახან „ნაციონალების“ მხრიდან მოსალოდნელ შეთქმულებაზე გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში თავად შინაგან საქმეთა მინისტრმა ისაუბრა. მინისტრის განცხადებამდე თქვენ აღნიშნეთ, რომ „ნაციონალებს“ ესკალაციის კონკრეტული გეგმა აქვთ. რა გეგმაზეა საუბარი და რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა?**

— „ნაციონალურ მოძრაობა“ ზუსტად ისე იქცევა, როგორც 2000-2003 წლებში მოქმედებდა. მაშინ „ნაციონალები“ ახდენდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე ცალკეული ინსტიტუტების, მათ შორის, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს დისკრედიტაციას, შემდგომში კი გადავიდნენ თანამდებობის პირების პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებებზე; **ხოლო 2003 წელს „ნაციონალები“ უკვე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში. მართალია, ამ ყველაფერს ისინი რევოლუციას ეძახიან, მაგრამ უნდა ითქვას, სამართლებრივად ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება.**

„ნაციონალები“ ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში სულ სხვა ღირებულებების პროპაგანდას ეწეოდნენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კი, სულ სხვაგვარად მოიქცნენ. ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ საკუთრების უფლების, ადამიანის უფლების, ღირსების დაცვის ლოზინგებით და სრულიად საწინააღმდეგოს კი სჩადიოდნენ. თუმცა „ნაციონალებმა“ კარგად იციან — ისევე როგორც მაშინ, მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი საშუალება რევოლუციაა, მაგრამ როგორადაც არ უნდა მოემზადოს რევოლუციისთვის, თუ ხალხში შესაბამისი რევოლუციური განწყობა არ არსებობს, ისე პოლიტიკური პარტია რევოლუციას ვერ მოახდენს.

**— მაგრამ დღეს ხომ არ არის ეს რევოლუციური განწყობა საზოგადოებაში?**

— არა, დღეს ეს განწყობა არ არის. თუმცა, როგორც ვხედავთ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სულ ახალ-ახალი თემებით გამოდის და ცდილობს, ხელისუფლების, ზოგიერთი ინსტიტუციის ან თანამდებობის პირის დისკრედიტაცია მოახდინოს.

„ნაციონალებს“ აქვთ წლებზე გათვლილი გეგმა, თუმცა ისიც კარგად ესმით, რომ იმდენად დისკრედიტებულები არიან, რევოლუციას თავად ვერ მოახდენენ და ამ ხელისუფლების მიმართ ნებისმიერი უარყოფითი განწყობის შემთხვევაშიც კი ხალხი მათ არ გაჰყვება. **ამიტომ, ჩემი ვარაუდით, „ნაციონალები“ ეცდებიან, სპეციალური სცენარების მიხედვით იმოქმედონ. მაგალითად, ისინი შეეცდებიან, დაასუსტონ „ქართული ოცნება“, გამოკვეთონ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც პირდაპირ „ნაციონალებთან“ ასოცირებულები არ იქნებიან და ხალხშიც ავტორიტეტით ისარგებლებენ, მაგრამ ამავე დროს „ნაციონალებთან“ ფარულ გარიგებაში იქნებიან. ეს მათი მოქმედების ერთი სცენარიო. მეორე სცენარის მიხედვით კი, ისინი შეეცდებიან, შექმნან ძალიან მძიმე სურათი და ამავე დროს მხარი დაუჭირონ ახალი ძალის გამოჩენას, რათა შემდგომში ამ ახალ ძალასთან ერთად მოვიდნენ ხელისუფლებაში; პირველ ეტაპზე, შესაძლოა, — კოალიციურ მთავრობაშიც.**

**— რა ბერკეტებს ფლობენ ამ გეგმების შესასრულებლად და რისი ან ვისი იმედი აქვთ „ნაციონალებს“? ხომ არ აქვთ მათ საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი? ვინაიდან, როგორც ვხედავთ, ამერიკელი თუ ევეროპელი მაღალჩინოსნები გამუდმებით „ნაციონალების“ ლიდერების მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ და მათ დაპატიმრებას ან მათ წინააღმდეგ გამოძიების დაწყებასაც კი პოლიტიკურ დევნად აფასებენ...**

— რაც შეეხება მხარდაჭერას, მოგეხსენებათ, „ნაციონალების“ ზოგიერთი წარმომადგენელი, არათუ ცხრა, ოცი წელიწადია, ხელისუფლებაშია. გვახსოვს, რომ „მოქალაქეთა კავშირიც“ მათი მშობლიური პარტია იყო. ასე რომ, წლების განმავლობაში, სახელისუფლო უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის შედეგად, მათ აქვთ პირადი კონტაქტები დასავლეთში; ამავე დროს ხელისუფლებაში ყოფნის ცხრაწლიანი ვადაც კარგად გამოიყენეს და ლობისტური კომპანიების მეშვეობით მოახერხეს ერთპიროვნული მმართველობის სტილი დასავლეთისთვის მიეწოდებინათ, როგორც დემოკრატიული პროცესები და თავი „დემოკრატიის შუქურად“ წარმოაჩინეს. ასე რომ, „ნაციონალებმა“ მუშაობა კარგად იციან. მათ დღემდე აქვთ უცხოეთში ეს კონტაქტები შენარჩუნებული.

**პროგრამა მინიმუმი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხუთიანზე შეასრულა. არავის ეგონა, რომ ისინი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მორალსა და ადამიანის უფლებებზე საუბარს ისევ დაიწყებდნენ, ვინაიდან, ხალხში რა უარყოფითი განწყობაც იყო მათ მიმართ, კარგად ვიცით. მაშინ, როდესაც ვერავინ იფიქრებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადარჩებოდა, „ოცნების“ პოლიტიკური მხარდაჭერით იგი არათუ გადარჩა, მეტიც, ამ ორი წლის განმავლობაში გაძლიერდა კიდეც.**

## «მაშინ, როდესაც ვერავინ იფიქრებდა, რომ «ნაციონალური მოძრაობა» გადარჩებოდა, «ოცნების» პოლიტიკური მხარდაჭერით იგი არათუ გადარჩა, მეტიც, ამ ორი წლის განმავლობაში გაძლიერდა კიდეც...»

რამდენად შეძლებენ ამ ყველაფრის განხორციელებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ უმრავლესობის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებზეა დამოკიდებული.

**— როდესაც შს მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, ბუნებრივია, მას აქვს ინფორმაცია მოსალოდნელი არეულობის შესახებ. აქედან გამომდინარე, რამდენად ადეკვატურად იქცევა ხელისუფლება და თუ მიმართავს რაიმე პრევენციულ ღონისძიებებს მოსალოდნელი არეულობის თავიდან ასაცილებლად?**

— ის, რაზეც შს მინისტრმა ახლახან ისაუბრა (მოსალოდნელ არეულობაზე), ბევრი ექსპერტი, მათ შორის მეც, ვსაუბრობდი და საბოტაჟის ნიშნებიც აშკარა იყო, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ასეთ განცხადებას შს მინისტრი აკეთებს. ამიტომ ეს განცხადება მხოლოდ განცხადების დონეზე არ უნდა დარჩეს. **თუ საუბარია მხოლოდ საპროტესტო აქციებზე, ეს ჯდება კონსტიტუციის ფარგლებში და ნებისმიერს აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება, მაგრამ თუ იკვეთება კონკრეტული ჯაჭვი მიტინგებიდან ხელისუფლების დამხობამდე და შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მაშინ ხელისუფლებამ სტაბილურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი მოქმედებებიც უნდა განახორციელოს.**

**— რამდენად მართებული იყო თავად შს მინისტრის მიერ ამგვარი განცხადების გაკეთება?**

— ვფიქრობ, შს მინისტრმა ეს განცხადება პრევენციული მიზნით გააკეთა. მან ამით ირიბად მიანიშნა, რომ შს სამინისტრო ფლობს სიტუაციას და იცის, რისთვის ემზადებიან „ნაციონალები“. თუმცა, მე მგონია, რომ ამგვარ განცხადებას დიდი შედეგი არ მოჰყვება, რადგან „ნაციონალების“ მიზნებს შს სამინისტროს პრევენციული განცხადება ნამდვილად ვერ შეცვლის.

**— პრემიერსა და პრეზიდენტს შორის არსებული დაპირისპირება უკვე აშკარაა. ეს ხელს უწყობს თუ არა „ნაციონალებს“ საკუთარი გეგმების განხორციელებაში?**

— რა თქმა უნდა, „ნაციონალებს“ მარტო პრემიერსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობის დაძაბვა კი არა, ყველაფერი, რაც რაიმე პრობლემას ქმნის, ხელს აძლევთ. ელემენტარულად, ხვალ რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ერთმანეთს გამარჯობა არ უთხრან, „ნაციონალებს“ ესეც კი გაუხარდებათ, რადგან მათ ინტერესებშია ვითარების ისე წარმოჩენა, თითქოს ყველაფერი ძალიან ცუდადაა.

**რაც შეეხება პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთობას, ერთმანეთის მეგობრობას მათ არავინ სთხოვს, მაგრამ ქვეყნის საკეთილდღეოდ ორივემ კოორდინირებულად რომ უნდა იმუშაოს, ცხადია და იმედს ვიტოვებ, რომ ამის საფუძველს ორივე მოძებნის.**

**— ბიძინა ივანიშვილი გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში საუბრობს რა „სიცრუის მანქანის“ მუშაობაზე, ამბობს, გპირდებით უფრო აქტიური ვიქნებიო. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მისი ინტერვიუდან, როგორ ფიქრობთ, ყოფილი პრემიერი კვლავ გააქტიურდება?**

— დიახ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი გააქტიურებას აპირებს. როგორც ჩანს, მას აღარ სურს ძველებური ცხოვრების სტილს დაუბრუნდეს, როდესაც ის ჩრდილში იყო და წლების განმავლობაში მხოლოდ მისი სახელი და გვარი ვიცოდით, მაგრამ არც ხელისუფლებაში ყოფნა სურს, მან ხომ თავისი სურვილით დატოვა პრემიერის თანამდებობა. ივანიშვილი სამოქალაქო ორგანიზაციის ლიდერისა თუ ჟურნალისტის ამპლუაში გამოჩნდება, ყველა შემთხვევაში ანგარიშგასაწევი ფიგურა იქნება, რადგან მას დიდი ავტორიტეტი აქვს და მისი თითოეული სიტყვა და შეფასება ყოველთვის სერიოზული განხილვის თემა იქნება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

მოკლედ

## ქუჩაში ალკოჰოლური სასმელის დალევაზე ახალი ჯარიმები ამოქმედდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესებს პასუხისმგებლობას ალკოჰოლური სასმელების სმისთვის შემდეგ საზოგადოებრივ ადგილებში:**

**ა) სტადიონზე; ბ) სკვერში; გ) პარკში; დ) ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში; ე) სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.**

სხვა საზოგადოებრივ ადგილში იგულისხმება საჯარო სივრცე (მაგ., ქუჩა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების პუნქტი, ფეხით მოსიარულეთა მიწისქვეშა გადასასვლელი, ხიდი, გვირაბი, სადარბაზოები და სხვ.), ორი ან ორზე მეტი პირის შეკრების ადგილი.

პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ ადამიანებს სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან ალკოჰოლური სასმელის დალევისას, ასევე, იმ ადგილებთან, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება. აღნიშნული ქმედების პირველად ჩადენისთვის მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას 50-დან 150 ლარამდე, ერთი წლის განმავლობაში განმეორებით შემთხვევაში — ჯარიმას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაპატიეთ და, ამ დეგენერატებმა ნივთმტკიცება გააქრეს. სააკაშვილმა ნივთმტკიცება გადმოუყარა და ამათ უკან დაუბრუნეს, იმის ნაცვლად, რომ მსოფლიოსთვის დაენახვებინათ, ფაქტი ხელში გვიჭირავსო.**



პეტრე მამრაძე:

# ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ პიროვნებები, რომლებიც სათოფეზეც არ იყვნენ მასთან გასაკარებლები

**რამდენიმე თვეა, საქართველოს მოსახლეობა პრეზიდენტისა და პრემიერის ღია თუ ჩუმი დაპირისპირების მოწმეა. მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე ორივე ამბობს, კონკურენტები არ ვართ და ჩვენი საფიქრალი მხოლოდ ხალხის კეთილდღეობააო, რეალური სურათი სხვაა... გვესაუბრება ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე.**



**— ბატონო პეტრე, უკვე კარგა ხანია, ქართველი საზოგადოება პრემიერ ღარიბაშვილისა და პრეზიდენტ მარგველაშვილის დაპირისპირებას უყურებს. თქვენ წლების განმავლობაში ქვეყნის პირველ პირებთან გიწევდათ მუშაობა, თუ ყოფილხართ მსგავსი დავის მოწმე და რომელია მათგან მტყუანი და რომელი — მართალი?**

— გიორგი მარგველაშვილი მინისტრად რომ დანიშნეს, ვინც მას იცნობდა, ყველა ამბობდა, „მარგველა" მინისტრი გახდა, ე. ი. საქართველოს დედა აღარ ჰყავსო...

შევეცდები, ყველაფერი თანმიმდევრობით გავიხსენო... 2013 წლის 3 მაისს განათლების იმჟამინდელი მინისტრი მარგველაშვილი თავისი უნივერსიტეტის — ჯიპას სტუდენტებს შეხვდა და განუცხადა, რომ შრომის კოდექსი, რომელიც სახელმწიფომ ხელახლა შექმნა, არის როზა ლუქსემბურგის ოცნება და ამის შემდეგ ქვეყანაში ყველაფერი ჩაკვდება. მარგველაშვილი ამ მომენტში მინისტრი და ქვეყნის ვიცეპრემიერი გახლდათ...

ყველა კანონზე, რომელთაც მთავრობა განიხილავს, ცხარე კამათი მიმდინარეობს, მაგრამ, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია, გარეთ ამბის გამოტანა აღარ შეიძლება, თუ ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და არ ეთანხმებოდა, მაშინ გარეთაც არ უნდა გამოეტანა ეს ამბავი, მაგრამ, **თუ საჯაროდ განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება, თანამდებობაც უნდა დაეტოვებინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა...**

**— თუ შეცდომა ჰქონდა დაშვებული, პრეზიდენტობის კანდიდატად როგორ დასახელდა?**

— თუ შეიძლება, განვაგრძობ... იმხანად მას იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა გასცა პასუხი, რომ ეს კოდექსი „ოცნების" ოცნება იყო. ამის შემდეგ **გამოვიდა ბიძინა ივანიშვილი და განაცხადა, რომ მარგველაშვილის თვალსაზრისს სრულად იზიარებს, არადა, განკარგულებას ხელი სწორედ ივანიშვილმა მოაწერა.**

11 მაისს ივანიშვილმა მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა, რასაც „ქოცები" აღფრთოვანებით შეხვდნენ და უკონკურენტო კანდიდატად გამოაცხადეს.

15 მაისს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა, მეტსახელად „ბოცომ", ამოიღო ფურცელი და დაიწყო ასეთი ტექსტის კითხვა: „ვინ არის ივანიშვილი თუ არა რუსეთის მცდელობა — რბილი ძალა გამოიყენოს საქართველოში? ვინ არის ივანიშვილი, თუ არა რუსეთის პროექტი, რომელიც რუსეთმა დასავლეთს შეუთანხმა და სრულიად ცივილიზებულ სამყაროს? ეს ადამიანი ჩემთვის სწორედ ამით არის საინტერესო..." „ბოცოს" ამ გამოსვლას ხმაური მოჰყვა. „ქოცები" აყვირდნენ, „ბოცომ" „ქოცებს" ყვირილი ადროვა და თქვა: „ეს პრეზიდენტობის კანდიდატის — მარგველაშვილის გამონათქვამებია". „ქოცები" დადუმდნენ.

ამ ამბების შემდეგ, ორიოდე დღეში შემხვდა „ოცნების" ერთ-ერთი სახე, რომელმაც მითხრა, რომ ბიძინამდე ასეთი ამბები არ მიდის...

**— თუ ეს ამბავი ყველამ ვიცით, ივანიშვილს ინფორმაცია არ აქვს?**

— ბიძინამ მაკროამოცანა გადაწყვიტა — სააკაშვილი მოგვაშორა.

გადავიდეთ ძირითად შეცდომებზე. ალბათ, გახსოვთ ვანიჩკა მერაბიშვილის ციხიდან გამოყვანის ამბავი. იმხანად პრეზიდენტს ან თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარეს რომ ემოქმედა, ყველაფერი უცებ და ქვეყნისთვის სასიკეთოდ დასრულდებოდა. **სადისტური სისტემის ხერხემალმა მერაბიშვილმა განაცხადა, პროკურორმა ციხიდან გამიყვანაო. ამ კადრებს იღებს ექვსი კამერა და ხელისუფლებიდან არავინ ითხოვს, რომ ამოიღონ ფირები და სიმართლე დაადგინონ. ვანიჩკა ტყუილს ვერ იტყოდა, რადგან სიმართლის დადგენა ადვილი იყო, ხელისუფლების ასეთმა საქციელმა მერაბიშვილი პოლიტიკურ ფიგურად აქცია.**

**მარგველაშვილის პირდაპირი მოვალეობა იყო, დაერეკა ღარიბაშვილთან და ეთქვა, — სასწრაფოდ ამოიღეთ კადრები და ყველა დამნაშავე დასაჯეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს მოვიწვევ და თავად დავადგენ ყველაფერსო! ვინმე გაუწევდა წინააღმდეგობას? თინა ხიდაშელმაც ხომ თქვა, სიმართლის დადგენას მხოლოდ 20 წუთი სჭირდებაო.** ამ ამბავზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ დიდი სკანდალი მოხდა, გიგი უგულავამ პროკურორის ნასამართლეობის ფაქტები გაასაჯაროა და მთავრობა თავის მართლების რეჟიმში ჩააყენა, ვანიჩკა კი პოლიტიკური ფიგურა გახდა.

**— რასთან გვაქვს საქმე?**

— პროვინციალიზმთან, მარაზმთან, ანტისახელმწიფოებრივ მიდგომასთან. **ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ პიროვნებები, რომლებიც სათოფეზეც არ იყვნენ მასთან გასაკარებლები. ტყუილად კი არ ამბობდნენ ის ადამიანები თავის დროზე, „მარგველა" თუ მინისტრია, დედა აღარ გვყავსო... თალიბანი პიროვნება რომ ჰგონია შინაგან საქმეთა მინისტრს, „ჰაკიმ ფაშა" კი ამბობს, ლექსოს დიდი პოტენციალი აქვს და სწრაფად იზრდებაო — ეს პროვინციალიზმი არ არის? ამ ადამიანების, ამ გუნდის საქმესთან მიკარება არ შეიძლებოდა.**

გიორგი მარგველაშვილმა დაივიწყა ფიცი, რომელიც ქვეყნის წინაშე დადო. ეს არის კაცი, რომელიც „კალიგულას" სასახლეში შევიდა იმიტომ, რომ „ნაცები" ამას კატეგორიულად მოითხოვდნენ და რაღაზე ვლაპარაკობთ?! „მარგველას" ბევრი მეგობარი ჰყავს „ნაცებში", მისთვის ბავშვობის მეგობრობა ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ, ის მათ სურვილებს ყოველთვის შეასრულებს, „მარგველამ" სასახლეში შესვლით მიშას სურვილი აასრულა. პრეზიდენტის სასახლეში შესვლა მხოლოდ იმიტომ არ შეიძლებოდა, რომ არშესვლით ახალი ხელისუფლება იმ დიდ დანაშაულებრივ ჯგუფს სიმბოლურად გაემიჯნებოდა.

გავიხსენოთ „გრიფ საიდუმლოს" მოხსნის ამბავიც: ეს იყო დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხის გაფლანგვის ფაქტი, რომელზეც პრეზიდენტმა უსწრაფესი რეაგირება არ მოახდინა და პროკურატურა იძულებული შეიქნა, საჯარო მიმართვა გაეკეთებინა. მარგველაშვილმა კი განაცხადა, ვარჩევდი მომენტს, როდესაც გრიფის ახსნა ყველაზე ნაკლებად დააზიანებდა საქართველოსო. მე სკამიდან არ ჩამოვვარდი ამ გაცხადების მოსმენისას, რადგან ბევრის მომსწრე ვარ... ეს არის ერთი შეცდომა, რომელიც პრეზიდენტმა დაუშვა და მეორე ის, რომ, **მაპატიეთ და, ამ დეგენერატებმა ნივთმტკიცება გააქრეს. სააკაშვილმა ნივთმტკიცება გადმოუყარა და ამათ უკან დაუბრუნეს, იმის ნაცვლად, რომ მსოფლიოსთვის დაენახვებინათ, ფაქტი ხელში გვიჭირავსო.**

გადის დრო და უარესი სანახაობა ვიხილეთ, ვიდრე შალახოს თანხლებით ხელმოწერილი დოკუმენტი იყო. ეს არის დავა და კამათი ხელს ვინ და რაზე მოაწერს და ვინ საით წავა. ასე ბაზრის ქალებიც არ იქცევიან. უცხოელები, ამ ყველაფრის შემყურე უცხოელები მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებენ — „ინქრედიბელ", ანუ დაუჯერებელიაო.

**— მარგველაშვილი ამბობს და მართალიც არის, რომ ის არჩეული პრეზიდენტია, ხოლო ღარიბაშვილს ეს თანამდებობა მემკვიდრეობით თუ საჩუქრად ერგო...**

— კი, **მარგველაშვილი არჩეულია, თუმცა ვიცით, რომ სინამდვილეში ის ივანიშვილის ხათრით აირჩიეს, ტყუილად კი არ შეარქვეს მას ბიძინა მარგველაშვილი. ღარიბაშვილიცა და მარგველაშვილიც — ორივე დანიშნულია.**

ახლა გაეროში წასვლაზე ხოცავენ ერთმანეთს. სასურველია, ასეთ შეხვედრაზე ქვეყნიდან ერთი დელეგაცია წავიდეს და ერთი ხელმძღვანელი ჰყავდეს. გაერო ქვეყნებს არ ზღუდავს. ჩვენ გაეროში გვყავს შესანიშნავი დიპლომატი — კახა იმნაძე, მასაც შეუძლია, ქვეყანა წარადგინოს, გააჩნია დელეგირებას. ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას აქვს პერსონალური მიწვევა კლიმატის სამიტზე გაეროს გენმდივნისგან და მას უპასუხა დასტურით, რომ ჩადის. ამის შემდეგ უკეთესი იქნებოდა, მთავრობას ეს ჩვეულებრივ ამბად მიეღო, გაეროში იტყოდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი კლიმატის სპეციალისტია...

**გაცილებით უარესი გააკეთეს იმით, რომ პრეზიდენტთან დავა დაიწყეს, ნაცვლად იმისა, რომ მისთვის დაეთმოთ — გუნდის შიგნით რა ხდებოდა, ამას ვერავინ გაიგებდა. ამ კამათით, ამაზრზენი დავით ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ პროვინციულ ჭაობში ვიძირებით.**

ამ დავა-კამათით ბევრი დავკარგეთ, იმიჯი ძალიან შეგველახა. იცით, რა მაინტერესებს? რატომ არ სვამენ კითხვას ჟურნალისტები — თუ მარგველაშვილმა მოწვევა ნამდვილად მიიღო, შემდეგ ვინ ჩაუშალა შეხვედრა? გაეროს გენმდივანს ხომ უკვე დაჰპირდა, რომ აუცილებლად ჩამოვალო? უცხოეთში ასეთი განცხადების შემდეგ ჟურნალისტების შეკითხვებს თავს ვერავინ აარიდებდა. აქ კი არავინ იკითხა, ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე უარი რატომ განაცხადა, მაშინ, როდესაც დასტური გაგზავნილი ჰქონდა.

**ვისურვებდი, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო ის პიროვნება, რომელიც გაწუხრელად შეასრულებდა ქვეყნის წინაშე დადებულ ფიცს, მაგრამ მას, თავისი ფსიქიკიდან გამომდინარე, ამის გაკეთება არ შეუძლია.** საქართველო დღეს იმართება, როგორც სააქციო საზოგადოება, რომლის პაკეტიც ერთი ადამიანის ხელშია. ასეთი მმართველობის შემოღების მცდელობა ქვეყნის პარალიზებას იწვევს. **პრეზიდენტი თავის სიმაღლეზე რომ მდგარიყო, ამ მდგომარეობაში არ ჩავვარდებოდით, დეპორტირებული კანონიერი ქურდის — რომან ბარბაქაძის ტრაპიდან გაყვანას ვერავინ მოახერხებდა... ასეთ დიდ დანაშაულს ის ქვეყანა სჩადის, რომელსაც პრეზიდენტი არ ჰყავს.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

მსოფლიო

## კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით ბარსელონის ქუჩებში 1,8 მლნ ადამიანი გამოვიდა

**11 სექტემბერს, კატალონიის დღეს, ბარსელონის ქუჩებში ასიათასობით ადამიანი გამოვიდა კატალონიის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების მხარდასაჭერად.**

ბარსელონის მერიის მონაცემებით, აქციაში წითელ-ყვითელ (კატალონიის დროშის ფერები) მაისურებში გამოწყობილი 1,8 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, რომლებმაც მიმდინარე წლის 9 ნოემბერს ავტონომიის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს. აქციის მონაწილეებმა შექმნეს გიგანტური ასო „V". სწორედ ამ ასოთი იწყება ესპანურ ენაში სიტყვები: „გამარჯვება", „ნება", „კენჭისყრა".

ესპანეთისგან გამოყოფის პირველი მცდელობა კატალონიელებს გასული საუკუნის დასაწყისში ჰქონდათ. 1979 წელს კატალონიამ ავტონომიის სტატუსი მოიპოვა, 2006 წელს — დიდი ფინანსური დამოუკიდებლობა, 2009-2010 წლებში ჩაატარა რამდენიმე არაოფიციალური რეფერენდუმი, რომლებზეც გატანილი იყო დამოუკიდებლობის საკითხი. 2012 წელს კი ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დამოუკიდებლობას დაუჭირა. ბოლო რეფერენდუმი, რომელიც 9 ნოემბერს არის დანიშნული, ესპანეთის პარლამენტმა უკანონოდ გამოაცხადა.



**უცხოურ მედიაში აღნიშნავენ, რომ მოვლენათა ამ ერთობლიობამ, რომლებიც თვითმხილველთა მიერ და დოკუმენტებით არის დადასტურებული, უფლება მისცა შვედ ჟურნალისტებს, ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის გამანადგურებელი ბრალი წაეყენებინათ ბილდტისთვის — კორუფციაში მონაწილეობის ბრალი.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბილდტი — მიშას მეგობარი

> ვაიმე, ჩემო,
> ვაიმე, ჩემო ვენახო,
> შვიდ წელიწადს,
> შვიდ წელიწადს
> ვერ განახო...
> *ხალხური სიმღერიდან*

## ბუფონადა საერთაშორისო მედიაში აგორებული ერთი სკანდალის თემაზე

**კადრი: „ევროპაზე ორიენტირებული“ ორი მამაკაცი კახეთში, სააკაშვილიანთ მამულში ყურძენსა კრეფს: ერთი მასპინძელია — მიხეილი, იმ დროს ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტი; მეორე — კარლ ბილდტი, ამ ორშაბათამდე შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.**
**რთველია! კახეთის ზეიმი, თავისი წესებითა და მხიარული რიტუალით.**
**ამათაც უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ვინ დაიჩემებს, რომ საკუთარი თვალით ნახა, რა და როგორ იყო.**
**მაგალითად, როგორ გააგორეს მიშას ჩასუქებულ სტუმართაგან ვინმე ვენახის რიგთა შორის, უფრო უხვმოსავლიანი საგაისო რთველის გარანტირების მიზნით:**
**„— ბარაქა, გოგი!**
**— წადი, შენი!..“**



იმ, ლარივით გაჭიმულ რიგთა შორის, კახელები „პლანს“ რომ ეძახიან, თუ რამეს გააგორებდნენ უფრო მსუქანი მოგების მისაღებად, კონტრაქტი უნდა ყოფილიყო, დოკუმენტი თანამშრომლობის, დიდფულიანი, იმ კადრში ვაზის ძირთან წაკუზულებისთვის არნახული სარგებლის მომტანი.

არა, რო?

მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ მაინც და მაინც ვენახში, მაინც და მაინც სააკიანთ მამულში არ გაფორმებულა ეს სახელმწიფო აქტი: სახელისუფლო დერეფნებში ჩამოტარებით გაოფიციალურდა გრიფით „საიდუმლო“, დაიწერა ბილდტის კარნახით, იმდროინდელმა პრემიერმა ნოღაიდელმა ხელი მოაწერა და მიშამ ბეჭედი დაუსვა.

წავიდა მილიონები ქვეყნის სალაროდან ბილდტის შვედურ ჯიბეში, რომელსაც ამდენიც დაუტევია და ამაზე ბევრად მეტი ამერიკული დოლარი. ხოლო ვაზის ძირთან მეგობრულ ექსტაზში ჩაცუცქვა, რაც ასეთი მონდომებით აღბეჭდა პრეზიდენტყოფილის პირადი ფოტოგრაფის პროფესიულმა კამერამ და აიტაცა მედიამ, იყო ამ კონტრაქტით უზრუნველყოფილი პიარის ერთი შტრიხი, შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი.

**„— წადი, შენი!..“**

საქართველო მიშას სურვილების ქვევრში ჩაკეტილი აღმოჩნდა. უკვე მერამდენედ...

რთველი ბარაქიანი, მტევნები დასკდომაზე და ორი, ევროპაზე ორიენტირებული კაცის თეთრი ვარდებივით თეთრი ფეხებით ჩელენტანოს ცეკვის რიტმში დაწურული საფერავი წარმოსახვაში თუ არსებობს მხოლოდ, რადგან ორივეს პედიკურიან ფეხებზე ეკიდა ვენახიც, კახეთიც და სრულიად საქართველოც.

**„ნა რეჩკე, ნა რეჩკე,**
**ნა ტომ ბერეგუუ,**
**მილა მარუსენკა**
**ბელიე ნოჟკი...“**

მღეროდა ცხვირა ბიჭი გიორგი დანელიას და რეზო გაბრიაძის ფილმში „არ დაიდარდო!“, მაგრამ ის ნაპირი, სადაც მარუსენკა თეთრ ფეხებს იბანდა, ოკუპანტ რუსეთს ეკუთვნოდა და მიუწვდომელი იყო.

დადნა ამათი გული და ცრემლი მოსწყდა ევროპაზე ორიენტირებული ამ ორი კაცის თვალებს. ცრემლი, როგორც „ვაზის ნაჟური“. და ესეც, მგონი, კიდევ ერთი, კუმპალივით პატარა ციტატაა კიდევ ერთი ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან „ღვინის ქურდები“, ელიბოს ნათქვამი კუპლეტი:

**„შენი ჭირიმე, შენია,**
**ჯამს წვეთიც არ შერჩენია,**
**შეგარგოს ვაზის ნაჟური,**
**ვაჟი ყოფილხარ, ვაჟური“.**

გასამდა. და დათარსული თავსატეხი ახლა დაეწყო სააკაშვილ-ბილდტის იდილიურ ურთიერთობას.

**შვედურმა გაზეთმა „Aftonbladet“ გამოაქვეყნა უმაღლეს დონეზე პოლიტიკური კორუფციის სურნელების მქონე სკანდალური წერილი, რომელიც ამ ორი ადამიანის ურთიერთობასთან არის დაკავშირებული.**

პუბლიკაციაში ლაპარაკია ამბავზე, რომელმაც ააფორიაქა ნაცკრაზანების ბუდე და ეს კვირაა, განსჯა-განხილვის საგნად იქცა ქართულ ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში.

ჩვენთან აქცენტი სააკაშვილზე კეთდება, შვედეთში — ბილდტზე, რომელიც ამგვარ სკანდალებში სხვა დროსაც ყოფილა გარეული.

გაიხსენეს, რომ **კონსალტინგურ კომპანია „კრეაბს“, რომელსაც სააკაშვილი მილიონებს უხდიდა, ერთ დროს ბილდტი ედგა სათავეში და მას შემდეგაც არ გაუწყვეტია მასთან კავშირი, რაც აქედან პირდაპირ საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში გადაბრძანდა.**

კონკრეტიკა ასეთია:

**2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ სააგენტოს („კრეაბს“) 14-ჯერ გადაურიცხა საერთო ჯამში 4,5 მილიონი ლარი. ამგვარად განაყოფიერებულ ნიადაგზე აღმოცენებული მეგობრობა, როგორც**

## შვედურმა გაზეთმა «Aftonbladet» გამოაქვეყნა უმაღლეს დონეზე პოლიტიკური კორუფციის სურნელების მქონე სკანდალური წერილი, რომელიც ამ ორი ადამიანის ურთიერთობასთან არის დაკავშირებული

**ექსპერტები აფასებენ, კორუფციული გარიგების ნაირსახეობად წარმოგვიდგა.**

საქართველოს პარლამენტის ნაცდეპუტატ დავით დარჩიაშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა შეკითხვები რომ დაუსვეს, მწყაზარ სახეზე ერთდროულად ისეთი გაოცება და აღშფოთება აღებეჭდა, ისეთ ცინიზმთან შეზავებული, რომელიც ნაცუმცირესობის საერთო თვისება იყო ყოველთვის, ხოლო ერთი ხანია, განსაკუთრებით გაუმძაფრდა.

სხვა რა დარჩენია?

— შვედეთის საგარეო მინისტრისთვის კორუფციაში ბრალის დადება „ოცნების“ პოლიტიკური ხრიკია. შვედეთი კორუფციისგან სრულად განწმენდილი ქვეყანაა და კორუფციონერი მინისტრის არსებობა ბოროტი ჭორია, — დაახლოებით ასეთი იყო მისი ცინიკური ტირადის დედააზრი.

სააკაშვილი იმავეს აცხადებდა, ოღონდ საქართველოს შესახებ და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ წმინდა მიხეილად გვასაღებდა თავს.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ „ანტიკორუფციონერსა“ და მისი, ასევე „კორუფციასთან მებრძოლი“ გუნდის წევრებს მთავარი პროკურატურის გამოძიების მასალებით მამალ კორუფციაში დაედოთ ბრალი.

გაიშიფრა ელიტური კორუფცია.

ბილდტი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურად 14-ჯერ ჩამოვიდა. რა დარჩენოდა, რას ეძებდა?

კალთას აფარებდა გულუხვ კლიენტს, პიარის მტლად ედებოდა და რჩევებს აძლევდა განსაკუთრებით ისეთ კრიზისულ სიტუაციებში, როგორიც 2007 წლის ოპოზიციური აქციების უმოწყალო დარბევის, ტელეკომპანია „იმედის“ აწიოკება-დახურვისა და 2008 წლის გაყალბებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა.

ეხმარებოდა არა სიტყვითა ხოლო, საქმითაც; მათ შორის, საკადრო გადაწყვეტილებით: როცა 2008 წლის არჩევნების არალეგიტიმურობაზე საერთაშორისო დამკვირვებლებთან ერთად საქართველოში შვედეთის ელჩიც ალაპარაკდა, ბილდტმა ეს პატიოსანი დიპლომატი სასწრაფოდ გაიწვია — მოაცილა საქართველოს, ხოლო არჩევნები დემოკრატიის დიდ გამარჯვებად გამოაცხადა.

უცხოურ მედიაში აღნიშნავენ, რომ მოვლენათა ამ ერთობლიობამ, რომლებიც თვითმხილველთა მიერ და დოკუმენტებით არის დადასტურებული, უფლება მისცა შვედ ჟურნალისტებს, ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის გამანადგურებელი ბრალი წაეყენებინათ ბილდტისთვის — კორუფციაში მონაწილეობის ბრალი.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ იმ პიარში, რომელსაც ბილდტი სააკაშვილის გასამართლებლად და განსადიდებლად აწარმოებდა, მიღებული გასამრჯელო არის ქრთამი და არა ჰონორარი, გაცემულ და მიღებულ თანხას ოფიციალურად რომ უწოდებენ.

ასეთივე „ჰონორარი“, ოღონდ გაცილებით მეტი — რვა მილიონი დოლარი, სააკაშვილს გადახდილი აქვს ამერიკული კომპანიისთვის, რომლის დამფუძნებელია სენატორ მაკკეინის ერთ-ერთი ასისტენტი.

შვედ ჟურნალისტებს არა ერთხელ უცდიათ, გაერკვიათ, როგორ ახერხებდა იგი ყველა „ბნელი“ საქმიდან თავის დაძვრენას. მას ადარებდნენ ცნობილ ფირმა „ტეფალის“ ტაფას, რომელიც ცხიმს არ იკარებს.

„ტეფალის“ კაციაო.

**გარკვეულია, რომ ეს კაცი მულტიმილიონერი გახდა ჯერ კიდევ 2003 წელს იმის წყალობით, რომ წევრი იყო ამერიკული კომპანიის, რომელიც იარაღის მწარმოებელ კომპანია „ლოკჰიდ მარტინთან“ იყო დაკავშირებული. ამას გარდა, ბილდტმა დიდი ფული იშოვა კომპანია „ლუნდინ ოლდში“ დირექტორის საბჭოს წევრად მუშაობისას, რომლის (კომპანიის) წინააღმდეგ დღესაც გრძელდება გამოძიება სუდანში სამოქალაქო ომის სპონსორობის ბრალდებით.** ეს ძმათამკვლელი დაპირისპირება დაინტერესებულმა ძალებმა წამოიწყეს ნავთობის საბადოებზე კონტროლის დაწესების მიზნით. არეულობას შეეწირა 10 ათასი ადამიანის სიცოცხლე, სამხრეთ სუდანიდან დეპორტირებული იქნა 200 ათასი მოქალაქე.

ასეთ „ბნელ“ საქმეებში მონაწილეობის მიუხედავად, ამერიკაში იგი მიღებული კაცია. 70-იან წლებში სწავლობდა შტატებში და პერსპექტიულ პოლიტიკოსად ითვლებოდა. **ზოგიერთი ცნობის მიხედვით, სწორედ ამ ხანებში დაუმეგობრდა ბილდტი აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებს. რას ნიშნავს ასეთი დამეგობრება, განმარტებას არ საჭიროებს.**

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და გეტყვი, ვინ ხარ შენ“.

ბილდტსა და სააკაშვილსაც ასეთი „მეგობრობა“ აკავშირებდათ, მიიჩნევენ ექსპერტები. 90-იან წლებში იგი (ბილდტი), როგორც ევროკავშირის სპეცწარმომადგენელი, კურირებდა იუგოსლავიის დანაწევრებისა და სერბეთიდან კოსოვოს გამოყოფის საკითხებს. ასეთ გზაგავლილ და გამოცდილებადაგროვილ მოღვაწეს არ შეეძლო, აქტიური მონაწილეობა არ მიეღო უკრაინის ამჟამინდელ კრიზისში. ექსპერტები ამბობენ, რომ კიევში იგი იმდენად შვედეთის ინტერესების დამცველად არ გამოდიოდა, რამდენადაც ამერიკის ინტერესების გამტარებლად.

ამ მოღვაწის სრული პორტრეტის წარმოსადგენად “ვიკილიქსის” მიერ განსაიდუმლოებული დიპლომატიური დოკუმენტები მოვიხმოთ.

ამერიკელი დიპლომატები მიიჩნევდნენ, რომ ბილდტი “ჯიუტი”, “თავდაჯერებული” და “შეზღუდული დიპლომატიური შესაძლებლობების” მქონეა. დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წონა და გავლენა აქვს, და ამ ყველაფრისა გამო ადარებენ “საშუალო სიდიდის ძაღლს დიდი ძაღლის ჩვეულებით”.

**არმაზ სანებლიძე**
*უცხოური მედიის მიხედვით*

**P.S. „საქართველო და მსოფლიო“ ბევრს წერდა და ღიად მიუთითებდა ბილდტის „საგმირო საქმეებზე“. მაშინ დასავლური მედია და საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ფაქტებით არ დაინტერესებულან, რაც ნათლად მოწმობს, რომ მათ ინტერესს წარმოადგენს არა სიმართლე, არამედ მომენტი. ბილდტის მიმართ წაყრუებას ისინი დღემდე გააგრძელებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილის მეგობარმა პატრონები გაანაწყენა...**

**შვედეთის საპარლამენტო არჩევნებში, გასულ კვირას რომ გაიმართა, წინასწარი მონაცემებით, მმართველმა ალიანსმა, რომელშიც ბილდტის პარტია შედიოდა, მანდატების უმრავლესობა ვერ მოიპოვა. გაიმარჯვა შვედეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, მემარცხენე პარტიამ და გარემოს დაცვის პარტიამ.**

**პრემიერმინისტრმა ფრედერიკ რეინფელდმა აღიარა დამარცხება და თავისი და მთავრობის გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. ვარაუდობენ, რომ მთავრობის მეთაურის პოსტს დაიკავებს სტეფან ლევენი, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიდერი.**

**გუდ ბაი, ბატონო ბილდტ, რომელიც იმდენს ეცადა პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, რომ თავისი მინისტრობაც დაკარგა.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აგერ შეხედეთ რა ხდება უკრაინაში... ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ დღესდღეობით ამერიკისთვის საშველია ომი. აი, ასეთი დაპირისპირების არეალში ვექცევით ჩვენც და იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდეს ამის თავიდან ასაცილებლად, ესენი გამოდიან და საქართველოში ნატოს ბაზების შექმნაზე საუბრობენ.**

ავთანდილ უნგიაძე:

# თურქეთი არის რელიგიური ოკუპანტი

## რესპუბლიკური პარტია ხელს უწყობს თურქეთის ექსპანსიურ პოლიტიკას...

**ბოლო დროს გახშირებულ ანტიმართლმადიდებლურ კამპანიაზე, ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძე.**

**— ბატონო ავთანდილ, ბოლო პერიოდში ეკლესიის დისკრედიტების მცდელობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. კონკრეტული პირები თუ ორგანიზაციები გამოდიან და უკვე პირდაპირ აცხადებენ, რომ საპატრიარქო ბოროტების ბუდეა, რომ პატრიარქი უნდა დაიჭირონ და ა.შ. წინა კვირას ქობულეთში, ისლამურ პანსიონთან მომხდარმა ინცინდენტმა ეს პროპაგანდა კიდევ უფრო გაამძაფრა. თქვენ რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— ქობულეთში მომხდარ ინცინდენტს პირდაპირ შეიძლება პროვოკაცია ვუწოდოთ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ეს ფაქტი საეჭვოდ დაემთხვა თურქეთის რელიგიური ლიდერის ვიზიტს საქართველოში. საერთოდ ასეთი ვიზიტების დროს ხდება ხოლმე მსგავსი საკითხების გამწვავება და მე ვფიქრობ, რომ ეს შემთხვევითი არ არის. ამის უკან დგანან გარკვეული ძალები და მათ აქვთ კონკრეტული ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტებას, მის საბოლოოდ განადგურებას.

**ახლა რაც შეეხება თურქეთის რელიგიური ლიდერის ჩამოსვლას, იგი პრეტენზიებით მიბრძანდა საპატრიარქოში, რომ თურმე საქართველოში მუსლიმანური მოსახლეობის უფლებები ვერ არის მთლად კარგად დაცული, მაგრამ მიიღო საკადრისი პასუხი.** საერთოდ, საპატრიარქო იყო და ყოველთვის იქნება პრინციპული ისეთ საკითხებზე, რომელიც ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ ვერანაირი დისკრედიტების მცდელობა და ბინძური კამპანია მას ზიანს ვერ მიაყენებს, პირიქით, ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეკლესიას და მის მრევლს, რომელიც მუდმივად არის ამ ბნელი ძალების სამიზნე.

**— უფლებადამცველები ხშირად აცხადებენ ხოლმე, რომ აჭარის მუსლიმანური მოსახლეობა განიცდის დისკრიმინაციას, თუმცა ქრისტიანი ქართველების დისკრიმინაციაზე არავინ საუბრობს. მაგალითად თურქეთში ერთდერთი ეკლესიაა ქართლი ეკლესია, რომელსაც იურიდიული სტატუსი არ გააჩნია. თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?**

— ეს თემა ორი კუთხით უნდა განვიხილოთ, — ერთი, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემა და მეორე, როგორც გლობალური პრობლემა, რომელიც საქართველოს ფარგლებს სცილდება. **პირველი აშკარად იკვეთება ისლამიზაციის სახით, რაც გამოიხატება მეჩეთების მომრავლებაში, ხოლო მეორე, — გლობალური პრობლემა ჩანს უკვე მსოფლიო მასშტაბით. ანუ, ფაქტობრივად აქ სახეზეა რელიგიური ექსპანსია და საინტერესოა, ვინ ახორციელებს ამას. დღეს ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამის უკან დგას თურქეთი...**

**— თურქეთის მცდელობა გასაგებია, მაგრამ მას რომ ქვეყნის შიგნით, ხელისუფლებაში არ ყავდეს დასაყრდენი, ასე იოლად ხომ ვერ შეძლებდა გეგმის განხორციელებას?**

— კიდევ ვიმეორებ, თურქეთი არის რელიგიური ოკუპანტი, მას აქვს კონკრეტული გეგმები აჭარასთან, ახალციხესთან დაკავშირებით და ა.შ. რაც შეეხება მის დასაყრდენს, ადრეც არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, აჭარის მუსულმანური მოსახლეობის ნაწილი არის თურქეთის პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებაში არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ პროცესს. ეს არის რესპუბლიკური პარტია, რომელიც აგრძელებს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებულ ანტიეროვნულ პოლიტიკას და მიზანმიმართულად ანგრევს, აკნინებს ყველაფერ ქართულს.

**— არასამთავრობო ორგანიზაციებზე რა აზრის ხართ? ქობულეთის ინცინდენტის შემდეგ მათ საგანგებო განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ევროკომისიის რეკომენდაცია ისლამოფობიის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.**

— ეს ე.წ. რეკომენდაციები ხომ სასაცილოა?! ნახეთ რა ხდება, ამერიკის შეერთებული შტატები ვითომ შეშფოთებულია იმით, რომ ისლამისტი ფუნდამენტალისტები ხოცა-



**«მათ იყიდეს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, სახელისუფლო თუ ოპოზიციური, რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ისინი არიან დასავლეთის აგენტურული ქსელის წარმომადგენლები საქართველოში»**

ვენ მსვიდობიან მოსახლეობას, რის გამოც ომი გამოუცხადა მათ, ამ დროს საქართველოში ხელს უწყობს ისლამის გავრცელებას. ბუნებრივია ყველას უჩნდება შეკითხვა, რაშია საქმე? **ცალსახად ეს არის მართლმადიდებლობისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რომელიც დაგეგმილია და ხორციელდება ნელნელა, იმისდა მიხედვით, თუ სად რა ვითარებაა, კონკრეტულად რა სახის კამპანიის ჩატარებაა საჭირო.**

**— კონკრეტულად რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ებრძვის მართლმადიდებლობას?**

— **ავიღოთ თუნდაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვაშინგტონს აშფოთებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული, პრივილეგირებული მდგომარეობა სხვა რელიგიურ კონფესიებთან მიმართებაში. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ მათ აღელვებთ ეკლესიის გავლენა საზოგადოებაზე, მისი როლი და ავტორიტეტი.**

ახლა გაიხსენეთ რა თქვა ნატოს გენერალურმა მდივნმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, როდის უნდა დაიმსხვრეს მითი, რომელიც ორიათასი წლის შეიქმნაო. გულისხმობდა მაცხოვრის განკაცებას. **ან იგივე კარლ ბილდტის (შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) განცხადება ავიღოთ: „მართლმადიდებლობა ისლამურ ფუნდამენტალიზმზე საშიშია. იგი წარმოადგენს მთავარ მუქარას დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ცდილობს ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ ცნობს გეებსა და ტრანსგენდერებს."**

მოკლედ, მე რის თქმა მინდა, დემონიზებულ მსოფლიოს აშფოთებს ის, რომ მართლმადიდებლობა არსებობს და ყველაფერს აკეთებენ, რათა იგი გაქრეს, დაკნინდეს ადამიანების ცნობიერებაში... აი ეს არის მათი მთავარი ამოცანა, როგორც საქართველოს შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბებით, მაგრამ საბედნიეროდ ბევრისთვის ეს გეგმა უკვე გაშიფრულია და სააშკარაოზე დევს ყველაფერი.

**— მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ამ ძალებს მონოპოლიზებული აქვთ პოლიტიკური სპექტრი. მათ ხელშია საინფორმაციო სივრცე და შესაბამისად პროპაგანდისტულ ველსაც ისინი აკონტროლებენ.**

— გეთანხმებით, **მათ იყიდეს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, სახელისუფლო თუ ოპოზიციური, რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ისინი არიან დასავლეთის აგენტურული ქსელის წარმომადგენლები საქართველოში.**

...ვის უფლებებს იცავენ ესენი, ასე თუ ადარდებთ უფლებები, ფერიის მთაზე ტაძარი რომ დაანგრიეს, სად იყვნენ, რატომ არ ამოიღეს ხმა?! აბა ერთი კენჭი გამოუვარდეს მეჩეთს, რა ამბავი ატეხონ... კიდევ ვიმეორებ და ამ სიტყვებზე პასუხს ვაგებ, ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები არიან დასავლეთის აგენტები და მათი დაკვეთის შემსრულებლები; ხოლო აჭარის მუსულმანურ მოსახლეობას რაც შეეხება, რომ გამოდიან და იძახიან, ჩვენც ქართველები ვართ, თქვენი ძმები ვართო, რის ქართველები არიან ეს ადამიანები, როცა პირდაპირ თურქეთის ექსპანსიურ პლიტიკას ატარებენ?!

**— სხვა კუთხით შევხედოთ ამ ყველაფერს, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი ცალსახად დასავლური, ანუ ევროატლანტიკურია. ეს კი თავისთავად გულისხმობს მათი რეკომენდაციებისა და დირექტივების შესრულებას. თუ კი დღეს ჩვენ აშკარად ნაციონალისტური პოლიტიკის გატარებას დავიწყებთ და ეს აისახება რელიგიური უმცირესობების მდგომარეობაზეც, როგორ ფიქრობთ, შეუქმნის თუ არა ეს საფრთხეს ჩვენი „ისტორიული არჩევანის," ევროინტეგრაციის განხორციელებას და კონკრეტულად რა სახის დაბრკოლებებს უნდა ველოდეთ?**

— ჯერ ერთი დავიწყოთ იმით, რომ ნაციონალისტური პოლიტიკა არ ნიშნავს თავისთავად ცუდს და რაღაც ექსტრემისტულ გამოვლინებებს. ზომიერების ფარგლებში ეს არის ეროვნული იდეოლოგია და ყველა ნორმალური სახელმწიფოს მეთაური სწორედ ამ გზას ირჩევს. ახლა რაც შეეხება ევროატლანტიკურ სწრაფვას, მიმაჩნია და ეს არა მარტო ჩემი აზრია, ასეთი დაუფიქრებელი ლტოლვა ევროკავშირისკენ ან იგივე ნატოსკენ არის უგუნური ქმედება. ამას რუსეთი არ დაუშვებს და ფაქტობრივად საქართველო იქნება მუდმივი დაპირისპირების არეალი. ეს აწყობს ამერიკას, იმიტომ რომ მის ინტერესებშია მართვადი ქაოსი. **აგერ შეხედეთ რა ხდება უკრაინაში... ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ დღესდღეობით ამერიკისთვის საშველია ომი. აი, ასეთი დაპირისპირების არეალში ვექცევით ჩვენც და იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდეს ამის თავიდან ასაცილებლად, ესენი გამოდიან და საქართველოში ნატოს ბაზების შექმნაზე საუბრობენ.**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა შეიძლება იყოს გამოსავალი, რის დაპირისპირება შეგვიძლია ჩვენ ამ იდეოლოგიისთვის, რომელიც დღესდღეობით აშკარად დომინანტია?**

— გამოსავალი არის ის, რასაც დასავლეთის ბნელი ძალები გამალებით ებრძვიან, — ესაა მართლმადიდებლური რელიგია. ჩვენ უნდა გავძლიერდეთ ამ სარწმუნოებაში და მაშინ ვერცერთი იდეოლოგია, ვერანაირი პროპაგანდა ვერ აგვირევს თავ-გზას. სწორედ ამას გულისხმობს ხოლმე პატრიარქი, როცა გვეუბნება, ლოცვა გავაძლიეროთო. ასე რომ, აქ არჩევანი არც არის, აქ არის მხოლოდ ერთი გზა, რომ მივენდოთ უფალს და უფლის რწმენით, მისი იმედით შევხვდეთ ნებისმიერ განსაცდელს, რომელიც მომავალში გველის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„განათლების სამინისტრო ასე დაშორებული მეცნიერებასა და განათლების სისტემას არასოდეს ყოფილა. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა არის მეცნიერება“

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გოგი გოგოლაშვილი: განათლების სამინისტროს წარმოდგენა არ აქვს, რა არის მეცნიერება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ყურადღების ცენტრშია. ლადო პაპავას რექტორობით მეორე ახალი სასწავლო წელი იწყება და, როგორც უნივერსიტეტს მიღმა დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლები ამბობენ, იქ რეალურად არაფერი შეცვლილა.

„საქართველო და მსოფლიო“ უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს და ამჟამად თსუ-ს რექტორის მრჩეველს — გოგი გოგოლაშვილს ეწვია.

## უნივერსიტეტშიც და სამინისტროშიც დღესაც სხედან ის კადრები, რომლებიც თავის დროზე ლომაიამ და ხუბუამ მოიყვანეს

**— ბატონო გოგი, თქვენც იმ პროფესორ-მასწავლებელთა შორის იყავით, რომლებიც თავის დროზე „ნაცებმა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან უსამართლოდ გაუშვეს... უნივერსიტეტს დღეს ყველასთვის მისაღები და სასურველი რექტორი ჰყავს და თქვენ მისი მრჩეველი ხართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაფერი შეცვლილა. რა უშლის ხელს პროფესორების უკან დაბრუნებას?**

— ეს ძალიან მტკივნეული საკითხია; ასობით უკმაყოფილო ადამიანია, მაგრამ უმჯობესია, ისინი ასე დავაჯგუფოთ: არიან ისეთები, თავის დროზე საგანმანათლებლო რეფორმის გამო, ხელისუფლებას რომ დაუპირისპირდნენ, მაგრამ დარწმუნება ვერ შეძლეს, ვერც ვითარებას შეეგუენ, ამიტომ ყველაფერი დატოვეს და უნივერსიტეტს მიღმა დარჩნენ; არიან ადამიანები, რომლებიც აჰყვნენ იმ ხელისუფლების მიერ დაწყებულ რეფორმებს, მაგრამ, უბრალოდ, კონკურსები ვერ გაიარეს და მხოლოდ ამის შემდეგ შემოგვიერთდნენ იმათ, ვინც დაწყებული რეფორმების წინააღმდეგნი ვიყავით. ფაქტობრივად, ასეთი ადამიანების მხარდაჭერამ იმ კონკურსებს, რომლებიც აბსოლუტურად უსამართლოდ მიმდინარეობდა, მიანიჭა იურიდიული ძალა. ისინი თავის დროზე გიორგი ხუბუას გვერდით დადგნენ და მერე აღმოჩნდა, რომ უმუშევრები დარჩნენ. არის კიდევ მესამე კატეგორია, რომლებიც 2009-2012 წლამდე მუშაობდნენ და მერე ვერ გაიარეს კონკურსები და საკუთარი წარუმატებლობა პოლიტიკას მიაწერეს. ცხადია, ყველა მათგანი ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ სხვადასხვაგვარს...

როდესაც უნივერსიტეტში რექტორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა და მხარს ვუჭერდით ლადო პაპავას კანდიდატურას, იცით, რას ველოდი მისგან? — რომ ის არ შეასრულებდა პარტიულ დავალებებს და კანონი იკანონებდა უნივერსიტეტში. ამის იმედით ვიყავი, ეს ასეც მოხდა, მაგრამ მივადექით ბარიერს, რომლის გადალახვაც არ ხერხდება.

როდესაც კონკურსი გამოცხადდა, იმ პერიოდში კანონიც შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ რექტორს ხელ-ფეხი შეეკრა. უნივერსიტეტი იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი „ნაცების“ დროს, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, გადაწყვიტეს, რომ უმაღლესი სასწავლებლები გადაკეთდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რაც, ვფიქრობდით, სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძველი იქნებოდა, მაგრამ **იმ დროინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გამოსცა ბრძანება, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაკეთდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და მოაყოლა მეორე პუნქტი — ის თანამშრომლები, რომლებიც კონკურსის წესით არიან არჩეულნი, დარჩნენ კონკურსის ვადის გასვლამდე. ვადა კი 2018 წელს იწურება.**

**აღმოჩნდა, ლადო პაპავა კი არა, ივანე ჯავახიშვილიც რომ გავაცოცხლოთ, თუკი ეს კანონი არ შეიცვლება, უნივერსიტეტში ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ვეთანხმები მომჩივან პროფესორებს, უნივერსიტეტში მართლაც არიან „ნაცები“, ჩანერგილებიც, მაგრამ დღევანდელი კანონმდებლობა რექტორს მოქმედების საშუალებას არ აძლევს.**

ახალი ხელისუფლება როდესაც მოვიდა, დაიწყეს მუშაობა უმაღლესი განათლების სისტემის ახალ კანონპროექტზე, რომელშიც ძალიან კარგად იყო ჩამოყალიბებული, რა უნდა გაკეთებულიყო, ვვარაუდობდით, რომ პროექტი



2013 წლის ბოლოს კანონად იქცეოდა და ძალაში შევიდოდა, მაგრამ შეიცვალა სამინისტროში ხელმძღვანელობა და პროექტზე მომუშავე კომისია დაიშალა, რომ ვიკითხეთ, აბა, ახლა რა ხდებაო, გვიპასუხეს, — ახალი კომისია შეიქმნა სამინისტროს თანამშრომლებისგან და ის მუშაობსო. **ყოვლად წარმოუდგენელია, რომ სამინისტროს ჩინოვნიკებმა ჩვენ შეგვიქმნან კანონი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ; პროფესიონალების გარეშე ეს კანონი ვერ იმოქმედებს. ფაქტია, რომ ამ დრომდე არაფერია წარმოდგენილი. გვქონდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლება მახინჯ კანონებს შეცვლიდა და საჭირო რეფორმებს გაატარებდა, არ მინდა, ეს იმედიც გაქრეს.**

გავიგე, რომ ზოგი ლადო პაპავას გადადგომას მოითხოვს. კი, ბატონო, გადადგეს პაპავა, მაგრამ რას შეცვლის ახალი რექტორი, თუ კანონი არ შეიცვალა? იქნებ ძალისხმევა იქითკენ მივმართოთ, შეიქმნეს სასურველი კანონმდებლობა.

**— ლადო პაპავა დუმს, სიმართლე გითხრათ, თუ ვინ იყო რექტორი მაშინ გამახსენდა, როდესაც „საქართველო და მსოფლიოში“ განაწყენებული პროფესორების საპროტესტო წერილი დაიბეჭდა.**

— რექტორი ცოტას საუბრობს იმის შესახებ, რა კეთდება. დიდი ხანია, პარლამენტში დევს ინიციატივა იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტიდან წასულ პროფესორებს, რომლებიც უსახსროდ არიან დარჩენილნი, უნივერსიტეტმა ფინანსური დახმარება გაუწიოს, იქნება ეს ერთჯერადი თუ სისტემატური. სამწუხაროდ, კანონის თანახმად, ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ ფინასური დახმარება გავუწიოთ დამსახურებულ ადამიანებს — უნივერსიტეტს არ აქვს სახელმწიფო დაფინანსება, ის სტუდენტების შემოტანილი გადასახადებით არსებობს, ამ თანხის დახარჯვა კი შესაძლებელია მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და სახელფასო ანაზღაურებაზე.

**— თუ სახელმწიფო არ აფინანსებს უნივერსიტეტს, მაშინ რექტორის დანიშვნის საქმეში რატომ ერევა?**

— წესით, არ ერევა, ოფიციალურად არ ერევა.

**— უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესით კმაყოფილი ხართ?**

— არა, რა თქმა უნდა. უნივერსიტეტში დახურულია უამრავი მნიშვნელოვანი კაბინეტი, ერთი ბრძანებით ამის აღდგენა არ ხდება. უახლოეს მომავალში გაიხსნება ივანე ჯავახიშვილის, ვაჟა-ფშაველას და შოთა რუსთაველის სამეცნიერო კაბინეტები. 2005 წლიდან უნივერსიტეტში სამეცნიერო სექტორი მოკვდა. 1 მილიონ 800 ათასი იყო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ეს თანხა სამინისტრომ წაიღო და დარჩა ისე, რომ კაბინეტებს თანამშრომელი აღარ ჰყავდათ. მეცნიერს თუ მატერიალური სტიმული და დაინტერესება არ აქვს, არაფერს აღარ წერს.

უნივერსიტეტმა დააარსა პრემია ქართველოლოგიის დარგში, რომელიც გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ უცხოელ კოლეგებზე, რაც მათი მოზიდვის კარგი საშუალებაა. გვინდა, ორ წელიწადში ჩატარდეს კონფერენცია, რომელშიც ყველა უნივერსიტეტი მიიღებს მონაწილეობას. საუკეთესო ნაშრომის ავტორს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მიენიჭება. ეს ქართველოლოგიის დარგში, ვფიქრობთ, საინტერესო სტიმული იქნება.

რაღაცები ნამდვილად კეთდება, მაგრამ **მესმის იმ ადამიანების, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ, ჩადენილი დანაშაულისთვის არავინ დასჯილა. საჭირო და აუცილებელია ამ თვალსაზრისით ნაბიჯების გადადგმა. ყველა მათგანი მშვიდად ზის უნივერსიტეტში და მათი ხელისხლება არავის შეუძლია კონკურსის ვადის გასვლამდე.**

**— ლადო პაპავას კანონის შეცვლაზე თუ უსაუბრია ვინმესთან?**

— კი, ის იმ კომისიაში იყო, რომელიც კანონის ცვლილებაზე მუშაობდა, მაგრამ სამინისტრო ამით დაინტერესებული არ არის. მე მას არ ვამართლებ, მაგრამ არ ვიცი, თვითონ რას გავაკეთებდი. ბრძოლა შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. გამოსავალი არის ერთი — საპარლამენტო კომიტეტში თუ სამინისტროში უნდა მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესდებიან უმაღლესი განათლების ბედით.

ამას წინათ კილურაძემ ისეთი სენსაციური რამ თქვა, რომ გადავირიე. თურმე ხარჯვითი ნაწილი არ სრულდება. **აღმოჩნდა, რომ მეცნიერებისთვის გამოყოფილი თანხა დახარჯული არ არის იმიტომ, რომ სამინისტრომ გაყინა. მეცნიერები შიმშილით კვდებიან და სამინისტრო ფულს არ იძლევა. განათლების სამინისტრო ასე დაშორებული მეცნიერებისა და განათლების სისტემისგან არასოდეს ყოფილა. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა არის მეცნიერება.** მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ მასწავლებლების ხელფასი მომავალი წლიდან გაიზრდება, მაგრამ არაფერი უთქვამს მეცნიერებზე, ჩვენ არ ვჭირდებით ამ ქვეყანას? ახალგაზრდები არ უნდა გაიზარდონ? ასეთ ვითარებაში მეცნიერება კვდება. განათლების სამინისტროს წარმოდგენა არ აქვს, რა არის მეცნიერება. დღემდე უნივერსიტეტშიც და სამინისტროშიც სხედან ის კადრები, რომლებიც თავის დროზე ლომაიამ და ხუბუამ მოიყვანეს და გარანტია აქვთ, რომ არჩევნების ვადის გასვლამდე ადგილებზე დარჩებიან.

**— ის, რომ მეცნიერება მიზანმიმართულად იძირებოდა და კლავდნენ, ყველამ ვიცით, როგორ ფიქრობთ, ეს კურსი არ შეცვლილა?**

— ბრალს ვერავის დავდებ იმაში, რომ მიზანმიმართული ბრძოლაა, მაგრამ ვერ ვხედავ შეფასებას მომხდართან დაკავშირებით; არ ვითხოვ დაჭერას, უბრალოდ, აღიარონ, რომ დანაშაული მოხდა, რომ ღირსება შეგვილახეს, ამაზე არავინ საუბრობს. ადამიანები, რომლებმაც შეურაცხყოფა მოგვაყენეს, ისევ თანამდებობებზე სხედან. ვილაცამ შეიძლება ჩემზე თქვას, რომ უნივერსიტეტში შევიდა და აღარაფერი აინტერესებსო, მაგრამ ასე არ არის, — ვცდილობ გაუქმებული კაბინეტების აღდგენას, ერთი კაბინეტიც რომ აღვადგინო, ერთი ადამიანი მაინც ხომ დასაქმდება?!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მსოფლიო

## ბრიტანეთის გენკონსულმა თავისივე სქესის წარმომადგენელზე იქორწინა

**გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის გენერალურმა კონსულმა შანხაიში (ჩინეთი) — ბრაიან დევიდსონმა თავის პარტნიორზე, აშშ-ის მოქალაქე სკოტ ჩანგზე იქორწინა, — წერს ბრიტანული გამოცემა The Independent-ი.**

საქორწინო ცერემონიამ, რომელიც პეკინში, დიდი ბრიტანეთის ელჩის ოფიციალურ რეზიდენციაში გაიმართა, ჩინელი ინტერნეტმომხმარებლების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

საელჩოს ტერიტორია ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება და მასზეც ვრცელდება კანონი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომს უფლებას აძლევს, თავისივე სქესის წარმომადგენელზე იქორწინოს.

ინტერნეტმომხმარებელთა უმრავლესობამ, როდესაც ბრიტანეთის კონსულის ქორწინების შესახებ შეიტყო, დაწერა, რომ ერთსქესიანთა ქორწინება ეწინააღმდეგება ბრიტანულ კულტურას, ჰომოსექსუალიზმი კი ფსიქიკური გადახრაა. **„ეს ქვეყანა ავადაა, ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც რომის იმპერიის დაცემის წინ“,** — ასეთი შინაარსის კომენტარები დატოვეს სოციალურ ქსელ Weibo-ს მომხმარებლებმა.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„აგზავნიან ჩვენებურებს უცხოეთში ორ-სამთვიან მოსამზადებელ კურსებზე, სადაც ასწავლიან იმას, რაც სხვის ინტერესებშია და საერთო არაფერი აქვს ჩვენი ქვეყნის მიზნებთან და მისწრაფებებთან.“

ანზორ მაისურაძე:



# მათი ჩანაფიქრით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოც ისე უნდა ამოიფრქვეს, როგორც უკრაინა ამოიფრქვა

**ვერ მშვიდდება მსოფლიო, კვლავ დუღს სამოქალაქო დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში — ლიბიაში ყველაფერი თავიდან იწყება, სირიაში კვლავ მძლავრობს შეიარაღებული ოპოზიცია, რადიკალი ისლამისტები უტევენ, ქურთები რადიკალებს უპირისპირდებიან, ეგვიპტეში არც ომია, არც მშვიდობა, უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ყოველდღიურად ირღვევა, კვლავ იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, 15 სექტემბერს ეუთოს დამკვირვებლები სასწაულებრივ გადაურჩნენ სიკვდილს, დასავლეთი რუსეთს სანქციებს უწესებს და ა.შ. მოკლედ — აშშ მსოფლიოში დემოკრატიას ამყარებს. რა ხდება ამ ფონზე საქართველოში? როგორ აფასებს უშიშროების პროფესიონალი ჩვენთან შექმნილ ვითარებას? დღევანდელ პრობლემატიკაზე საუბარი ვთხოვეთ უშიშროების გენერალ-მაიორს ანზორ მაისურაძეს.**

— აზრი არ აქვს ჩემს ნალაპარაკევს. რაც გინდა თქვა, ვინც გინდა თქვას, რაც გინდა დაიწეროს ან ტელევიზიით გადაიცეს, რაც გინდა ინფორმაცია მიაწოდო ქვეყანას, არანაირი შედეგი არ მოჰყვება. წერე და იკითხეო, ნათქვამი რომ არის, ისეა.

**— რატომ ხდება ასე?**

— არ ვიცი. მაგრამ ჩვენს თაობას ხომ ახსოვს, გაზეთში ერთი კრიტიკული წერილი რომ დაიბეჭდებოდა, ქვეყანა აზანზარდებოდა, ყველა სახელმწიფო დაწესებულება ფეხზე დგებოდა. ღვთის რისხვასავით იყო ყველასთვის. ახლა, რაც გინდა დაწერე, არანაირი ფასი არ აქვს. ამდენი გაზეთი გამოდის, ამდენი მართლაც საინტერესო და ფასეული რამ იწერება, მაგრამ — ვითომც არაფერი. ერთ სახელმწიფო ყურში შეუშვებენ, მეორიდან გაუშვებენ.

**— სააკაშვილი საერთოდ არ კითხულობდა გაზეთებს და თანაგუნდელებსაც ამისკენ მოუწოდებდა. ახალი ხელისუფლება დაგვპირდა, რომ შეიქმნებოდა სპეციალური სამსახური, რომელიც პრესაში გამოთქმულ მოსაზრებებს მიადევნებდა თვალყურს...**

— შეიძლება კიდეც შეიქმნა, მაგრამ გამოდნა რამე აქედან?! სამაგიეროდ ენდიაის და სხვა მსგავსი კვლევითი ცენტრის პუბლიკაციებს ისე დაჰკანკალებენ, როგორც ბიბლიურ ბრძენთა ჭეშმარიტებას. ამასთან, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ნაცების“ ნებისმიერ ნათქვამზე რეაგირება უპირველეს საქმედ გაიხადეს.

**— რისი ბრალია, ბატონო ანზორ?**

— ცხოვრებამ მოიტანა. ყველა ყველაფერზე ლაპარაკობს, ყველა გაზეთი ყველაფერზე წერს და არავინ თავს არ იწუხებს, შეამოწმოს, რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია, რომელსაც მკითხველებს აწვდიან. ამიტომაც კატასტროფულად დაეცა მედიისადმი ნდობის დონე. ფასი დაკარგა ინფორმაციამ. არადა, ხომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველაზე ძვირად ღირებული საქონელი დღეს სწორედ ინფორმაციაა — ქვეყნისთვის, ხალხისთვის, საქმისთვის.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გადაბრუნებულ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი არაფერია, არაფერი — ყველაფერს მოიცავს.**

— ზოგჯერ მართლაც ასეთი შთაბეჭდილება იქმნება.

**— მოკლედ, სახელმწიფოსა და მასმედიის ურთიერთობაში, როგორც დანიის სამეფოში, ყველაფერი რიგზე არ არის. ბატონი ბიძინა ივანიშვილი პრესის კონტროლის საჭიროებაზე ალაპარაკდა, მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი, როცა ქვეყანაში ცენზურა, მედიის იძულების ბერკეტები არ არსებობს და სიტყვის თავისუფლების პრინციპი დემოკრატიის აუცილებელ შემადგენლად არის აღიარებული?**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ მედიაში თავაშვებულობას აქვს ადგილი. დემოკრატიის პრინციპების ერთგული ჟურნალისტი თავს უფლებას არ მისცემს, დაწეროს ის, რაც ქვეყნისთვის საზიანო იქნება. მაგრამ პოლიტიკოსები ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვიან და აკეთებენ, რასაც მთელ ქვეყანაში უზარმაზარი უარყოფითი რეზონანსი მოჰყვება, ამიტომ კონტროლი სულ უფრო აუცილებელი ხდება. მაგრამ ცენზურითა და აკრძალვით ვერაფერს მივაღწევთ. არა მგონია, ივანიშვილმა ეს არ იცოდეს.

კრიტიკისგან კი არავინ და არაფერი, მათ შორის, თქვენი ამქრის წარმომადგენლები, დაცულნი არ არიან. როგორც უწინ ამბობდნენ, „ჯანსაღი კრიტიკა“ საერთო საქმეს, მათ შორის, მედიის ხარისხიანობის ამაღლებას მხოლოდ წაადგება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილემ, რომელიც რუსეთთან კონტაქტების საკითხებზე საუბრობდა, განაცხადა: „ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩვენთან ჩამოვიდნენ მაღალგანათლებული ადამიანები გარყვნილი გონებით“.

ვისზე საუბრობდა ის მაღალი რანგის მოხელე და დაზვერვის პროფესიონალი, ამჯერად საინტერესო არ არის. ეს შემთხვევა გავიხსენე პარალელის გასავლებად იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ ძალით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ — უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები გარყვნილი გონებით. ცხადია, ყველაზე არ ვლაპარაკობ.

მათგან ზოგიერთი დღესაც ხელისუფლებაშია.

**— ვის გულისხმობთ?**

— დამიგდეთ ყური. გარყვნილი გონების არის ის პიროვნება, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში ხევსურები მტერს მარჯვენას იმიტომ აჭრიდნენ, რათა შემდეგ ეჭამათ ადამიანის ხორცი. კანიბალობას გვაბრალებს ქართველებს.

გარყვნილი გონების არის ის პიროვნება, რომელიც ვაჟაფშაველას სექსუალურად დაავადებულ კაცად წარმოგვიდგენს, რომელიც ქალებზე ძალადობას მათი ქმრების წინაშეც არ ერიდებოდა.

რომ ასეთ ქალთა შორის იყო სოსო ჯუღაშვილის დედა ეკატერინე, და რომ იოსებ სტალინი ვაჟას ნაბუშარია(!).

ამ ავადმყოფურ იდეებს, ნაბოდვარს ეს კაცი სტუდენტებს ასწავლის. ესაა უბედურება და ცრულიბერალურ ფასეულობათა მიმდევრობის შხამიანი ნაყოფი.

არ უნდა გავაკრიტიკოთ ასეთი კაცი, რადგან იგი მმართველი გუნდის წარმომადგენელია?!

ერთ რამესაც გეტყვით, თავისთავად არაფერი ხდება, მათ შორის, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელი ყველაზე მძლავრი და მასობრივი საშუალება, მოგეხსენებათ, მედიაა. ვისაც ხელს არ აძლევს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ვინც ვერ ელევა დაკარგულ ძალაუფლებას, ის აქტიურად იყენებს ამ საშუალებას.

**— ოპოზიციურობა დემოკრატიის ნიშანია...**

— და კარგი საფარიც რევანშისტული მიზნების დასამალად.



**«დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელი ყველაზე მძლავრი და მასობრივი საშუალება, მოგეხსენებათ, მედიაა. ვისაც ხელს არ აძლევს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ვინც ვერ ელევა დაკარგულ ძალაუფლებას, ის აქტიურად იყენებს ამ საშუალებას»**

ამასწინათ ითქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გამოეყოს უშიშროების სამსახური. რა თქმა უნდა, გამოყოფა აუცილებელია. სწორედ უშიშროებს სამსახურის მოვალეობაა, იცოდეს, როგორი პროცესები ვითარდება ქვეყნის შიგნით, გააანალიზოს ეს პროცესები და შესაფერისი დასკვნები და წინადადებები შესთავაზოს ხელისუფლებას. წინასწარ უნდა იცოდეს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, რომლებიც ქვეყნის შიგნით ვითარდება, ან გარედან მოდის.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ ჟურნალისტს, მოსყიდული თუ არ არის, რიდი უნდა ჰქონდეს თავისი სახელმწიფოსი. საზოგადოებაში ასეთი რიდის არარსებობის პირობებში სპეციალურმა სამსახურმა უნდა დაიცვას სახელმწიფოს უშიშროება და ინტერესები.

**— რახან სახელმწიფო უშიშროების საკითხს შეეხეთ, მოდით გავიხსენოთ, რომ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში თქვენ ამბობდით, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ მოშალა და მოსპო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური, რადგან, მისი აზრით, შექმნილ ვითარებაში ამ სტრუქტურის არსებობა აუცილებელი არ იყო.**

— როცა „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ გააუქმა უშიშროების უმაღლესი სასწავლებელი, ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ქვეყნის უშიშროებას ანდობდა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს, კერძოდ, აშშ სათანადო სტრუქტურების ხელში აგდებდა სახელმწიფოს მართვის ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ამიტომ საჭიროებაც მოიხსნა სპეციალური კადრების მომზადების.

მაშასადამე, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს მიეცათ სრული კარტბლანში, ისე წარემართათ, ისეთ კვალში ჩაეყენებინათ საქართველოს ხელისუფლება, როგორც სურდა აშშ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს.

აგზავნიან ჩვენებურებს უცხოეთში ორ-სამთვიან მოსამზადებელ კურსებზე, სადაც ასწავლიან იმას, რაც სხვის ინტერესებშია და საერთო არაფერი აქვს ჩვენი ქვეყნის მიზნებთან და მისწრაფებებთან.

**— გადაბირებას გამორიცხავთ?**

— დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ ასეთ შესაძლებლობას არავინ ხელიდან არ გაუშვებს. ეს ელემენტარულია.

**— თქვენს პრაქტიკაშიც ასე იქცეოდით?**

— სწორედ ჩემი გამოცდილება მიკარნახებს ამას.

**— ფრანგმა ტელეჟურნალისტებმა თავის დროზე გადაიღეს ფილმი, რომელშიც გაშიშვლებულად დაგვანახეს „ვარდების რევოლუციის“ მამოძრავებელი ძალა, რომელიც ორგანიზაციულად და ფინანსურად აშშ სპეცსამსახურებით იყო წარმოდგენილი. როგორ ფიქრობთ, ამ ყბადაღებული „რევოლუციის“ წარმატების შემდეგ იმ სპეცსამსახურებმა „თავისუფალ ცურვაში“ გაუშვეს საქართველოში მათ მიერ დასმული ხელისუფლება?**

— მიამიტური შეკითხვაა. არ მიწყინოთ. რომელი სერიოზული სპეცსამსახური, მით უფრო შტატების, დათმობს მოპოვებულ პოზიციებს?! „ნაციონალური მოძრაობა“ ნახევრად ფაშისტური პარტია, დიქტატორული პარტია იყო, რომელიც აკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა და გამკითხავი არავინ იყო, იმიტომ, რომ ამერიკული ზურგის იმედი ჰქონდა. ხომ ცნობილია, რომ სააკაშვილი სოროსის პროექტი იყო, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

▶

# „ჩვენ თვალწინ მოხდა ის, რაც ლიბიაში კადაფის გაუკეთეს, რაც ეგვიპტეში, ერაყში დატრიალდა და სხვაგანაც, გაუთავებელი სისხლის ღვრა სირიაში, ამის მომსწრე ყველანი ვართ. უკრაინის ტრაგედიაც ახლა ხდება. ჩვენს უახლოეს ისტორიას თავი რომ დავანებოთ! ეს ყველაფერი ერთი ხელით კეთდება, ერთი მმართველი ჰყავს.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ეს პარტია კვლავ აპირებს ხელისუფლების სათავეში მოსვლას. შინაგან საქმეთა მინისტრის ახლახან გაკეთებულ განცხადებაში მითითებული იყო, რომ ნაცები ამზადებენ შეთქმულებას სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. ამას მაინც და მაინც არც მალავენ. შეიძლება სახელმწიფო დანაშაულად ამის კვალიფიცირება?**

— რა თქმა უნდა! ჩვენ თვალწინ მოხდა ის, რაც ლიბიაში კადაფის გაუკეთეს, რაც ეგვიპტეში, ერაყში დატრიალდა და სხვაგანაც, გაუთავებელი სისხლის ღვრა სირიაში, ამის მომსწრე ყველანი ვართ. უკრაინის ტრაგედიაც ახლა ხდება. ჩვენს უახლოეს ისტორიას თავი რომ დავანებოთ! ეს ყველაფერი ერთი ხელით კეთდება, ერთი მმართველი ჰყავს. ერთი კაცის მიერ არის მოფიქრებულიო, ნათქვამი აქვს ჭაბუა ამირეჯიბს „დათა თუთაშხიაში“. სადაა ეს ერთი ხელი, ყველამ კარგად იცის. დამალული არაფერია. დარწმუნებული ვარ, რომ რაც ხდება, მოფიქრებულია ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ და ამას ჩვენს ენაზე „აქტიურ ღონისძიებებს“ უწოდებენ.

**— რატომ სჭირდებათ დაულაგებელი საქართველო? აკი ჩვენს სასიკეთოდ იღვწის აშშ? დემოკრატიის განსავითარებლად, ცხოვრების დონის ასამაღლებლად და ა.შ.?**

— საქართველო, მათი ჩანაფიქრით, ყოველთვის უნდა დარჩეს ისლანდიის ბარდარბურგის მოთუხთუხე ვულკანივით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოიფრქვეს, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ისე, როგორც უკრაინაში ხდება დღეს. კიევის „მაიდანზე“ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვიქტორია ნულანდმა რომ ჩამოიარა, ლვეზელები რომ დაარიგა და ყოველმხრივი დახმარება რომ აღუთქვა მომიტინგეებს, ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ? ვინ არის უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორი?

**— გინდათ თქვათ, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს შორის დიდი განსხვავება არ არის, და სახელმწიფო დეპარტამენტი (ღმერთო, მაპატიე!) ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალია?**

— *(იცინის)* როდის არ იყო? ინგლისში, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო და დაზვერვის სამმართველო ისეა ერთმანეთს გადაჯაჭვული, ერთმანეთში ისეა არეული, რომ ვერ გაიგებ, რომელი რომელია. აშშ-ში ცოტა განსხვავებულია, მაგრამ იქ ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც სახდეპში მუშაობენ და, ამასთან, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტატიან თანამშრომლებად ითვლებიან. პირდაპირ გეტყვით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში დაზვერვის სამსახურის საფარად გამოიყენებოდა.

ახლაც ასეა.

**— ბატონო ანზორ, ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებზე რას იტყვით?**



«საქართველო, მათი ჩანაფიქრით, ყოველთვის უნდა დარჩეს ისლანდიის ბარდარბურგის მოთუხთუხე ვულკანივით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა ამოიფრქვეს, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ისე, როგორც უკრაინაში ხდება დღეს»

— ამ სანქციების დამწესებლები მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ ეს შეზღუდვები ემსახურება დემოკრატიის დაცვას, უკრაინის პრობლემების მოგვარებას, მშვიდობის დამყარებას და ა.შ. რომ ეს სანქციები შეიძლება კიდეც გაუქმდეს, როცა უკრაინაში დამყარდება სტაბილური მდგომარეობა, შეწყდება შეიარაღებული დაპირისპირება.

მაგრამ დააკვირდით, რა ხდება? მინსკის უმაღლეს დონეზე შეხვედრის საფუძველზე საკონტაქტო ჯგუფის მიერ მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შეთანხმება სრულდება დაპირისპირებულ მხარეთა მიერ. და სწორედ ამ დროს ევროკავშირი და აშშ რუსეთს უწესებენ სანქციების ახალ პაკეტს.

**— ალოგიკურია.**

— არა. ალოგიკური არ არის. სანქციების დამწესებელთა მიზანი უკრაინაში მშვიდობის დამყარება კი არ არის, არამედ — რუსეთის პოზიციების შერყევა. პირველმა პაკეტმა რუსეთის პოზიციები არათუ ვერ შეარყია მნიშვნელოვნად, არამედ ახალი იმპულსი მისცა რესურსების უფრო სრულად გამოყენებას ქვეყნის შიგნით და საგარეო ურთიერთობაში აქცენტების აღმოსავლეთით გადატანას.

მაშასადამე, საჭირო გახდა სანქციების ახალი პაკეტის დაწესება.

მათი ლოგიკა, უფრო სწორად, ტაქტიკური მოქმედების ლოგიკა ასეთია.

უფრო მეტიც, ასეთია ლოგიკა გლობალური კაპიტალიზმის, რომელიც სულ უფრო აშკარად და მოურიდებლად განახორციელებს დამპყრობლურ პოლიტიკას.

ეს იმდენად თვალშისაცემია, იმდენად მიუღებელია საღად მოაზროვნე ანალიტიკოსებისთვის, რომ ყოფილი საბჭოთა დისიდენტებიც კი გამოდიან ამ ბოდვითი იდეის წინააღმდეგ.

**— შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ?**

— რა თქმა უნდა! მაგრამ არ მგონია, რომ ორიგინალური ვიქნები. ვერც პირველობას დავიჩემებ.

მაგალითისთვის დაგისახელებთ დისიდენტური საქმიანობისთვის თავის დროზე საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა ჩამორთმეულ სოციოლოგ-ფილოსოფოსს, მწერალ-სატირიკოსს, ლოგიკოსს ალექსანდრე ზინოვიევს.

ბოლო ინტერვიუში, რომელიც ფრანგულმა „ფიგარომ“ ჩამოართვა, იგი ამბობს, რომ დემოკრატია თანდათან ქრება დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომ ერთი ზენაციონალური სტრუქტურა სახელმწიფოებს თავს ახვევს საკუთარ კანონებს, საკუთარ ნებას, იძლევა ბრძანებებს, გასცემს სანქციებს, აწესებს ემბარგოს, ბომბავს ქალაქებს, ადამიანებს შიმშილით ხოცავს. ფინანსურმა ტოტალიტარიზმმა მყარად გაიდგა ფესვები, დაიმორჩილა პოლიტიკური ხელისუფლება. მისთვის უცხოა ემოციები და სიბრალულის გრძნობა.

აი, ეს ძალა მართავს დღეს დასავლეთს და არც უნდა გაგიკვირდეთ, რომ მას თავისი ლოგიკა ჰქონდეს.

ალექსანდრე ზინოვიევი მიიჩნევს, რომ დასავლეთი დღეს წარმოდგენილია ზესაზოგადოების სახით და ცდილობს დანარჩენ მსოფლიოს თავისი უპირატესობა აღიარებინოს.

**— რა უნდა გაკეთდეს საქართველოში, იდეოლოგიური ინტერვენციისგან ქვეყანა და ხალხი ხომ ვიხსნათ?**

— ერთხელ საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, ცხონებულმა ალექსი ინაურმა დამიძახა და მკითხა (მაშინ მეხუთე განყოფილების, ახლა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი რომ არის, იმისი ხელმძღვანელი ვიყავი): — ანზორ, რა ვუყოთ ამ იდეოლოგიურ დივერსიასო. ცოტა კი გამიკვირდა, ასეთი შეკითხვა რომ დამისვა, მაგრამ ალალად ვუპასუხე: — არანაირი იდეოლოგიური დივერსია არ იქნება, თუ ხალხს ცხოვრების პირობებს გავუუმჯობესებთ-მეთქი.

შემომხედა და პაუზის შემდეგ მითხრა: — კარგი, წადიო.

ჩვენს ქვეყანას დღესაც ვერავითარი იდეოლოგიური დივერსია ვერ დაემუქრება, თუ სახელმწიფო ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას მაქსიმალურად ხელს შეუწყობს.

თუ ხალხი რეალურად იგრძნობს, რომ მის კეთილდღეობაზე სახელმწიფო ზრუნავს, მაშინ სტაბილურობა უზრუნველყოფილია.

დღეს მინდა, პირდაპირ მივმართო ჩვენს ხელისუფლებას, რომ ის დაპირებები, რომლებიც ხალხს მისცა, შეასრულოს, ბიძია!

**— რა შეგიძლიათ თქვათ, ბატონო ანზორ, იმ სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოშიც და შვედეთშიც აგორდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — კარლო ბილდტის წინააღმდეგ? ირკვევა, რომ ამ კაცის პიარკომპანიას, რომელიც სააკაშვილის ლობირებით და გაპიარებით იყო წლების განმავლობაში დაკავებული, ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოს ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარი დაახარჯა. ეს მინისტრი ამიტომაც რჩება დღემდე მიშას ერთგულ მეგობრად და ჩვენი ახალი ხელისუფლების აქტიურ მოწინააღმდეგედ.**

— რვა წელიწადზე მეტი ვიმუშავე საზღვარგარეთ და ძალიან კარგად ვიცნობ იქაური ხალხის, განსაკუთრებით, ჩინოვნიკების, ფსიქოლოგიას. ფული მათთვის ყველაფერია. ფულით ყველას მოსყიდვა შეიძლება. და არ მიკვირს, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თუ სხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კორუფციულ სკანდალში გარევა. საბჭოთა დაზვერვის, უფრო ზუსტად, სტალინის პირადი სტრატეგიული დაზვერვის ისტორია მოწმობს, რომ ამ დამახასიათებელი თვისების სწორად გამოყენებით გადმობირებულები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო პირები და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. ამითაც იყო განპირობებული, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას გარანტირებული ჰქონდა მთელ მსოფლიოში მხარდაჭერა და ყველაფერ იმის განხორციელება, რასაც პოლიტბიურო გადაწყვეტდა.

მეტსაც გეტყვით, სტალინის დროს, როცა საბჭოთა კავშირი საბჭოთა კავშირობდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არ აირჩევდნენ, თუ კანდიდატურა რაღაც ფორმით საბჭოთა კავშირთან არ იქნებოდა მოსინჯული და შეთანხმებული.

**— თუ გახსოვთ შევარდნაძის პერიოდში დღის წესრიგში დადგა ე.წ. მესამე სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების შემოწმება.**

— რა შემოწმება ამას უნდოდა?! საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ დაფინანსებას აწარმოებს აშშ ადმინისტრაცია და დასავლეთის სხვა ქვეყნები საქველმოქმედო, დემოკრატიის განვითარების ფონდების საფარქვეშ. ჯერ კიდევ პრეზიდენტ კენედის დროს ამუშავდა სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში შეერთებული შტატების იდეოლოგიური ექსპანსიის განსახორციელებლად. ასე იყო და ასე არის ახლაც. გადაკეტეთ ეს წყარო და ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ისე გაქრება, თითქოს არც ყოფილა. უკვალოდ.

გარკვეულწილად ამ სფეროდან არის ინგლისურის 1000 მასწავლებლის ჩამოყვანა საქართველოში. ვერ გეტყვით, მათი მოღვაწეობის შედეგად გახდა თუ არა ინგლისური საქართველოში სახელმწიფო ენა, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ თითოეულმა მათგანმა დაზვერვის უწყებაში წარადგინა საკუთარი ანგარიში საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. აშშ შესაბამის სამსახურებში გააანალიზეს ამ გზით მიღებული ინფორმაცია და დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება საქართველოში შეუძლებელი იყო. ამიტომაც არავინ გადაყოლია მიშას...

**— ბოლო შეკითხვა: როგორ განწყობილებაზე ხართ, ბატონო ანზორ?**

— პესიმისტურ განწყობილებაზე.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ჯერჯერობით ვერ ვხედავ სამართლის ზეობას ჩვენს ქვეყანაში. გავიდა ორი წელიწადი და ახალმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო დაპირებების მხოლოდ 20 პროცენტი თუ შეასრულა. ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ. ამას დიდი გულდაწყვეტით ვამბობ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# რა სანქციებით დაისჯებით ქუჩაში ნაგვის გადაყრის შემთხვევაში

**იმ პირების მიმართ, რომლებიც გარემოს დააბინძურებენ, ადმინისტრაციული სასჯელები და ჯარიმები მაქსიმალურად გამკაცრდება. გარემოს დაცვის სამინისტრომ უკვე მოამზადა შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც განსახილველად მთავრობას უახლოეს მომავალში წარედგინება.**

„საუბარია არამხოლოდ არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებაზე, არამედ საერთოდ ახალ კანონპროექტზე ნარჩენების მართვის სფეროში, რომელიც საქართველოს საერთოდ არ ჰქონია. ეს კანონპროექტი მოაწესრიგებს ნარჩენების მართვის საკითხებს, როგორც ინსტიტუციურ, ასევე სამართლებრივ დონეზე. კანონპროექტის თანახმად, მოწესრიგდება ნაგავსაყრელების მოწყობის, ოპერირების და მართვის საკითხები. ეს კანონპროექტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. კანონპროექტი, აგრეთვე, შეიცავს თავს, რომელიც ადმინისტრაციულ სანქციებს ეხება. ეს შეცვლის იმ სანქციების სისტემას, რომელიც დღეს გვაქვს საქართველოში. ერთმანეთისგან გაიმიჯნება დანაგვიანება და დაბინძურება კატეგორიის და ხარისხის მიხედვით. სანქციები გაიმიჯნება იმ ხარისხის მიხედვით, თუ რა სახის არის გადაყრილი ნაგავი ან ის ქმედება, რომელიც გარემოს დაბინძურებას იწვევს გარემოზე მიყენებული ზიანის თვალსაზრისით.

განსხვავებული სანქციები იქნება იმ დაბინძურებაზე, რომელიც გარემოს ზიანს აყენებს; დავუშვათ, გარემო დაზიანდა მანქანის ზეთით, აკუმულატორის ზეთით და ასე შემდეგ და განსხვავებული ჯარიმა და სანქცია იქნება, როდესაც არის საყოფაცხოვრებო ნარჩენის გარემოში გადაგდებაზე. მთელი რიგი ახალი სანქციები და ჯარიმებია შემოღებული, რომლებიც კანონმდებლობაში არ არსებობდა. ეს სანქციები გაამარტივებს აღსრულებას და აამაღლებს მოქალაქეთა თვითშეგნებას ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე გამიჭირდება, გითხრათ, რა იქნება სანქციის მაქსიმალური ოდენობა, თუმცა ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, რა ზიანს მიაყენებს ადამიანი გარემოს“, — განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ მაია ბითაძემ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ობამასადმი ევროპელების მიმხრობა ჰგავს სტეპში ღამით დანთებულ კოცონს, რომელსაც დიდი ხალისით უახლოვდება სხვადასხვა მწერი, რომლებსაც ცეცხლზე გადაფრენისას სწრაფად ეტრუსებათ ფრთები, შემდეგ კი გავარვარებულ ღადარში ცვივიან.

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა

**წინა წერილში განვიხილეთ უკრაინის თემა, რომელშიც სტალინი უკრაინის იმდროინდელ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობას აანალიზებდა, როგორც თანამედროვე პოლიტიკოსი, ისე, თითქოს, უკრაინის რადის ოპოზიციური დეპუტატი ყოფილიყოს. ტურუხანსკის ციხიდან გათავისუფლების ექვსი თვის შემდეგ სტალინი არა მხოლოდ 1917 წელსა და უახლოეს პერიოდს აანალიზებს ზუსტად და შეუცდომლად, არამედ იმ მოვლენებსაც, რომლებიც დღეს, ოთხმოცი წლის შემდეგ, უკრაინაში მიმდინარეობს. უფრო შოკისმომგვრელი და გასაოცარია 1934 წლის 26 იანვარს სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენება, რომელშიც იგი განიხილავს პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების საკითხს ქვეყანაში. როგორც ჩანს, არა მხოლოდ „მოდაა კარგად დავიწყებული ძველი“, არამედ ადამიანთა ცხოვრების წესიც, ამიტომ მიმდინარე პოლიტიკაც ისევე ჰგავს ძველს, როგორც ობამა — ტრუმენს, ხოლო კამერონი — ჩერჩილს.**

გააფრთებული ბრძოლა ბაზრების დასაპყრობად, საბადოებისა და ნედლეულის მიტაცების ცხოველური ლტოლვა, ხელისუფლების შენარჩუნებისა და სიმდიდრის მოპოვების სურვილი — აი, ძირითადი მიზეზები, რომლებსაც ადამიანი სწრაფად მიჰყავს არამხოლოდ ცხოველურ ინსტიქტამდე, არამედ უფსკრულამდეც.

**რით ჰგავს 1934 წელი 2014 წელს?! აი, რას წერს და ამბობს სტალინი წინასწარმეტყველურად 1934 წლის 26 იანვარს:**

„საგარეო ბაზრებისთვის ბრძოლის გაძლიერებამ, თავისუფალი ვაჭრობის უკანასკნელი ნაშთების მოსპობამ, ამკრძალავმა ბაჟებმა, სავაჭრო ომმა, ვალუტების ომმა, დემპინგმა და სხვა ანალოგიურმა ღონისძიებებმა, რომლებიც ააშკარავებს უკიდურეს ნაციონალიზმს ეკონომიკურ პოლიტიკაში, უკიდურესობამდე გაამწვავა ურთიერთობა ქვეყნებს შორის, შექმნა ნიადაგი სამხედრო შეტაკებისთვის, რიგში დააყენა ომი, როგორც საშუალება მსოფლიოსა და სფეროების ხელახალი გაყოფისა, ძლიერი სახელმწიფოების სასარგებლოდ...“

**არ გეშინიათ? ვერ ხედავთ, როგორ ემზადება ამერიკის შეერთებული შტატები, თავის ევროპელ სატელიტებთან ერთად, ომისთვის, რათა ომი, როგორც საშუალება, გამოიყენოს ისე, როგორც უახლოეს წარსულში გამოიყენა ერაყში, ლიბიაში, სირიასა და აზიის სხვა ქვეყნებში.**

„...გერმანიის გამოსვლამ ერთა ლიგიდან და რევანშის აჩრდილმა ახალი ბიძგი მისცა მდგომარეობის გამწვავებასა და შეიარაღების ზრდას ევროპაში. გასაკვირი არ არის, რომ ბურჟუაზიული პაციფიზმი ახლა საცოდავ მდგომარეობაშია, ლაყბობას კი განიარაღების შესახებ ცვლის „საქმიანი“ ლაპარაკი შეიარაღებისა და დამატებითი შეიარაღების შესახებ“.

**ალბათ, გაგახსენდებათ 2011 წელს ნიუ იორკში დაწყებული საპროტესტო აქცია, როდესაც აშშ-ის უდიდესი მეგაპოლისის ქუჩებში მილიონობით ამერიკელი გამოვიდა ლოზუნგით: „დაიკავე უოლსტრიტი!“. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა მოწოდება „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომელსაც შეუერთდა მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი ქალაქის მცხოვრები — „დავიკავოთ უოლსტრიტი!“ გახსოვთ, როგორ გაეხსნათ მადა კომუნისტური პარტიების აკრძალვაზე, რომელსაც ხალისიანად განაგრძობდა უკრაინის რადა? ან რად ღირს სირიის დაუკითხავად და გაეროს თანხმობის გარეშე ობამას მიერ მიღებული გადაწყვეტილება სირიის დაბომბვის შესახებ — ეს ხომ დიქტატურის შენარჩუნების ტერორისტული მეთოდია?!**

„ისევე, როგორც 1914 წელს, წინა პლანზე გამოდიან მებრძოლი იმპერიალიზმის პარტიები — ომისა და რევანშის პარტიები. საქმე აშკარად ახალი ომისკენ მიდის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები გულმოდგინედ ანადგურებენ ან მნიშვნელობას უკარგავენ პარლამენტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრაჰტიის უკანასკნელ ნარჩენებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მუშათა კლასის მიერ, მის ბრძოლაში მჩაგვრელების წინააღმდეგ და აშკარად გადადიან დიქტატურის შენარჩუნების ტერორისტულ მეთოდებზე. შოვინიზმი და ომის მომზადება, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები, მუშათა კლასის ალაგმვაა და ტერორი შინაგანი პოლიტიკის დარგში, როგორც აუცილებელი საშუალება, მომავალი საომარი ფრონტების ზურგის გასამაგრებლად, — აი, რას აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ახლა თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკოსები.

გასაკვირი არ არის, რომ ფაშიზმი ყველაზე უფრო მოდურია ახლა მებრძოლ ბურჟუაზიულ პოლიტიკებს შორის. მე ვალპარაკობ არა მხოლოდ ფაშიზმზე საერთოდ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გერმანული ტიპის ფაშიზმზე, რომელსაც უმართებულოდ უწოდებენ ნაციონალ-სოციალიზმს, რადგან შეუძლებელია, ზედმიწევნით დაწვრილებით განხილვის დროსაც აღმოაჩინოთ მასში სოციალიზმის ატომიც კი“.

თანამედროვე რეალობისთვის ნიშანდობლივია, რომ **ობამას უკვე აღარ შეუძლია ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკით და იძულებულია, მიმართოს ომის პოლიტიკას, რომელსაც ნიღბავს ხან ეკონომიკური სანქციებით და ხანაც წერტილოვანი დარტყმებით.**

**მეორე მსოფლიო ომმა იმპერიალისტებს მისცა ის, რაც**



**ობამამ და კამერონმა წარმართულ ეპოქაში დააბრუნეს ცივილიზაციის მწვერვალზე ასული კაცობრიობა. დღეს თავისუფლების მაძიებელი მუსლიმანური სახელმწიფოს წარმომადგენლები ობამასა და კამერონის სახელზე თავს აჭრიან ამერიკელი და ინგლისელი ხალხების რჩეულ ახალგაზრდებს და ალაჰს სთხოვენ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლებას. გრცხვენოდეთ, ამერიკელებო და ინგლისელებო, რომ ასეთი კაცთმოძულე და კაციჭამია «ხალხის რჩეულები» გყავთ!**

**მათ 1934 წელს სტალინმა უწინასწარმეტყველა: დანგრეული გერმანია, გაწითლებული ჩინეთი და ევროპის უდიდეს ნაწილსა და ახლო აღმოსავლეთში ფეხმოკიდებული კომუნისტები.**

„...როგორც ხედავთ, საქმე მიდის ახალი იმპერიალისტური ომისკენ, როგორც გამოსავალი ახლანდელ მდგომარეობიდან.

რასაკვირველია, არ არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ომს შეუძლია მისცეს მათ ნამდვილი გამოსავალი. პირიქით, მან კიდევ უფრო უნდა გაართულოს მდგომარეობა. უფრო მეტიც, ის უეჭველად ხელს გაუხსნის რევოლუციას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს კაპიტალიზმის არსებობას მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველი იმპერიალისტური ომის მსვლელობაში. და თუ, მიუხედავად პირველი იმპერიალისტური ომის გამოცდილებისა, ბურჟუაზიული პოლიტიკოსები მაინც ებღაუჭებიან ომს, როგორც წყალწაღებული — ხავსს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ, ჩიხში მოემწყვდნენ და მზად არიან, თვალდახუჭული გადაეშვნენ უფსკრულში.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება, მოკლედ განვიხილოთ ომის ორგანიზაციის ის გეგმები, რომლებსაც ახლა ამუშავებენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსების წრეებში.

ერთნი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ; ისინი ფიქრობენ, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ მას და გამოასწორონ თავიანთი საქმეები მის ხარჯზე. დავუშვათ, რომ მათ მოაწყვეს ასეთი ომი. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? როგორც ვიცით, პირველი იმპერიალისტური ომის დროსაც უნდოდათ მოესპოთ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო — გერმანია და ხელი მოეთბოთ მის ხარჯზე. რა გამოვიდა აქედან? გერმანია მათ ვერ მოსპეს, მაგრამ გერმანიაში დათესეს ისეთი სიძულვილი გამარჯვებულთა მიმართ და შექმნეს ისეთი ნოყიერი ნიადაგი რევანშისთვის, რომ აქამდე ვერ შეძლეს და, ალბათ, კარგა ხანს ვერ შეძლებენ მათ მიერვე შეთითხნილი საზიზღარი საქმის გამოსწორებას. სამაგიეროდ, მათ მიიღეს კაპიტალიზმის განადგურება რუსეთში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება რუსეთში და, ცხადია, საბჭოთა კავშირში. სად არის გარანტია, რომ მეორე იმპერიალისტური ომი მათ მისცემს „უკეთეს“ შედეგებს, ვიდრე მისცა პირველმა? განა უფრო სწორი არ იქნება, ველოდოთ საწინააღმდეგო შედეგს?“ (ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი — გრ. ონიანი).

მეორენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს ერთ-ერთი ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც სუსტია სამხედრო თავდაცვის მხრივ, მაგრამ ფართოა, როგორც ბაზარი, მაგალითად, ჩინეთის წინააღმდეგ, რომელიც თურმე არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ „არაორგანიზებულ ტერიტორიას“, რომლისთვისაც საჭიროა, იგი დაიპყრონ ძლიერმა სახელმწიფოებმა. მათ, როგორც, ჩანს უნდათ ამ ქვეყნის საბოლოოდ დაყოფა და თავიანთი საქმეების გამოსწორება მის ხარჯზე. დავუშვათ რომ მათ მოაწყვეს ასეთი ომი. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის დამდეგს სწორედ ასე უყურებდნენ იტალიასა და გერმანიას, ე. ი. მათ თვლიდნენ „არაორგანიზებულ ტერიტორიად“ და არა — სახელმწიფოებად და იმონებდნენ მათ. მერე რა გამოვიდა აქედან? მას შედეგად მოჰყვა, როგორც ვიცით, გერმანიისა და იტალიიის ომი დამოუკიდებლობისათვის და ამ ქვეყნების გაერთიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ამას მოჰყვა ამ ქვეყნების ხალხთა გულში გამარჯვებულთადმი სიძულვილის გაძლიერება, რომლის შედეგების ლიკვიდაცია აქამდე არ მომხდარა და, ალბათ, მალე არ მოხდება. ისმის კითხვა: სად არის გარანტია, რომ იგივე შედეგი არ მოჰყვება იმპერიალისტების ომს ჩინეთის წინააღმდეგ?“

**განადგურების ნაცვლად, სტალინისა და რუსეთის ხელშეწყობით, ჩინეთი გადარჩა და გადარჩა სამარადჟამოდ. ესეც ხომ სტალინის გენიის ბრწყინვალე გამარჯვებაა და იგი მანამ იცოცხლებს, სანამ იცოცხლებს დიდი ჩინელი ხალხი მისი სახელის სადიდებლად და პატივსაცემად.**

„...მესამენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოაწყოს „უმაღლესმა რასამ“, ვთქვათ, გერმანულმა რასამ, „დაბალი რასის“, პირველ ყოვლისა, სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან „უმაღლესი რასა“ მოწოდებულია, გაანაყოფიეროს „დაბალი რასა“ და იბატონოს მასზე. დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია, რომელიც ისევე დაშორებულია მეცნიერებისგან, როგორც ცა დედამიწისგან, განახორციელეს პრაქტიკულად, რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისევე უყურებდა ახლანდელი გერმანელებისა და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად უმაღლესი რასის წარმომადგენლები უყუ-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სწორედ ობამასა და მის მეგობრებზეა ზედგამოჭრილი სტალინის სიტყვები: „როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით და არც მამაცობით!“

◀ რებენ სლავურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ „დაბალ რასას“, „ბარბაროსებს“, რომლებიც მოწოდებულნი არიან, მუდამ ემორჩილებოდნენ უმაღლეს რასას“ — „დიდ რომს“, ამასთანავე, ჩვენ შორის დარჩეს, „ძველ რომს“ ამისათვის ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ახლანდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლებზე. მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ არარომაელები, ესე იგი ყველა „ბარბაროსი“ გაერთიანდა საერთო მტრის წინააღმდეგ და იერიშით დაამხო რომი. ჩნდება კითხვა: სად არის გარანტია, რომ ახლანდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენელთა პრეტენზიები არ მიიყვანენ მათ იმავე სავალალო შედეგებამდე? სად არის გარანტია, რომ ფაშისტი პოლიტიკოსები ბერლინში უფრო ბედნიერნი აღმოჩნდებიან, ვიდრე ძველი და გამოცდილი დიდმპყრობელები რომში?

განა უფრო მართებული არ იქნება, წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი?“

**ახდა სტალინის წინასწარმეტყველება. განა უფრო კარგ დღეში აღმოჩნდნენ ჰიტლერელი კაციჭამიები, ვიდრე დიდმპყრობელები რომში?**

„...ბოლოს — მეოთხენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა გაჩაღდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობენ მხოლოდ ზოგიერთ სამხედრო წრეში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წრეებში. დავუშვათ, რომ ეს ვაჟბატონები სიტყვებიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? არა მგონია, საეჭვო იყოს, რომ ეს ომი იქნება ბურჟუაზიისთვის ყველაზე საშიში ომი. ის იქნება ყველაზე უფრო საშიში არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრისთვის, იგი ყველაზე უფრო საშიში იქნება ბურჟუაზიისთვის, აგრეთვე, იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მარტო ფრონტებზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც. ბურჟუაზიას შეუძლია, ეჭვი არ შეეპაროს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეცდებიან, ზურგიდან დაჰკრან თავის მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ და ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ მათთვის ახლობელი მთავრობანი, რომლებიც ამჟამად განცხრომით მეფობენ „წყალობითა ღვთისათა“.

ერთი ასეთი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკვე იყო, თუ გახსოვთ — 15 წლის წინათ. როგორც ვიცით, ყველასგან პატივცემულმა უინსტონ ჩერჩილმა მაშინ ეს ომი გამოხატა პოეტური ფორმულით — „თოთხმეტი სახელმწიფოს შესევა“. გახსოვთ, რასაკვირველია, რომ ამ ომმა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მჭიდროდ გააერთიანა თავდადებულ მებრძოლთა მთლიან ბანაკად, რომელიც მკერდით იცავდა თავის მუშურ-გლეხურ სამშობლოს გარეშე მტრებისგან. თქვენ იცით, რით დამთავრდა ეს ომი. იგი დამთავრდა ინტერვენტების განდევნით ჩვენი ქვეყნიდან და რევოლუციური „მოქმედების კომიტეტების“ შექმნით ევროპაში. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მეორე ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება. რევოლუცია ევროპასა და აზიის რიგ ქვეყნებში და ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობათა დამხობა. ასეთია გზააბნეული ბურჟუაზიული პოლიტიკოსების საომარი გეგმები. როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით, არც მამაცობით“.

**მკითხველო, ხომ გეჩვენებათ, რომ ეს დღევანდელი დაწერილია? — არადა, ეს 80 წლის წინათ დაწერა ჩვენმა თანამემამულემ. და ხომ არ გგონიათ, ისევ ისე არ მოხდება, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, როდესაც უამრავი ქვეყანა მოსწყდა ბურჟუაზიულ ორბიტას და საბჭოთა კავშირს შეუერთდა?! მაინტერესებს, როგორ გადანაწილდება დღეს „თოთხმეტთა შემოსევის“ მონაწილენი (ჩერჩილის განმარტებით), როდესაც რუსეთი პასუხს გასცემს ატლანტიკური ალიანსის მგლების ხროვას, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდება ყოფილი საბჭოეთის ყოფილ მიჯნებს.**

გერმანელებს უნდა ახსოვდეთ წარსულის მძიმე გაკვეთილები. თუმცა გერმანელები ისე ვერ გადაეჩვევიან „რასობანას“ თამაშს, როგორც ებრაელი ვერ შეეჩვევა ღორის ხორცის ჭამას. გერმანიის კანცლერს ტემპერატურა ქვევიდან ზევით — თავში აუვიდა და პოლიტიკურ „პრასტიტუტკად“ იქცა. მართალია, პუტინის გასალიზიანებლად ლოგინში არ უწვება ობამას, მაგრამ მას შორიდან ჰაეროვან კოცნას უგზავნის და თვალებს უპაჭუნებს. რეიგანი და ტეტჩერი კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ გერმანიის გაერთიანებისა, რადგან გაყოფილ ქვეყანაში უფრო კომფორტულად ჰქონდათ თავი შეყოფილი, მაგრამ გორბაჩოვისა და შევარდნაძის ავანტიურისტულმა „ძმათნაფიცობამ“ კვლავ შეაერთა გერმანია და დენთის კასრზე დასვა არა მხოლოდ ევროპა, არამედ მსოფლიო.



## ღვთის ნებით დაინგრა 1945 წელს ფაშიზმის ბუდე — ბერლინი. სწორედ ღმერთმა დაანგრია სიკეთისა და მადლის უარმყოფელი უმადური უკრაინა, ღმერთმა დაშალა და დაანაწევრა უმადური საქართველო. ღმერთი სოდომსა და გომორს დაანგრევს დედამიწაზე

**ობამა, რომელმაც ირწმუნა, რომ თავისი ჭკუითა და დამსახურებით გახდა აშშ-ის პრეზიდენტი, არად აგდებს არა მხოლოდ კონგრესს, არამედ ფეხებზე იკიდებს ამერიკის მამების მიერ დაწერილ კონსტიტუციას და მასთან ერთად მსოფლიოს. ის ბავშვობაში მწყემსობის დროს დაკარგულ აქლემების ქარავნის ნაკვალევს დასდევს უდაბნოში და არ კითხულობს, ვისი ქვეყანა და ვისი ქარავანია — წერტილოვანი დარტყმებით განურჩევლად ანადგურებს ქარავნების გამყოლ ადამიანებს, რომელთა უმრავლესობა მუსლიმანია.**

**სწორედ ობამასა და მის მეგობრებზეა ზედგამოჭრილი სტალინის განმარტება: „როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით და არც მამაცობით!“**

ნუთუ ისე არიან შეშფოთებულნი იმპერიალიზმის მამები, რომ თავიანთი თავისა და კაპიტალის გადასარჩენად ყოველგვარ რისკზე მიდიან? ისევ სტალინის მიერ გამოყენებული ანდაზა უნდა მოვიხმო: „კალათის ძირი იწვოდა, სახელურს კი უხაროდაო“. ნეტავ, რად უნდათ კაპიტალისტებს ფული ან ქონება, თუ დედამიწაზე არ იქნება ქვეყნები და არ იარსებებს ხალხი — ბირთვულ სახელმწიფოებს შორის გამართული ომი, ხომ დედამიწის განხალხების წინაპირობაა?!

არც ერთ საღმრთო წერილში არ წერია, რომ შავმა რასამ თეთრი რასა უნდა გაანადგუროს ან შავმა რასამ გაანადგუროს დედამიწაზე სიცოცხლე. ეს ხომ ის რასაა, რომელსაც ამერიკელები გასული საუკუნის ნახევრამდე არჩევნების უფლებას და თავიანთ ქუჩებზე გავლის ნებას არ აძლევდნენ? არ ვფიქრობ, რომ კანის ფერის გამო იჩენს ობამა ხალხთა მიმართ სიძულვილსა და მტრობას, ისლამი ერთ-ერთი დიდი და მდიდარი მოძღვრებაა თავისი უმრავლესი და უერთგულესი მრევლით, ობამა კი შემთხვევითი და მოუმზადებელი პიროვნებაა, რომელიც ამერიკელმა ხალხმა ბრმად და გაუაზრებლად აირჩია პრეზიდენტად.

**ევროპელების მიმხრობა ობამასადმი ჰგავს სტეპში ღამით დანთებულ კოცონს, რომელსაც დიდი ხალისით უახლოვდება სხვადასხვა მწერი რომლებსაც ცეცხლზე გადაფრენისას სწრაფად ეტრუსებათ ფრთები, შემდეგ კი გავარვარებულ ღადარში ცვივიან.**

ევროპელებო, გაიხსენეთ და გახსოვდეთ, რა მოჰყვა ჩერჩილის პოეტურ გამოთქმას: „თოთხმეტი სახელმწიფოს შესევას“ და რით დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი!

საქციელი დიდი ბრიტანეთის პრემიერ დევიდ კამერონისა, რომელიც სუსტი სტუდენტივით უპასუხებს აღებულ ბილეთს, გვარწმუნებს, რომ პოლიტიკური საკითხების, ასე ვთქვათ, გაგებაში არ არის. კემერონის პოლიტიკური აქტივობა იმით გამოიხატება, რომ ობამას სწრაფად მიაწოდოს ტუალეტის აქსესუარები და ზოგჯერ მის ნაცვლადაც გაიჭინთოს. კემერონის საქციელი აკნინებს არა მხოლოდ მის იმიჯს, არამედ დიდი ბრიტანეთის იმპერიის სახელსა და ავტორიტეტს.

კემერონი უნდა ჩავიდეს და კარგად დაათვალიეროს თავისი რეზიდენციის ქვეშ მოწყობილი ბუნკერი, რომელშიც 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩერჩილთან ერთად მთელი ინგლისის მთავრობა და სწორედ იქ დარწმუნდება იგი, იყო თუ არა სანთელი დასანთები სტალინისა და მისი წითელი არმიის სახელზე ჩერჩილის მიერ, რომლის ღამის ქოთნის სიდიდე ისევე აოცებს ბუნკერის დამთვალიერებლებს, როგორც ბევრი რამ, რაც ინგლისის უკიდურესი მდგომარეობის გამომხატველია მეორე მსოფლიო ომში.

**ობამამ და კამერონმა წარმართულ ეპოქაში დააბრუნეს ცივილიზაციის მწვერვალზე ასული კაცობრიობა. დღეს თავისუფლების მაძიებელი მუსლიმანური სახელმწიფოს წარმომადგენლები ობამასა და კამერონის სახელზე თავს აჭრიან ამერიკელი და ინგლისელი ხალხების რჩეულ ახალგაზრდებს და ალაჰს სთხოვენ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის თავისუფლებას. გრცხვენოდეთ, ამერიკელებო და ინგლისელებო, რომ ასეთი კაცთმოძულე და კაციჭამია „ხალხის რჩეულები“ გყავთ!**

**საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი პოლიტიკური „მექისეა“, რომლისთვისაც სულერთია, ვის წაუსვამს ქისას და ვის აუგორებს ჭუჭყს, ოლონდ შეინარჩუნოს მისთვის სრულიად შეუფერებელი სამეფო მანტია, რომელიც მას ისე უხდება, როგორც „ძროხას უნაგირი“** (სტალინის გამოთქმა — გრ. ონიანი).

ვის — ვის, მაგრამ ფრანგებს როგორ შეუძლიათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება, როდესაც ეს ბეხრეკი ბებერი, საუკუნეებია, ინტენსიური თერაპიის პალატაში ჰყავს რუსეთს და ხან ბიოლოგიურად და ხან მექანიკურად უტარებს „დიალიზს“. ეტყობა, ფრანგებისთვის სისხლის გამოცვლაც გახდება საჭირო.

რაც შეეხება **პოლონელებს**, ყოველთვის მზარავდა და უკიდურესად მაშფოთებდა კატინის ტრაგედია, მიუხედავად იმისა, რომელ მხარესაც უნდა ჩაედინა ეს მხეცური აქტი. **დღევანდელი პოლონეთისა და მათი ლიდერების ზღვარგადასული სითავხედე, რუსეთისა და სტალინის მიმართ გაუგონარი სიყალბისა და შეგნებული სიცრუის ფაბრიკაცია და პროპაგანდა ისე მამზადებს შურისძიებისთვის, რომ, თუ მომავალში დადგება საკითხი და, მგონი, მალე დადგება, პოლონეთს მიეზღოს იმის შესაფერისად, რაც ეკუთვნის, მიუხედავად ჩემი ასაკისა, მზად ვარ, ჩავდგე იმ ჯარისკაცთა რიგებში, რომლებიც აღასრულებენ დამნაშავე პოლონელების დასჯის ცერემონიას, მსგავსად ნიურნბერგის პროცესისა.**

რაც შეეხება **უკრაინას**, სადაც შეიქმნა ჩაფსმული სტალინის ძეგლი, რომელსაც უკრაინელი ჰიტლერელები ქალაქიდან ქალაქში დაატარებენ, არის ნათელი მაგალითი უმადურობისა, იმისა, როგორ აღადგინა მკვდრეთით სტალინმა ერთი მუჭა უკრაინელი ერი და გახადა ევროპაში ტერიტორიით ერთ- ერთი დიდი, ხოლო სამრეწველო პოტენციალით — უპირველესი ქვეყანა. ამჟამად კი ვხედავთ, რა პატივს მიაგებს თხასავით გაყიდული და განწირული უკრაინელი ხალხი თავის შემქმნელსა და აღმაშენებელს.

არასოდეს მწამდა ღმერთის, მაგრამ ახლა ვრწმუნდები მის არსებობაში. სწორედ **ღვთის ნებით დაინგრა 1945 წელს ფაშიზმის ბუდე — ბერლინი. სწორედ ღმერთმა დაანგრია სიკეთისა და მადლის უარმყოფელი უმადური უკრაინა, ღმერთმა დაშალა და დაანაწევრა უმადური საქართველო. ღმერთი სოდომსა და გომორს დაანგრევს დედამიწაზე.**

კრემლში კი იდუმლად გაისმის 80 წლის წინათ სტალინის ნათქვამი სიტყვები: **„ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. იგი წარმოადგენს მშვიდობის შენარჩუნების და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკას. საბჭოთა კავშირს აზრად არ აქვს, დაემუქროს და, მით უმეტეს, თავს დაესხას ვინმეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და ვიცავთ მშვიდობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარის და მზად ვართ, დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლებს.**

**ვისაც სურს მშვიდობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, მათ ყოველთვის მხარს დავუჭერთ. ხოლო მათ, ვინც ცდილობს, თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას, გამანადგურებელ პასუხს გავცემთ, რათა შემდეგში დავუკარგოთ ხალისი, შემოსჩრან ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში“.**

**ასეთი იყო და არის რუსეთის საგარეო პოლიტიკა.**

## საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი პოლიტიკური «მექისეა», რომლისთვისაც სულერთია, ვის წაუსვამს ქისას და ვის აუგორებს ჭუჭყს, ოლონდ შეინარჩუნოს მისთვის სრულიად შეუფერებელი სამეფო მანტია, რომელიც მას ისე უხდება, როგორც «ძროხას უნაგირი»

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სამი მოსწავლის მკვლელი ციხიდან გაიქცა



**ამერიკელი ჯეი ლეინი, რომელსაც 2012 წელს ოჰაიოს შტატის სამი მოსწავლის მკვლელობისთვის უვადო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ქალაქ ლაიმას (მონტანას შტატი) ციხიდან გაიქცა, — იუწყება „ლოს ანჯელეს თაიმსი“.**

19 წლის ლეინი და მისი თანამესაკნე, 45 წლის კლიფორდ ერლ ოპერვუდი, საპყრობილიდან გასულ კვირას გაიქცნენ. ლეინის ყოფილი ადვოკატის — იან ფრიდმანის თქმით, გაქცეული ძალიან საშიში პიროვნებაა, თანაც მას სიცოცხლის ბოლომდე აქვს აღკვეთილი თავისუფლება და ყველანაირად შეეცდება, ციხეში არ დაბრუნდეს. 12 სექტემბერს პოლიციამ შეძლო ლეინის დაპატიმრება და ქალაქ ლაიმის ციხეში მოთავსება.



## ამერიკელები აშშ-დან გარბიან

**ამერიკელი ჟურნალისტი ჯანეტ პელანი თავის ახალ სტატიაში წერს, რომ დღეს ბევრი ამერიკელი გარბის აშშ-დან.**

ამჟამად აშშ-ის საზღვრებს გარეთ ამ ქვეყნის დაახლოებით 6 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს. მათი რაოდენობა ყოველთვიურად 150 ათასი ადამიანით იზრდება. ბოლო ხანს ამერიკის ხელისუფლება ფიქრობს, რომ უცხოეთში მცხოვრები ამერიკელები თავს არიდებენ გადასახადების გადახდას და ამიტომ მათ მიმართ „განსაკუთრებული დამოკიდებულება“ უნდა ჰქონდეს, რაც სხვადასხვა ჯარიმაში გამოიხატება. ამის გამო **ბევრს სურს, უარი თქვას აშშ-ის მოქალაქეობაზე, რისი გაკეთებაც, როგორც აღმოჩნდა, არც ისე ადვილია, თანაც საკმაოდ ხარჯიანი.**

იმ მიზეზთა შორის, რომელთა გამოც ამერიკელები სამშობლოდან გარბიან, ექსპერტები ასახელებენ პოლიციის მოქმედების ტოტალურ განუკითხაობას (ამჟამად ამერიკის ციხეებში იმაზე მეტი პატიმარია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ე. წ. შრომა-გასწორების ბანაკებში იყო), სოციალური გარანტიების არარსებობასა და ჯანდაცვის ძირგამომპალ სისტემას.

აშშ-ის ხელისუფლება „დემოკრატიის ბურჯი ქვეყნიდან“ მოქალაქეების გადინებას ჩვეული მეთოდებით ებრძვის — ქვეყნიდან გასვლას უზღუდავს ყველას, ვისაც ბანკის ან სახელმწიფოს ცოტაოდენი ვალი მაინც აქვს, მაგრამ ვაშინგტონის ასეთი პოლიტიკა მხოლოდ ხელს უწყობს იმ მიზეზთა რაოდენობის გაზრდას, რომელთა გამოც ამერიკელები აშშ-დან გარბიან.

**P.S. რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ხელისუფლებამ მკვეთრად გაზარდა აშშ-ის მოქალაქეობაზე უარის თქმის პროცედურის გადასახადი. ახლა ის, 450 დოლარის ნაცვლად, 2350 დოლარია. 422-პროცენტიანი ზრდის მიზეზი, ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, არის ის, რომ ძალიან მოიმატა მდიდარი ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც, მზარდი გადასახადებისთვის თავის არიდების მიზნით, აშშ-ის მოქალაქეობაზე უარს ამბობენ.**



## ამერიკელმა სამხედროებმა ლიტვის მოქალაქე დაჭრეს

**11 სექტემბერს, ღამით, ლიტვის სამხედრო პოლიგონ გაიჟიუნაიზე მიმდინარე სწავლებისას ამერიკელმა სამხედროებმა ტყვიამფრქვევიდან გასროლით დაჭრეს ლიტვის მოქალაქე, რომელიც სროლის ზონაში შემთხვევით იმყოფებოდა. მამაკაცი ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ტყვიამფრქვევებიდან ისროდნენ ლატვიის მექანიზებულ ქვეითთა ბატალიონის ბაზაზე დისლოცირებული აშშ-ის 173-ე საჰაერო დესანტის ასეულის წარმომადგენლები.

## ჯეკ მეტლოკი: დასავლეთმა ბრიყვული შეცდომა დაუშვა, როდესაც უკრაინისა და რუსეთის «ოჯახურ გარჩევებში» ჩაერია

**სსრკ-ში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ჯეკ მეტლოკმა მწვავედ გააკრიტიკა ნატოს პოლიტიკა, რომელსაც სამხედრო ალიანსი ბოლო წლების განმავლობაში ეწეოდა. მეტლოკის აზრით, უკრაინის კრიზისი მოსალოდნელი იყო რამდენიმე მიზეზით, მათ შორის ვაშინგტონის მოქმედების გამო.**





„ადამიანები, რომლებიც ვმონაწილეობდით ცივი ომის შეწყვეტაში, ყოველთვის ვაფრთხილებით, რომ მომავალში სამხედრო ალიანსების გამოყენება სასიკეთო შედეგს არ მოიტანდა“, — განუცხადა მეტლოკმა გერმანულ გაზეთ Tageszeitung-ს.

დიპლომატი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი გაცილებით მისაღებად ჩაივლიდა, თუკი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-იანი წლების შუაში პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ რეალიზებისას სამხედრო საკითხებს უფრო ნაკლები ყურადღება დაეთმობოდა და ეს პროგრამა პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და ბალტიისპირეთის ჩარჩოებს არ გასცდებოდა. მაგრამ, როდესაც პროგრამაში რუმინეთი და ბულგარეთი ჩართეს, მეტლოკის აზრით, ის უკვე მიუღებელი გახდა.

### ამჟამინდელი სიტუაცია, უკრაინისა და რუსეთის გარდა, სხვას არავის ეხება. დასავლეთმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როდესაც კონფლიქტში ჩაერია

**„ამ ქვეყნებს არანაირი რეალური საფრთხე არ ემუქრებოდა რუსეთის მხრიდან. შემდეგ დაიწყო სამხედრო ბაზების შექმნა, მათ შორის, პოლონეთშიც — სხვათა შორის, არარსებული ირანული რაკეტების წინააღმდეგ, შედეგად ეს ყველაფერი რუსებმა პროვოკაციად აღიქვეს“,** — განაცხადა ჯეკ მეტლოკმა.

დიპლომატმა გაიხსენა, რომ 2008 წელს ნატომ გადაწყვიტა, რუსეთის საზღვრებთან განლაგებული ქვეყანა — უკრაინა — ალიანსში მიემხრო. **„ეს დასავლეთის ძალიან ბრიყვული ნაბიჯი იყო. და ახლა ამ ნაბიჯზე რეაგირების შედეგებს ვიმკით. არც აშშ დაჯდებოდა გულხელდაკრეფილი, თუკი, მაგალითად, ჩინეთი დაიწყებდა სამხედრო კავშირის შექმნას მექსიკასა და კანადასთან. ჩვენ ამას ყველა საშუალებით შევეწინააღმდეგებოდით და ასე მოიქცეოდა ყველა სახელმწიფო. პუტინი აკეთებს იმას, რასაც გააკეთებდა ნებისმიერი ლიდერი ასეთ ვითარებაში. უკრაინაში რაც ხდება — ეს არის ოჯახური გარჩევები, სხვა პირები ამ საქმეში არ უნდა ჩაერიონ, რადგან ამჟამინდელი სიტუაცია, უკრაინისა და რუსეთის გარდა, სხვას არავის ეხება. დასავლეთმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როდესაც კონფლიქტში ჩაერია“,** — განაცხადა ჯეკ მეტლოკმა.

## ობამა მაინც დაბომბავს სირიას, ოღონდ არა ასადის მომხრეებს, არამედ მის მტრებს

**მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ახალი ომის დაწყება გამოაცხადა. ბარაკ ობამამ განსაცვიფრებელი მეტამორფოზი განიცადა — კვლავ დაუბრუნდა სირიის დაბომბვის იდეას.**



ზუსტად ერთი წლის წინათ ობამა აპირებდა, რაკეტები დაეშინა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადისთვის და ბოლო მომენტში შეჩერდა რუსეთის მიერ შემუშავებული სირიის ქიმიური იარაღის განადგურების მშვიდობიანი გეგმის წყალობით. ახლა კი ობამა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მტრებს — დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს — ავიადარტყმებით დაემუქრა.

რა, აშშ-ს მოულოდნელად შეუყვარდა ასადი? — არა. **აშშ მიხვდა, რომ ასადის წინააღმდეგ მებრძოლი ისლამისტები, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდა, „ცუდი ბიჭები“ არიან — ასადზე უარესები. ისინი თავს კვეთენ ამერიკელ ჟურნალისტებს და ხელში იგდებენ ერაყის ნავთობსაბადოებს, რომლებსაც ამერიკულმა კორპორაციებმა დაადგეს თვალი.**

„უყოყმანოდ მივიღებ ზომებს დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სირიაში, ისევე, როგორც ერაყში, — განაცხადა ობამამ 11 სექტემბერს ამერიკელებისადმი მიმართვაში, — ჩვენ არ ჩავატარებთ ოპერაციას სახმელეთო ჯარების გამოყენებით, ტერორისტებთან ბრძოლას დავიწყებთ სამხედრო-საჰაერო ძალებითა და ფრონტის ხაზზე ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით.

განაცხადა რა დაბომბვის შესახებ, **ობამამ საჭიროდ არ ჩათვალა, იმ საკითხზე აშშ-ის კონგრესისა და გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობა მიეღო.** ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ობამას ეს ხმამაღალი განცხადება მისი რეიტინგის ამაღლებას ემსახურება. სოციალური გამოკითხვების შედეგების მიხედვით, 2 ამერიკელი ჟურნალისტის საჩვენებელი დასჯის შემდეგ ამერიკელთა 71% მხარს უჭერს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას მსოფლიოში და ობამას, რომელსაც საერთაშორისო არენაზე სისუსტის გამოჩენაში ადანაშაულებენ, ახლა სურს, „მაგარ ბიჭად“ წარმოჩნდეს. ობამამ განაცხადა, რომ ისლამისტებზე დარტყმებს მხარს დაუჭერენ ქურთები და ერაყის არმია, რომელსაც იქ მყოფ 700 ამერიკელ სამხედრო ექსპერტთან ერთად კიდევ 475 ამერიკელი მრჩეველი დაეხმარება.

იმის გასამართლებლად კი, რატომ გადაწყვიტა მან არა ბაშარ ასადის, არამედ მისი მტრების დაბომბვა, ობამამ განაცხადა, რომ ეხმარება „სირიის ზომიერ ოპოზიციას“, რომელსაც ურთიერთობა არ აქვს რადიკალურად განწყობილ ჯიჰადისტებთან“. ხოლო იმის შესახებ, რომ სირიელი „ბოევიკები“ ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან და ერთი რაზმიდან მეორეში გადადიან დასავლეთის მიერ მიწოდებულ იარაღთან ერთად, ობამამ გაჩუმება არჩია.

ერთხელ უკვე მოხდა ასეთი რამ — **აშშ-მა ავღანეთში სსრკ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ისლამისტი „ბოევიკები“ გამოკვება იარაღით, შემდეგ კი 11 სექტემბრის ტერაქტი მიიღო და „ალ ქაიდასა“ და თალიბანს ომი გამოუცხადა...**

ისტორია მეორდება...



## დომინიკ სტროს-კანი: ევროპას არ სურს, უკრაინისთვის სიცოცხლე გაწიროს

**„ჩვენ საზღვარგარეთი დაგვეხმარება!“ — ეს ცნობილი ლოზუნგი, რომელიც ოსტაპ ბენდერს ეკუთვნის, როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლებამ აიტაცა.** ევროპის საქმიანი წრეები კი კიევის ამჟამინდელი ხელისუფლების იმედის გამართლებას არ ჩქარობენ. „ევროპაში არავის სურს, უკრაინისთვის მოკვდეს, თქვენთვის ფულის მოცემა არავის უნდა. ამ ომში მარტონი ხართ“, — განუცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ფრანგმა დომენიკ სტროს-კანმა უკრაინელებს კიევში სიტყვით გამოსვლისას. სტროს-კანმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ევროპის მიერ დაწესებული სანქციები მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს კრემლის პოლიტიკაზე უკრაინაში, ხოლო დასავლეთის ხმამაღალი განცხადებები უკრაინის მხარდაჭერის შესახებ რეალური არ არის.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იცით, რომ ცივი წყლის თავზე დასხმა ლუციფერიანელთა რიტუალია?

**მიმდინარე წლის ზაფხულში „წყლის პროცედურებმა“ ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ მხოლოდ აგვისტოში სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ცივი წყლის გადავლების ამსახველი მილიონზე მეტი ვიდეორგოლი აიტვირთა. შოკისმომგვრელია ის, რომ საზოგადოებრიობა ვერც კი ხვდება: ცივი წყლის თავზე გადავლება (Ice Bucret Challenge) არის მასონური რიტუალი, რომლითაც ლუციფერს (დაცემული ანგელოზი, გაიგივებულია სატანასთან) სცემდენ თაყვანს!**








**თანამედროვე მასონიზმის ერთ-ერთი მამამთავარი ალბერტ პაიკი (1809-1891), რომლის ძეგლიც ვაშინგტონს ამშვენებს, ამბობდა, რომ მასონები თავიანთ რიტუალებს ისე ჩაატარებენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თანაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რომ ადამიანები ვერაფერს მიხვდებიან**

ყველაზე დიდი რეზონანსი, რა თქმა უნდა, პოპულარული ადამიანების მიერ წყლის თავზე დასხმას მოჰყვა. დღემდე ამ აქციისადმი მიძღვნილ ფლეშმობში (დაგეგმილი მასობრივი აქცია, რომელშიც საზოგადოების თავშეყრის ადგილზე მისული ადამიანების დიდი ჯგუფი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებს) მონაწილეობდა შოუბიზნესისა და სპორტის 200-მდე ვარსკვლავი, აგრეთვე, ცნობილი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ა. შ. მაგალითად, ნიუ ჯერსის შტატის გუბერნატორმა **კრის კრისტიმ** ცივი წყალი თვითონ გადაისხა, შემდეგ კი ამ პროცედურის შესრულების ესტაფეტის ჯოხი „ფეისბუქის“ დამფუძნებელ **მარკ ცუკერბერგს** გადასცა. ცუკერბერგმა, თავის მხრივ, გამოიწვია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი **ბილ გეიტსი**, აგრეთვე, „ფეისბუქის“ ოპერაციების დირექტორი **შერილ სანდბერგი** და Netflix-ის აღმასრულებელი დირექტორი **რიდ ჰასტინგსი**. „თქვენ 24 საათის განმავლობაში უნდა გადაივლოთ ყინულიანი წყალი ან გადარიცხოთ ფული ALS-ით (გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი; შარკოს დაავადება; ლუ გერიგის დაავადება — ეს არის ცენტრალური ნერვული სისტემის დეგენერაციული დაავადება, რომელიც კუნთების ატროფიასა და დამბლას იწვევს. ამ დაავადებით დასნეულებული ადამიანების 50% 3-4 წლის განმავლობაში ცოცხლობს დაავადების აღმოჩენიდან) დაავადებულთათვის. შეიძლება გააკეთოთ ერთიც და მეორეც. ეს განსაკუთრებით მისასალმებელია“, — ნათქვამია ცუკერბერგის მიმართვაში, რომელიც „ფეისბუქში“ გამოქვეყნდა.

ბილ გეიტსმა, რომელიც ბიზნესში ორიგინალურობით გამოირჩევა, თავი ფლეშმობშიც გამოიჩინა. მას თვითონ არ დაუსხია თავზე ყინულიანი წყალი, ეს არც მეუღლე მელინდასთვის უთხოვია, ადგა და გამოიგონა მოწყობილობა, რომელიც, თუკი თოკს დაქაჩავ, ვედროდან ცივ წყალს გადმოღვრის. პლანეტის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა ესტაფეტის ჯოხი გადასცა კომპანია Tesla-ს დამფუძნებელ **ელონ მასკს**, აგრეთვე, პოპულარულ ტელე და რადიოწამყვანს, პროდიუსერსა და მსახიობს — **რაიან სიკრეტსა** და კერძო არაკომერციულ ფონდ TED-ის კურატორს — **კრისტ ანდერსონს**. სხვათა შორის, წყლის თავზე გადამსხმელთა შორის არის გეიტსის კონკურენტიც — სტივ ჯობსის მემკვიდრე Apple-ს ხელმძღვანელის პოსტზე — **ტიმ კუკი**.

ცნობილია, რომ ზემოჩამოთვლილი ადამიანები მასონობის მიმდევრები არიან. **წყალი, აგრეთვე, ვედრო და ურთიერთსაწინააღმდეგო სქესის აღმნიშვნელი ინისა და იანის ნიშანი სექტა „ნიუ ეიჯის“ სიმბოლოებია.**

ხოლო მერწყულსა და მის წყლით სავსე ჭურჭელზე მითითება ლუციფერისადმი მიმართვაა. ამ სექტის წარმომადგენელთა აზრით, წყლის თავზე გადავლების რიტუალი ფეხმძიმე დედამიწის მიერ სანაყოფე წყლების დაღვრას ნიშნავს.

ილუმინატები (ლათ. **Ylumi-nati — განსწავლულები.** ოკულტურ-ფილოსოფიური საიდუმლო ორდენი) კი ამ რიტუალით ანტიქრისტეს ეპოქის მოახლოებაზე მიუთითებენ. თანამედროვე მასონიზმის ერთ-ერთი მამამთავარი **ალბერტ პაიკი** (1809-1891), რომლის ძეგლიც ვაშინგტონს ამშვენებს, ამბობდა, რომ მასონები თავიანთ რიტუალებს ისე ჩაატარებენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თანაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რომ ადამიანები ვერაფერს მიხვდებიან.

# რა არის «ნიუ ეიჯი» და ვინ არიან მისი მიმდევრები

„ნიუ ეიჯი“ (ინგლ. New Age, სიტყვასიტყვით — „ახალი ერა“) — ეს არის საერთო დასახელება სხვადასხვა მისტიკური ორგანიზაციისა, დაკავშირებული რელიგიურ მოძრაობასთან, რომლის იდეოლოგებიც ოპერირებენ ცნებებით „ახალი ერა“, „მერწყულის ეპოქა“ და „ახალი საუკუნე“, ისინი თავიანთ თავს ზოგჯერ ასეც უწოდებენ.



ეს მოძრაობა წარმოიშვა XX საუკუნეში და დღემდე აქტიურად მოქმედებს. მოძრაობის მომხრეებს აერთიანებთ ის, რომ დაიწყება „დიდი გარდაქმნების“ პერიოდი — ახალი ეპოქა, რომელიც შეცვლის თანამედროვე კულტურას.

„ნიუ ეიჯი“ პრეტენზიას აცხადებს, შექმნას ახალი სინთეზური რელიგია, რომელიც შეცვლის ქრისტიანობას. მას დასაბამი დაუდო ბრიტანელმა მწერალმა ქალმა **ელის ბეილიმ,** რომელიც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ წინასწარმეტყველი გახდა. ხოლო მის იდეებსა და მიზნებს საზოგადოებრიობას განუმარტავდა **მერილინ ფერგიუსონი**. „ნიუ ეიჯის“ მიზანია მსოფლიო წესრიგის შეცვლა ადამიანის სულიერი გარდაქმნით, რათა მიაღწიოს „ღვთაებრივ ძლიერებას“ და მოიპოვოს მსოფლიოს მართვის შესაძლებლობა. სწორედ ამ სწავლებამ მისცა განვითარების რელიგიური საფუძველი ჰომოსექსუალიზმს. „ნიუ ეიჯი“ იმეორებს კაბალის სწავლებას პირველ ადამიანზე, როგორც ღმერთის მსგავს სულიერ ანდროგენზე, რომლის მთლიანობა, მატერიალიზაციის შედეგად, ორ ნახევრად დაიშალა. „ნიუ ეიჯის“ მიმდევართა აზრით, სქესი წარმოადგენს საზიანო შეზღუდულობას, გაყოფას, რომელსაც ადამიანი სიკვდილამდე მიჰყავს. „მთლიანობა“, როგორც „ნიუ ეიჯი“ ასწავლის, წარმოიქმნება საკუთარი სქესიდან გამოსვლის მეშვეობითა და ჰომოსექსუალურ-ლესბოსური კავშირებით“. „ნიუ ეიჯის“ სწავლებით, ჰარმონიულ და უკვდავ ანდროგენულ მდგომარეობაში დასაბრუნებლად აუცილებელია, გახდე ქალაბიჭა — ჰერმაფროდიტი. მეტიც, ანდროგენიზაცია გამოიწვევს ანგელოზის მსგავსი სახეობის გაჩენას, რასისა, რომელიც შემდგარი იქნება მხოლოდ სულებისგან. ამიტომაც „ნიუ ეიჯის“ ერთ-ერთი სიმბოლო ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისთა — ინისა და იანის — შერწყმაა. ხოლო **სქესთა დაყოფა და ყოველივე, რაც დაკავშირებულია ოჯახთან, ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, არის ანომალია.**

მალავდნენ რა თავიანთი პროგრამის ჭეშმარიტ არსს, „ნიუ ეიჯის“ მიმდევრები იყენებდნენ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას, რომელთა მეშვეობითაც თავიანთი იდეები სამეცნიერო კონცეფციებისა და თეორიების საბურველში გაახვიეს. მათ შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **1960-იანი წლების მიწურულს შემუშავებულ ამერიკულ გენდერულ კონცეფციას, რომელიც პირველად ინტერ და ტრანსსექსუალობის შემსწავლელმა სექსოლოგმა ჯონ მანმა ჩამოაყალიბა**. სწორედ მან შემოიტანა პირველად „გენდერისა“ და „გენდერული როლის“ ცნებები ადამიანის „სოციალური სქესის“ აღსანიშნავად. მალე ეს ცნებები ფართოდ აიტაცეს სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა და გავრცელდა ფემინისტური მოძრაობის შიგნითაც. შედეგად, **რადიკალურად განწყობილმა გარყვნილებმა დაიწყეს პოლიტიკური ბრძოლა, რათა ჰომოსექსუალიზმი აღიარებულ იქნას ცხოვრების ნორმალურ და ალტერნატიულ წესად.** ამ მიზნით **აშშ-ში დაამკვიდრეს ახალი სოციალური ცნება „ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები“ (ელ-გე-ბე-ტე), რათა გამოყოფილიყვნენ დანარჩენი საზოგადოებისგან, როგორც განსაკუთრებული თვითშეგნებისა და ახალი სუბკულტურის მქონენი**. ცოტა ხანში ისინი „ადამიანის უფლებების“ დაცვის ლოზუნგით შეტევაზე გადმოვიდნენ. ამერიკელი მხატვარ-აქტივისტის, **გილბერტ ბეიკერის მიერ „გეი-აღლუმებისთვის“ შემუშავებული ცისარტყელას დროშა ელ-გე-ბე-ტე მოძრაობის სიმბოლოდ იქცა. მან, ფაქტობრივად, გამოიყენა „ნიუ ეიჯის“ ერთ-ერთი სიმბოლო: ცისარტყელას მეშვეობით გამოიხატება ხიდი ადამიანის სულსა და „საყოველთაო ზეგონს“, ანუ ლუციფერს შორის.**



კორი გრიფინი

**P.S. აქცია ALSIce Bucret Challnge-ს იდეის ერთ-ერთი ავტორი, 27 წლის კორი გრიფინი, რომელიც ამ მოძრაობის შექმნის ინიციატორთან, გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის დაავადებულ ამერიკელ ბეისბოლისტ პიტ ფრეიტსთან მეგობრობდა, ამა წლის აგვისტოს ბოლოს ატლანტის ოკეანეში დაიხრჩო.**

**P.P.S. ამ აქციით ამერიკული ALS Therapy Development Institute-ის ანგარიშზე 100 მილიონ დოლარზე მეტი გადარიცხა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**4 შეკითხვა პრემიერს, მერსა და მოქალაქეს**







# ევროპასთან ასოცირება მამათმავლობასთან ასოცირდება

**ვინ არის დღეს ევროატლანტიკური სივრცის (ჩვენ რომ ასე ვესწრაფვით) უფროსი?**
**ვინ და ობამა.**
**როგორია მისი მრწამსი და ზნეობრივი მოდელი: „ჩვენ პროგრესს განვიცდით, წინა საუკუნეებში ჩვენი მთავარი მიღწევა იყო ზანგების დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ამ საუკუნეში კი ჩვენ მივაღწიეთ ერთსქესიანი სიყვარულის დისკრიმინაციის გაუქმებასო“.**



ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება „შალახოს“ თანხლებით

**აი, ამიტომ ეს გარყვნილები, უცხოელი მთავრობები, გვეუბნებიან, ვისაც უნდა ჩვენთან შემოსვლა, პედერასტების დოქტრინის გარეშე არ მივიღებთო**

და ზუსტად მეორე დღეს Ffacebook-სა და youtube-ზე დაიწყეს მილოცვები და ზეიმები, ჯერ კიდევ სად ხართ, ჩვენი გამარჯვებები წინააო. მეტი რაღა უნდა გაიმარჯვონ; ქორწინდებიან, ბავშვებს იყვანენ, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე თუ ბაღის აღმზრდელებად მუშაობენ, მეტი რაღა უნდა გაიმარჯვონ?! ალბათ, კანონგარეშედ თუ გამოგვაცხადებენ და დაგვხოცავენ. თუმცა ამას იკმარებენ? ერთ ჭეშმარიტ მამულიშვილს (გვარს არ დავასახელებ), რომელიც ამ სიბინძურის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს, ასე შეუთვალეს: ჯერ გაგაუპატიურებთ და მერე მოგკლავთო.

ეს რაც შეეხება ამერიკის პრეზიდენტს. ახლა ვნახოთ, რა თქვა მათი მთავარი სამხედრო გაერთიანების — ნატოს გენერალურმა მდივანმა, ბატონმა რასმუსენმა:

**„ნატო, პირველ რიგში, არის ღირებულებების ერთობა და, თუ ჩვენთან მეგობრობა გინდათ, უნდა დაიცვათ ჩვენი ღირებულებები და არ გაბედოთ, განმეორდეს 17 მაისის მოვლენებიო“.**

ანუ ჩვენ უნდა დავდგეთ და დავუშვთ ჩვენს ქალაქში გეიპარადები, როგორც, მაგალითად, „ცივილურ“ ლონდონში ან პარიზშია. სადაც ამ კოლჰოტკიან კაცებს თუ დაკუნთულ ქალებს გეიპარადზე ქალაქის მერები მოუძღვებიან წინ პლაკატებით, თვითონაც ოფიციალური პედერასტები.

**რა, რამ დაგვაბრმავა, რუსეთის სიძულვილმა?**

ასეთ ცივილიზაციას არამხოლოდ რუსეთი, არამედ ირანი და მონგოლეთიც მირჩევნია.

თუ ჩემს შვილს სკოლაში გამიპიდარასტებენ, უფრო სწორად, მათ ენაზე „აღუმაღლებენ მგრძნობელობას სექსუალური ორიენტაციის მიმართ“, მაშინ რაღა გამიხარდება?

ხოლო ის ლაპარაკი, რომ რუსეთში ხდება იგივე და ერაყშიც, არის სისულელე. რა თქმა უნდა, სიბილწე ყველგან ხდება და ბიზანტიაშიც ხდებოდა, მაგრამ სხვაა რომ ხდება და სხვაა, რომ ეს სახელმწიფო მსოფლხედველობადაა მიღებული. თუ მასონები არ არსებობენ? **ერთმა უცხოელმა მომიყვა, ამერიკაში რომ ვიყავი, რაღაც პედერასტების ზეიმია, როდესაც მთელმა მოსახლეობამ უნდა ჩაკიდოს ხელი ერთმანეთს და ყველამ თქვას, ვის ვინ უყვარს, რომელი სქესი, მისი თუ საპირისპიროო. მასში ბავშვებიც მონაწილეობენ ხოლმე და ერთი პატარა ბიჭი ხელჩაკიდებული თურმე იძახდა, მე ქალი მომწონს, მე ქალი მომწონსო და მამამისი სიცილით ეუბნებოდა, ჯერ დაფიქრდიო.**

ახლა მეორე მომენტი. ფაქტია, რომ სოდომ-გომორულ ცოდვაშია ეს ევროატლანტიკური სივრცე. მაგრამ რა, ამის რცხვენიათ და თავისთვის არიან? არა, ბატონო, პირიქით, სხვების გასვრაც უნდათ. ეს ყველა ცოდვას ახასიათებს. მაგალითად, ქურდებს უნდათ, რომ ყველა ქურდობდეს, მეძავებს — ყველა მეძავობდეს, ხოლო პედერასტებს — ყველა პედერასტობდეს. ეს იმიტომ ხდება, ალბათ, რომ თავისი სიბილწე გაამართლონ და სიწმინდედ წარმოადგინონ და სინდისის ქენჯნა მოიხსნან.

აი, ამიტომ ეს გარყვნილები, უცხოელი მთავრობები, გვეუბნებიან, ვისაც უნდა ჩვენთან შემოსვლა, პედერასტების დოქტრინის გარეშე არ მივიღებთო.

ამ ცისფერმა კომისარმა შტეფან ფულემ (ცისფერი მას მოლდაველთში წითელი კომისრების ანალოგიით შეარქვეს) შეგვისრულა, უფრო სწორად, ჩვენმა სამარცხვინო, ჩვენი შვილების მორალზე მიმფურთხებელმა და პედერასტობაზე ხელის მომწერმა პარლამენტმა ერთხმად მოაწერა ხელი ამ სიბინძურეზე.

და რა, იტყვიან, არ ვიცოდით, ჯაჭვლიანივით. როცა პატრიარქმა, სამღვდელოებამ და ამდენმა ხალხმა მოუწოდეს, ლამის ანათემას გადასცემდნენ და პლაკატებს წვავდნენ.

და ერთხმად 110 კი არა 150-ვეა, იმიტომ, რომ ვინც არ დაესწრო, მაგრამ ხმა არ ამოიღო, სამწუხაროდ, იგივე ხელისმომწერი და ლაჩარი და ჩვენი შვილების გაპედერასტების ხელშემწყობი გამოდის.

კი, ბატონო, ამ დროს თითქოს მხოლოდ პარლამენტი გაილანძღა, მაგრამ რა, მთავრობაც იგივე არაა?! რატომ ვერ გაბედეს ხმის ამოღება?! რა თქმა უნდა, ეს თავისთავად მათი პრობლემაა და ვერავის განიკითხავ თავის პირად ცოდვაში, მაგრამ სხვაა, როცა შენ მთავრობა ხარ და შენი სიჩუმე სხვებს აზარალებს და ჩვენს შვილებს რყვნის.

იქ რომ დიდი ამბით ჩაგვიწერეს, „მზრუნველად“ ზნეობას არ შეეწინააღმდეგოსო. რა კაზანტიპი ზნეობრივი იყო? თუ ასე ღელავენ ზნეობაზე, რატომ მთავრობის ერთმა წევრმაც ვერ დაძრა სიტყვა?! რა, ვერავისზე იმოქმედა საპატრიარქოს მწვავე განცხადებამ?! ასე როგორ ისქელებენ ტყავს?! კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის მხოლოდ მათი პიროვნული პრობლემა, არამედ მათი მოთმენა ჩვენი გარყვნის მოთმენის ტოლფასია.

ახლა მინდა შევეხო კაი ბიჭებს და კაი ბიჭს.

„ღარიბაშვილის გვეიმედება“, არა და არ ეშვებიან ამ აზრის მუსირებას. ნეტამც. მაგრამ ვინმეს ოდნავ იმედი აქვს, რომ ირაკლი ბიძინას აუხტება, მე მგონი, არავის. ხოლო ბიძინა, „პოლიტიკიდან წასვლის“ შემდგომ პირადად რომ „იღვწოდა“, რათა ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთხმად გაეტანათ, ანუ პედერასტობა ერთხმად დაემკვიდრებინათ, ხომ ფაქტია, ასეთივე სიბინძურე და სიბილწე როა ბერას ტელევიზია, ესეც ხომ ფაქტია. ახლა — კაზანტიპზეც. ღარიბაშვილს არ უნდოდაო, მაგრამ კვლავ მისი ამქვეყნიური მბრძანებელის შიშით ჩაიკმინდა ხმაო. **და თვითონ ირაკლის, ვინ იცის, რა უნდა, წულუკიანს თავზე დაახია კანონიო, კიდევ უფრო მკაცრიო, რაში ჩანს, მაშინ მოეხსნა წულუკიანი. მოეხსნა კი არა, მე მგონი, დღეს ირაკლი ღარიბაშვილი ამ თავისი „კაი ბიჭობით“ ყველაზე ვერაგ თამაშს თამაშობს. რა, ირაკლი არ „იღვწოდა“, მიგვეღო პედერასტების კანონი და ოსტატურად და თვალთმაქცურად არ ფუთავდა მას, როდესაც თითქოსდა ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვის მოთხოვნით გამოვიდა და მერე კონსტიტუციაში ზნეობის მუხლი ჩაგვიწერა, ოღონდ კი გაეთრია ეს კანონი. თან გვაბოლებდა,** „ჩვენ ხომ ოდითგანვე ტოლერანტულები ვართ, ქართველები. ჰქონდეს, ვისაც უნდა, თავისი ცხოვრების წესი, ჩვენ რაო?“ პედერასტობა თურმე ცხოვრების წესი ყოფილა და თურმე ქართველები პედერასტობის გათანაბრების და ნორმად გამოცხადების მიმართ ტოლერანტულები და შემწყნარებლები უნდა ვიყოთ.

ჩემი აზრით, ეს კაი ბიჭი და სხვა კაი ბიჭები თუ გოგოები, მაგალითად, გედევანი, ჯაჭვლიანი, ბესელია... უფრო ვერაგები გამოდიან ცუდ ბიჭებზე (გაცხადებულ ლიბერასტებზე), ვინაიდან ისინი ვაჟკაცურად მაინც გვაგინებენ, სულშიც გვაფურთხებენ და ბრძოლის ველზეც ხმალამოღებულნი გვეპატიჟებიან; ესენი კი თვალთმაქცობით, გულში მჯიღის კვრით, ზნეობისა და ეკლესიის სახელით გვანიარაღებენ, საქეიფოდ გაშლილ სუფრაზე გვეპატიჟებიან და უკვე მოდუნებულებს, სადღეგრძელო ჭიქაში, მალულად შხამს გვისხამენ.

**სწორედ ამ შხამის ჩასხმა იყო მათ მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის ნებისმიერი ფორმით გათრევა და თუნდაც კაზანტიპზე პირში წყალის ჩაგუბება და დუმილი.**

ტელევიზიებზე რაღა ვთქვა; „ტაბულა“ და „რუსთავი 2“ გასაგებია, „იმედიც“, პირველი არხიც, „მაესტროც“. რომელმა გაბედა (აღარ ვამბობ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე) თუნდაც კაზანტიპი გაეშუქებინა ისე, რომ უზნეობაა. პირიქით, მათ მრევლი და ეკლესია გამოიყვანეს მარგინალებად, ხოლო პედერასტებისა და მეძავების პროპაგანდისტები — პროგრესულებად.

რა თქმა უნდა, ეს შემთხვევით და ვიღაც ქართველი „ტელევიზიონშიკების“ გემოვნებით არ ხდება. ეს ხდება (და როგორც დავიწყე, იმას დავუბრუნდები), ცხადია, შეკვეთით და, სამწუხაროდ, სწორედ ამ ევროატლანტიკური სივრცის ბინძური ნაწილის და მათი მთავრობების შეკვეთით. ანტიქრისტეს მომლოდინე იეზუიტებისა და მასონების შეკვეთით, რომლებიც „იდენტობას“ მილიონებს მხოლოდ იმაში ურიცხავენ, რომ პლაკატები გამოიტანონ, ჩვენი ბავშვები გარყვნან და საკუთარი სიბილწეები შეფუთონ.

ერთადერთი, რაც ამ ლიბერასტებმა შეიძლება ჩემს აზრს დაუპირისპირონ არის: „აბა, რუსეთი და პუტინი გვინდა?!“ გასაგებია, სერიოზული არგუმენტია. მართლაც ერთ მხარეს ამერიკა და ევროპაა ზნეობრივი დეგენერაციით და სოდომ-გომორით, ხოლო მეორე მხარეს რუსეთი, რომელიც ცარიზმიდან დაწყებული გვიპყრობდა, შემდგომ — ბოლშევიკები, კაგებე, ათეიზმი, ლენინი, საკონცენტრაციო ბანაკები, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი და ა.შ. ძალიან ცუდია. თუმცა ამერიკა არ არის დამპყრობელი? რა, თუ ადრე რუსეთს უხტებოდნენ, ავღანეთში რა გინდაო (და სამართლიანადაც), თვითონ რაღა ესაქმებათ იქ, „მშვიდობას“ ამყარებენ? კუვეიტი რომ გაათავისუფლეს, სასაცილოა. ეს იგივეა, ვინმემ დღეს გურია რომ გაათავისუფლოს საქართველოდან. კუვეიტი იმიტომ „გაათავისუფლეს“, რომ ნავთობი აკონტროლონ. ან ერაყში რა უნდათ? თუ სერბეთი გადაარჩინეს, როდესაც მუსლიმებს სერბების სისხლით მორწყული და მათი სალოცავებით დახუნძლული მიწები დაუკანონეს? ეს იგივეა, ვიღაცამ აჭარა რომ მოგვწყვიტოს და დამოუკიდებლობა გამოაცხადოს და სერბეთს კი ბომბებს უშენდნენ აღდგომის მილოცვის წარწერით.

თუ ვინმე თვალებს ახამხამებს და გულუბრყვილოდ ამერიკისა და ევროპის მშვიდობისმყოფელობისა და ტოლერანტობისა სჯერა.

ალბათ, კიდევ ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა.

თუ უკრაინელ ხალხზე ზრუნავენ? **ნუთუ ამერიკის უფროა უკრაინა ვიდრე რუსეთის? ერთი „ნაციონალებმა“ გადააგდეს კორუმპირებული შევარდნაძე და ფულს აღარ შოულობდნენ, და მეორე ამათ გამოიჭირეს ოქროს უნიტაზიანი პრეზიდენტი და აწი ფულს აღარ გააკეთებენ. რა, უკრაინის კრიზისში გასაკვირია, რომ დაადანაშაულო ამერიკა და ევროპა? რა, ისინი არ უწყობდნენ მაიდანს ხელს და არ აქეზებდნენ და არ ჩადიოდნენ იმათ მიტინგებზე? რა მათმა „კმარამ“ და ზონდერებმა, მაელსის მეთაურობით, არ მოაწყვეს ეს „ხავერდოვანი“ რევოლუციები?! ხოლო როდესაც არ აძლევდათ ხელს, 26 მაისი ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადეს და ჯონ ტეფტმა პირადად მოუწოდა მიშას, მიტინგი დაერბია. რა, არ არის ორმაგი სტანდარტები?!**

ახლა რაც შეეხება რუსეთს. დღეს მსოფლიოში ისეთი პირი უჩანს, რომ მხოლოდ რუსეთი თუ გააჩერებს ამ მასონების, გარყვნილების და სიბილწის ჰეგემონიას. ადრეც ასე იყო, ვის მოსწონდა ბოლშევიკები და სტალინი, მაგრამ მათ გააჩერეს ფაშიზმი, კიდევ უარესი უბედურება. დღესაც მე, პირველ რიგში, რუსეთში ვხედავ ამ ლიბერალური ფაშიზმის გამჩერებელ ძალას.

ბოლო ხანებში საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს, მათ შორის ასევე პრესის ნაწილსაც (რომელთა პრინციპიცაა ზნეობის დაცვა), და ამ გაზეთებში დაბეჭდილ ბევრ პატივცემულ პიროვნებასაც არ ეთმობა ირაკლი, ▶

ეგვიპტისა და ემირატების საჰაერო ძალები ლიბიის დაბომბვებში მონაწილეობდნენ: ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა გადაწყვიტეს, ამ გზით ჩაეხშოთ მის ტერიტორიაზე ექსტრემისტული დაჯგუფებების აქტივობა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დავითი, ალბათ, არც ბიძინა, ხოლო „ნაცებსა“ და რესპებს და მის თანამოაზრეებს არ ინდობს და ამხელს. კი, ბატონო, მეორე ნაწილში გეთანხმებით, მაგრამ პირველში — ვერა და ჩემი აზრის დასამტკიცებლად ერთ ტესტს შემოგთავაზებთ:

დაუსვით მარტივი შეკითხვები ირაკლის, დავითს და ბიძინასაც ან პირველ ორს მაინც. მაგალითად, შემდეგი შინაარსისა:

**1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მამათმავლობა არის სიბილწე, გარყვნილება და ბინძური ცხოვრების წესი?**

**2. მიგჩნიათ თუ არა, რომ ობამას გამონათქვამი „ჩვენი მიღწევაა ერთსქესიანი სიყვარულის დაკანონება“ არის გარყვნილება და გათახსირება, ზნედაცემულობის ნიმუში?**

**3. ან მერკელმა, რომელმაც ოფიციალურად მიულოცა ქორწინება მის მინისტრ კაცს კაცთან, არის დანაშაული მორალის, ჩვენი შვილების ცნობიერების წინაშე და უზნეობა და სიბილწე?**

**4. ან რასმუსენის მიერ 17 მაისს მამათმავლობის წინააღმდეგ ხალხის ნების გამოხატვის კრიტიკა არის ქართველი ერის შეურაცხმყოფელი და გარყვნილების დამკვიდრების მაპროვოცირებელი?**

საერთოდ ეს ტესტი არამხოლოდ ზემოთ ხსენებულ პიროვნებებთან, არამედ ბევრ სხვა (ვაი) პოლიტიკოსთან, პოლიტოლოგთან, საზოგადო მოღვაწესთან, ჟურნალისტთან... და ა. შ. გამოგვადგება. ამიტომაც, მაგალითად, თუნდაც რომელიმე რეიტინგულ გაზეთში რომ დასმულიყო ეს შეკითხვები კარგი იქნებოდა, ვინაიდან პრემიერის თუ მერის ბოლომდე „არ გაწირვა“, სხვებისგან განსხვავებით, ძალიან სახიფათოა, ვინაიდან მათი „სუფთა ხელებით“ ხდება, სამწუხაროდ, ლიბერასტული იდეების დამკვიდრება.

**ყოველი შემთხვევისთვის ამ ტესტით გამოჩნდება, რომ ეს ერთი გუნდია, უზნეობის, გარყვნილებისა და ლიბერასტობის სამსახურში ჩამდგარი ერთი გუნდი, რომლის კოაბიტაციაც ასე თვალნათლივ დამტკიცდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროს.**

ამიტომაც მიმაჩნია, რომ ზოგიერთი წევრის „გაპრავება“ ძალიან სახიფათოა ჩვენი და ჩვენი შვილების ზნეობის დაცვის საქმეში. პირიქით, ყველას უნდა დაერქვას თავისი სახელი. და თუ არ ვარგანან, განვაგდოთ და დროზე ვიზრუნოთ ნორმალური, ყოველ შემთხვევაში, არალიბერასტი და ზნობრივი მთავრობის მოყვანაზე, რომლის უკან არა მასონების ავლა-დიდება ან თუნდაც ბიძინას მილიარდები, არამედ სინდისი და ნამუსი იქნება.

**დასასრულ, მინდა დავძინო, რომ, რა თქმა უნდა, ჩემი მიზანი არ არის, არც ერთ, ნებით თუ უნებურად თუნდაც შეცდომილ, თუნდაც მტრულ გზაზე მდგარ ადამიანებზე ხაზის გადასმა.**

და მე, რა თქმა უნდა, არავის ცუდი არ მიხარია და არც უნდა მიხაროდეს, ვინაიდან საბოლოო ჯამში, მთავარია, უფალი ყველას შეგვეწიოს, როგორც ამ ცხოვრებაში ღირსეულ მყოფობაში, ისე მარადიული ცხონების მოპოვებაში.

**გურამ ფალავანდიშვილი**

# არაბული ქვეყნები საკუთარ რადიკალებს აშშ-ის გარეშე მოუვლიან

**ბოლო დღეების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში ახალ-ახალი კავშირების ფორმირება შეინიშნება. უპირველეს ყოვლისა, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ აშშ, რომელიც ადრე მჭიდროდ თანამშრომლობდა მრავალ არაბულ ქვეყანასთან, ახლა რეგიონში გავლენას კარგავს. სპარსეთის ყურის მონარქიებს შორის წინააღმდეგობრიობაც ხელს უწყობს გეოპოლიტიკურ ცვლილებებს, რომელთა შედეგადაც დაიწყო საუდის არაბეთს, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებსა და ეგვიპტეს შორის ახალი კავშირის ჩამოყალიბება. აღნიშნული ალიანსის მიზანი უდავოდ არის ბოლო დროს გაძლიერებული რადიკალური ისლამისტების მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.**



დიდი ხანია, საუდის არაბეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები თანამშრომლობენ სპარსეთის ყურის რეგიონში და ახლა, როგორც ჩანს, გამოძახილი პოვეს ეგვიპტის მხრიდანაც არაბული სამყაროს განვითარების საკუთარ ხედვასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ამ სამ სახელმწიფოს შორის კავშირი ჯერ კიდევ ეფემერულია, რადგან არ არსებობს მის წევრებს შორის ურთიერთობების რეგლამენტირებისთვის საჭირო ოფიციალური დოკუმენტაცია. მაგრამ საუდისა და ემირატების მასმედიის საშუალებათა რიტორიკა იმაზე მიანიშნებს, რომ სამეულის ურთიერთქმედება სხვადახვა სფეროში მხოლოდ გამყარდება და გაღრმავდება.

არაბულ სამყაროში ისლამური ხალიფატის იდეამ დიდი ხნის მანძილზე პირველად მოიპოვა რეალური მოხაზულობა. რადიკალური ისლამური დაჯგუფებები ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოში იბრძვიან ხელისუფლებისთვის. ყველაზე დიდ წარმატებებს ბოლო პერიოდში მათ ერაყში მიაღწიეს: **ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით მესამედს აკონტროლებს.** ხალიფატში ხალხმა შარიათის ფუნდამენტალური კანონებით უნდა იცხოვრონ. გარდა შარიათის კანონების დამკვიდრებისა, **ისლამისტებს ერაყის ნავთობით მდიდარ რაიონებზე კონტროლის მოპოვებაც სურთ, მით უფრო, რომ თავად ერაყის, როგორც სახელმწიფოს, არსებობის საკითხი უკვე საფრთხის წინაშე დგას.**

უახლოეს თვეებში განვითარებული მოვლენები ადასტურებს, რომ არაბული ქვეყნები აშშ-ის დახმარების გარეშეც იოლად გავლენ. დღეისათვის ახლო აღმოსავლეთში ტერორისტების საწინააღმდეგოდ ახალი სტრატეგიული კავშირები ყალიბდება. საუდის არაბეთის მხარდაჭერაზე დაყრდნობით ეგვიპტის ახალმა ხელისუფლებამ 2013 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ აკრძალა ისლამური ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანების“ მოღვაწეობა, არადა, ეს ორგანიზაცია „არაბული გაზაფხულის“ შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა.

ახლახან არაბეთის გაერთიანებული საემიროების პრეზიდენტმა, შეიხმა ხალიფა ბენ ზაიედ ან-ნახაიანმა ხელი მოაწერა ახალ კანონს ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. ამ კანონში მკაფიოდაა გაწერილი ტერორისტული მოღვაწეობის სახეობები და მათი შესაბამისი სასჯელები. ამის შემდეგ სულ მალე ცნობილი გახდა, რომ **ეგვიპტისა და ემირატების საჰაერო ძალები ლიბიის დაბომბვებში მონაწილეობდნენ: ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა გადაწყვიტეს, ამ გზით ჩაეხშოთ მის ტერიტორიაზე ექსტრემისტული დაჯგუფებების აქტივობა.** ლიბიის წარმომადგენლებმა ეს საჰაერო თავდასხმები განსაჯეს და აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყეს.

ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში პირველი გამოცდილება იყო ეგვიპტისა და არაბეთის გაერთიანებული საემიროებისთვის ექსტრემისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ საჰაერო ძალების ერთობლივი ბრძოლის მხრივ. გამორიცხული არაა, რომ მსგავსი „სამშვიდობო ოპერაციები“ „საკუთარი ძალებით“ მათ შემდგომშიც განახორციელონ არა მხოლოდ ლიბიაში, არამედ ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც, ამჯერად — ერაყში.

კავშირმა თავისი ეფექტურობის ხარისხი უკვე წარმოაჩინა. ერთობლივი ქმედებების პირველი შედეგები პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირებაზე აისახა. პალესტინა-ისრაელის მშვიდობიანი მოლაპარაკებები, რომლებიც სულ ახლახან გაიმართა, ეგვიპტისა და საუდის არაბეთის ხელისუფლებების ხელშეწყობით ჩატარდა. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა ისრაელის მიერ ცეცხლის უვადოდ შეწყვეტა.

**ასე რომ, ახლო აღმოსავლური ახალი სტრატეგიული კავშირები პირველ წარმატებებს ზეიმობს. არსებობს ვარაუდი, რომ საუდის არაბეთის, ეგვიპტისა და არაბეთის გაერთიანებული საემიროების კავშირს შეუერთდება იორდანია, ქუვეითი და ბაჰრეინიც. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, არაბული სახელმწიფოების ანტიტერორისტული კავშირი ახლო აღმოსავლეთში უმსხვილეს კოალიციად იქცევა.**

cont.ws

# ფრანგი ისლამისტები სირიულ ანგარიშსწორებებში მონაწილეობენ

**როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტი აღნიშნავს, ფრანგები მონაწილეობენ სირიაში მიმდინარე სიკვდილით სახალხოდ დასჯებში და ინტერნეტში აქვეყნებენ საკუთარ ფოტოებსა და ვიდეოებსაც კი, რომლებზეც ხელში ადამიანთა მოკვეთილი თავები უჭირავთ.**



მას შემდეგ, რაც ისლამისტებმა ინტერნეტში გაავრცელეს ამერიკელ-ისრაელელი ჟურნალისტის — სტივენ სოტლოგის თავის მოკვეთის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, გამომძიებელმა მარკ ტრევიდიკმა შეშფოთებულმა განაცხადა: „ჩვენს ანტიტერორისტულ დოსიეებში არის იმ ახალგაზრდა ფრანგების დოსიეები, რომელთაც სირიელმა რადიკალურმა ისლამისტებმა ასწავლეს თავის მოკვეთა. ზოგიერთმა მიღებული ცოდნა პირდაპირ პრაქტიკაში გამოიყენა და სიკვდილით სახალხოდ დასჯის მიზნით მოჰკვეთეს თავი ადამიანებს რაკეში“ (სირიის ეს ქალაქი ისლამისტების ხელში აღმოჩნდა და 29 ივნისს შექმნილი ხალიფატის დედაქალაქად გამოცხადდა).

როგორც გამომძიებელმა აღნიშნა, **„ახლა ინტერნეტში თავისუფლად ნახავთ იმ ახალგაზრდა ფრანგების ფოტოებს, რომელთაც ხელში ადამიანთა მოკვეთილი თავები უჭირავთ. მისივე თქმით, „ისინი ეჩვევიან საშინელებებს“. ეს ბევრ რამეს ამბობს იმაზე, თუ რაოდენ საშიშნი იქნებიან ისინი საფრანგეთში დაბრუნების შემდგომ.**

რამდენმა ახალგაზრდა ფრანგმა მიიღო მონაწილეობა ანალოგიურ და მსგავს მხეცობებში? მათ შორის, ვინც კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა, არიან ქალებიც და არასრულწლოვანებიც. ამჟამად საფრანგეთში აღძრულია საქმეები 370 სავარაუდო რადიკალი ისლამისტის წინააღმდეგ. მათი ცხოვრებისეული გზები სულ სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და ყოველი შემთხვევისთვის ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტები საუბრობენ.

როგორც უნდა იყოს, ტრევიდიკი სიტუაციის გამწვავებაზე მიანიშნებს. მისი თქმით, გამოძიებებში ჩნდება სულ უფრო მეტად „ფსიქიატრიული ხასიათის“ პროფილები. სირიაში არსებული ჯიჰადი „იმდენად გაუწონასწორებელ ადამიანებს იზიდავს“, რომ ადვილი შესაძლებელია, ისინი რადიკალურ ისლამთან ზიარების გარეშეც სერიულ მკვლელებად ჩამოყალიბებულიყვნენ. გარდა ამისა, „ყველაზე იმპულსურთა შორის არიან ძლიერ იზოლაციაში მოხვედრილი მოზარდები — 15-16 წლის ბიჭები“.

Le Figaro

მოკლედ

## რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები დააწესეს



**ამერიკის ფინანსთა მინისტრის — ჯეიკობ ლიუს განცხადებით, აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა,** რომელშიც ქვეყნის უმსხვილეს „სბერბანკთან“ ერთად მოხვდნენ ენერგეტიკული კომპანიებიც, მათ შორის „გაზპრომი“, „ლუკოილი“, „სურგუტნეფტეგაზი“, „ტრანსნეფტი“, „გაზპრომ ნეფტი“ და ხუთი თავდაცვითი და მაღალტექნოლოგიური სახელმწიფო კორპორაცია. ახალი სანქციებით ვაშინგტონმა აკრძალა მომსახურებისა და რუსეთის ფედერაციის ენერგოკომპანიებისთვის აღჭურვილობის ექსპორტი.

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აფხაზებსა და ქართველებს შორის აქტიური დიალოგისა და შერიგების პროცესის ფართოდ გასაშლელად, მისთვის სასურველი ნიადაგის, ხელსაყრელი ვითარების შესამზადებლად და ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ქვეყნის ლიდერის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა დესპანის სტატუსის შემოღება სათანადო უფლებებითა და პასუხისმგებლობით.**

# აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი!



დასასრული. დასაწყისი იხ. №31-22 (266-267)

**რეგიონში არსებული რეალობა, აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარება, ახლო თუ შორეული პერსპექტივები ახლებურ ხედვასა და გააზრებას მოითხოვს. სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ დაშვებული შეცდომებიდან, რათა თავი ავარიდოთ მორიგ გართულებებსა და უკუჩვენებებს. განზე უნდა გადავდოთ პირადი ინტერესები და ამბიციები, თუ ერთიანი საქართველო გვინდა, თუკი ერის გამთლიანება და გადარჩენა გვწადია. ამისათვის ხელისუფლებისა და ერის პროგრესული ძალების (არა ფსევდოპატრიოტებისა და დანიშნული ოპოზიციის) ერთიანობაა საჭირო. აი, მაშინ მივიქცევთ განაწყენებული და განდგომილი ხალხების ყურადღებას.**

ამასთანავე, **საჭიროა თანმიმდევრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე ტერიტორიებზე, რათა აფხაზებს, რუსეთის მხრიდან გამუდმებული ეკონომიკური და სხვა სახის ექსპანსიის ფონზე, გაუჩნდეთ პერსპექტივა და მიეცეთ არჩევანის საშუალება, გაარკვიონ, საით აჯობებს სვლა — ჩრდილო-დასავლეთისკენ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ეს უთუოდ შეუწყობს ხელს აფხაზების შემობრუნების პროცესს, შეახსენებს მათ თავიანთ საწყისს, შორეულ წარსულს, აღუდგენთ ისტორიულ მეხსიერებას და შთააგონებს მათ, რომ მხოლოდ ქართველებთან თანაარსებობაა ერთადერთი სწორი გზა, მათი, როგორც ეთნოსის, გადარჩენისა**. რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი, მაგრამ არსებულ ვითარებაში ყოველივე ამას დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

**კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე სპეციალური პროექტების, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალური სფეროს ინფრაქსტრუქტურის აღდგენითა და აღორძინებით აფხაზი ხალხი დაინახავს, რომ ჩვენ მოვდივართ არა ტანკებზე ამხედრებულნი და მუშტმოღერებულნი, არამედ გვსურს, სულ სხვა დონის რეინტეგრაცია.** ესეც ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია აფხაზი ხალხის შემობრუნებისა და შერიგების საქმეში, მაგრამ ამისთვის დღემდე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. აღარც საპარლამენტო არჩევნებამდე დეკლარირებული მრავალმილიონიანი ინვენსტიციები ჩანს რეალური. ყოველ შემთხვევაში, **კონფლიქტის ზონაში ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს შენიშნავთ, თუ არ ჩავთვლით ახლახან სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებას.** ძნელი სათქმელია, მიიპყრობს თუ არა ასეთი სამედიცინო ცენტრი აფხაზი მოსახლეობის ყურადღებას, რადგან ისინი, მარტივი ქირურგიული ჩარევებისთვის იქ არ მივლენ, რადგან სოხუმში (და არამხოლოდ იქ) აქვთ კომპიუტერებით აღჭურვილი და უცხოეთში მომზადებული სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებული თანამედროვე სამედიცინო სამსახურები. ასე რომ, **ტრადიციული პროფილშეზღუდული სამედიცინო დარგებით ყურადღებას ვერ მივიქცევთ.** მათი დაინტერესება შეიძლება მხოლოდ ისეთი სამედიცინო კომპლექსით, სადაც, ტრადიციულ დარგებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ურგენტული და კატასტროფული მედიცინის ისეთი დარგები, როგორებიცაა: ტრანსაბდომინალური ინტრასისხლძარღვოვანი კარდიო და ნეიროქირურგიული სამსახურები, სპინალური



**სასაზღვრო ზონაში საბითუმო სავაჭრო ცენტრის გახსნა, მოსაზღვრე რეგიონების ოფშორულ ზონებად გამოცხადება და სხვა ასეთი ღონისძიება ხელს შეუწყობს ხალხებს შორის კომუნიკაციის აღდგენას, გაუცხოების პროცესის შენელებას. ასეთი პროექტები აუცილებელია ნდობის აღდგენის, აფხაზი და ოსი ხალხების ჩვენკენ შემობრუნება-შერიგების საქმეში. ეს ისეთივე აქტუალური და მნიშვნელოვანია, როგორიც სახალხო დიპლომატია კონფლიქტის მოგვარებაში**

მძიმე ტრავმის, სეფსისისა და დამწვრობის ცენტრები, წერტილოვანი გამათერაპია, არატრადიციული უსისხლო პროსტატექტომია, ლიტოტრიპსია და სხვ. მაშინ ეს კომპლექსი არა მარტო ჩვენში, არამედ სრულიად **კავკასიაში** გადაიქცევა უნიკალურ, უპრეცედენტო სამედიცინო ცენტრად და ის უეჭველად მიიქცევს აფხაზების, ოსებისა და რეგიონის მოსახლეობის ყურადღებას. **ამ საკითხზე არაერთხელ მქონდა საუბარი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, ბატონ დავით სერგეენკოსთან, რომელსაც, როგორც პროფესიონალსა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მაღალჩინოსანს, სიღრმისეულად აქვს გათვითცნობიერებული ასეთი პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობა და როლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში**. სწორედ ამიტომ ხვდებოდა იგი გაგებით ჩემს აქტიურობას. ბატონი სერგეენკო ითვალისწინებდა, რომ კონფლიქტის ზონის განაპირას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვილი და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მედპერსონალით დაკომპლექტებული მრავალპროფილიანი სამედიცინო კომპლექსის აშენების იდეის სათავესთან ვიდექი. ახლა კი ამ იდეის გახორციელებას თვითონ ცდილობს და დარწმუნებული ვარ, მისი ძალისხმევა ახლო მომავალში გამოიღებს პოზიტიურ შედეგებს.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი ექნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში ინფრასტრუქტურულ პროექტებს – **სასაზღვრო ზონაში საბითუმო სავაჭრო ცენტრის გახსნა, მოსაზღვრე რეგიონების ოფშორულ ზონებად გამოცხადება და სხვა ასეთი ღონისძიება ხელს შეუწყობს ხალხებს შორის კომუნიკაციის აღდგენას, გაუცხოების პროცესის შენელებას.** აქედან გამომდინარე, **ასეთი პროექტები აუცილებელია ნდობის აღდგენის, აფხაზი და ოსი ხალხების ჩვენკენ შემობრუნება-შერიგების საქმეში. ეს ისეთივე აქტუალური და მნიშვნელოვანია, როგორიც სახალხო დიპლომატია — კონფლიქტის მოგვარებაში.**

**სახალხო დიპლომატია საგრძნობლად გაზრდის ხელისუფლების ლიდერის ძალისხმევის ეფექტიანობას პოლიტიკური დიალოგის აღდგენაში. ამიტომ საჭიროა მისი წინა პლანზე წამოწევა, სახელმწიფო დონეზე აყვანა და ხელისუფლების მხარდაჭერა. ის უნდა იქცეს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად, წამყვანი როლი მიენიჭოს, რადგან აფხაზებსა და ჩვენ შორის არსებული პრობლემების მოგვარების გასაღები აფხაზეთიდან დევნილი თუ იქ დარჩენილი მოსახლეობის ინტერესთა გადაკვეთაზე დევს.** ამდენად, **მეტად მნიშვნელოვანია აფხაზებისა და სამეგრელოს მოსახლეობის ისტორიული კეთილმეზობლობა, ნათესაური კავშირები და ურთიერთობა ისევე, როგორც მათი მენტალური სიახლოვე და ადათ-წესები. სამეგრელოს უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული როლი და მისია — საქართველოსთვის აფხაზეთის შენარჩუნების მისია. მხარეებს შორის კომუნიკაციის აღდგენისა და შერიგების პროცესში სამეგრელოს მოსახლეობის აქტიური ჩართვაა საჭირო. მხოლოდ აფხაზების შემორიგებითაა შესაძლებელი კონფლიქტის დაძლევა და პრობლემების მოგვარება.**

ერთიან სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან დიალოგით, მხოლოდ მათთან შეთანხმებული მოქმედებებითაა შესაძლებელი. სხვა მიდგომა კონტრპროდუქტიულია და დაუშვებელი. ხალხთა შერიგების ▶



## ამერიკელები ობამას წარუმატებელ პრეზიდენტად მიიჩნევენ

**ამერიკელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, გაერთიანების ნაცვლად, განხეთქილება შეაქვს ერში. ობამას რეიტინგი უფრო დაბალია, ვიდრე ჯორჯ ბუშისა იყო.**

როგორც ABC News poll-ი იუწყება, აშშ-ის მოსახლეობის უმრავლესობა ობამას წარუმატებელ პრეზიდენტად მიიჩნევს. ისინი უკმაყოფილონი არიან პრეზიდენტის პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკით.

ალსანიშნავია, რომ ობამას მიერ წამოწყებული ჯანდაცვის რეფორმის ჩავარდნამ უპრეცედენტო რამ გამოიწვია: კონგრესი აშშ-ის პრეზიდენტს სასამართლოში უჩივის.



მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მხარეებს შორის კომუნიკაციის აღდგენისა და შერიგების პროცესში სამეგრელოს მოსახლეობის აქტიური ჩართვაა საჭირო. მხოლოდ აფხაზების შემორიგებითაა შესაძლებელი კონფლიქტის დაძლევა და პრობლემების მოგვარება.

◀ გზა ერთადერთი სწორი გზაა, ამიტომ მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა და დიალოგი აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს ხელისუფლების ძალისხმევის პარალელურად.

**სახალხო დიპლომატიის აქტიურად წარსამართავად საჭიროა აფხაზურ მხარესთან, მის ლიდერებთან კონტაქტების დამყარება, დიალოგის წარმართვა და მუშაობა, აფხაზური და ქართული მხარეების წარმომადგენლებთა უწყვეტი შეხვედრებისა და დიალოგისთვის სათანადო ნიადაგის შემზადება**. გასაგებია, რომ **ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც მიღწეული იქნება შეთანხმება რუსეთთან და მისგან საქართველოსადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემთხვევაში.** აფხაზებსა და ქართველებს შორის აქტიური დიალოგისა და შერიგების პროცესის ფართოდ გასაშლელად, მისთვის სასურველი ნიადაგის, ხელსაყრელი ვითარების შესამზადებლად და ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ქვეყნის ლიდერის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა დესპანის სტატუსის შემოღება სათანადო უფლებებითა და პასუხისმგებლობით. ეს ადამიანი დღენიადაგ უნდა საქმიანობდეს მხარეებს შორის ლოიალური ურთიერთობის ატმოსფეროს ჩამოსაყალიბებლად. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი დესპანის პირადი თვისებები. მას უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილება და ავტორიტეტი მოპირისპირეთა შორის. სასურველია, თუ ის გამორჩეული იქნება ინტელექტით, ტაქტითა და დიპლომატიის უნარით. ის უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნოდარ დუმბაძის მსგავსად, შეეძლება, „ფრთხილად შეეხოს აფხაზთა გულების სიმებს“, რაც მეტად მნიშვნელოვანია, დიალოგის წარმატებით წარმართვისთვის. აქ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა საჭიროა ასეთი ლირიკული გადახვევაო, მაგრამ, გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევ ამაზე საუბარს.

ერთხელ, აფხაზურ მხარესთან სამთავრობო დონის შეხვედრისას, ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა ლიდერმა (კონფლიქტის დარეგულირების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე რეზო ადამიამ) ბანკეტზე შეზარხოშებულმა მიმართა აფხაზებს ყველას გასაგონად: „რა, აფხაზო მეგობრებო, ხომ ხართ ცუდად! უარესად იქნებით, თუ გონს არ მოეგებით და ჭკუას არ მოუხმობთ!“ ხოლო ჩვენი მეორე წარმომადგენელი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ცანავა უხეშად მიუჯდა მოლაპარაკების მაგიდას, ფეხი ფეხზე გადაიდო და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე თქვა: „Ну, что, абхазские друзья, будем мириться, или будем воевать?!“ აფხაზეთის დელეგაციის წევრები ადგნენ და უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან. იმავე საღამოს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღების წინ, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, **სერგეი ბაგაფშმა** გამიხმო განზე და მეუბნება: **„Ты видишь, мой дорогой Напо, что происходит?! Вот, как к нам обращаются, как с нами разговаривают! Они нас за людей не считают! О каком примирении и о каком доверии может идти речь!? Нет, нет! С этим все покончено! Хватит!“.** ჩემს სიტყვებს აქ ფასი არ ჰქონდა, მან ჩემი მოსმენაც არ მოისურვა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

ასეთი შემთხვევების შემდეგ რომელ შერიგებაზე შეიძლებოდა საუბარი?! ეს ხდებოდა ათენში ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრისას. **ჩვენი მხარის ასეთი ამპარტავანი და ქედმაღლური გამოხდომებისა და საქციელის გამო, ვერც ათენში მივიღეთ გაეროს მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია კონფლიქტის ზონაში სწრაფი რეაგირების ოთხმხრივი მოქმედი ჯგუფების შექმნის შესახებ და ვერც სტამბოლში. ეს ხდებოდა 1998-1999 წლებში.** იმავე 1999 წლის ბოლოს სწორედ ასეთი საგანგებო დავალებათა დესპანის რანგში ვეწვიე სოხუმს აღნიშნული რეზოლუციით, რომლის შვიდი პუნქტი იმხანად არ იქნა მხარდაჭერილი მხარეების მიერ, და ახლა ბატონ ანრი ჯერგენიასთან, ვლადისლავ არძინბას მთავარ მრჩეველთან, სულ ნახევარი საათი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გამოგვენახა კონსენსუსი. მან დოკუმენტის ჩემეული





**ერთიან სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან დიალოგით, მხოლოდ მათთან შეთანხმებული მოქმედებებითაა შესაძლებელი. სხვა მიდგომა კონტრპროდუქტიულია და დაუშვებელი. ხალხთა შერიგების გზა ერთადერთი სწორი გზაა, ამიტომ მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა და დიალოგი აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს ხელისუფლების ძალისხმევის პარალელურად**

ვარიანტი შეათანხმა ვლადისლავ არძინბასთან და ერთი კვირის თავზე ამ დოკუმენტს მხარეებმა ხელი მოაწერეს თბილისში.

**პიროვნულ თვისებებთან ერთად ზოგჯერ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იმასაც, რაზე და როგორ ისაუბრებს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებთან ასეთი საგანგებო დავალებათა დესპანი თუ ელჩი.** რასაკვირველია, დიალოგის მთავარი და ძირითადი თემა იყო და რჩება დევნილების დაბრუნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა. შ., მაგრამ არის თემები და საკითხები ამ ძირითადი და გლობალური პრობლემის შიგნით, რომლებიც საუბრის მიღმა რჩება ხოლმე, არადა, მათი გამოყენება, მოშველიება ძალზე მომგებიანი და მნიშვნელოვანია, ზოგჯერ გადამწყვეტიც კი.

აფხაზური მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთან, ბატონ კონსტანტინე ოზგანთან, ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით, ჩემი არაერთხელ შეხვედრისას (ადლერში, ბამბორაში და ა. შ.), **როდესაც ვიხილავდით ომის შეწყვეტისა და ღირსეულად გამოსვლის საკითხს, ჩამოვარდა საუბარი აფხაზეთის ორ ნაწილად გაყოფაზე. იმხანად ისინი უყოყმანოდ თმობდნენ გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიებს ღალიძგამდე — ძველი სამურზაყანოს ტერიტორიას, იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე აღიარებდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას.** რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ კონსტანტინე ოზგანის მოსაზრება არ იყო. ასეთი თვალსაზრისი არაოფიციალურ საუბრებში ბევრჯერ გამოუთქვამთ აფხაზური მხარის წარმომადგენლებს, მათ შორის, დეპუტატებსაც. მაგრამ ახლა ეს საუბარი ოფიციალურ სახეს იძენდა და საკითხი იხილებოდა ჩვენ მიერ. ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, უარყოფითი იყო, თუმცა, **რადგან საუბარი ჩამოვარდა აფხაზეთის დანაწევრებაზე, შევახსენე ჩემს ოპონენტს, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისას აფხაზეთს არ ეკავა ის ტერიტორია, რომელიც აქვს დღეს. იმჟამინდელ აფხაზეთს გაცილებით მცირე ტერიტორია ჰქონდა, რადგან, არა მხოლოდ „სამურზაყანო“, არამედ ძველი საბედიანო, სადაც განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე, დალის (კოდორის) ხეობად წოდებული ტერიტორია, სამეგრელოს პროტექტორატით, გაცილებით ადრე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.** მოკლედ, დაწვრილებით მოვახსენე ბატონ ოზგანს, რომ აფხაზეთი, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის (ქვემო სვანეთითა და ტყვარჩელით) რაიონების ტერიტორიების გარეშე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში შორეულ 1810 წელს. აფხაზებს უპირველეს არგუმენტად მოჰყავდათ რუსეთთან მათი შეერთება საქართველოსგან დამოუკიდებლად, ჩვენი საუბრის შემდეგ კი ბატონი ოზგანი გაცილებით კომპრომისული აღმოჩნდა და დიალოგმა მიიღო მშვიდი, კონსტრუქციული ხასიათი. **საუბარი უკვე დაიწყო გუმისთის იქით (სოხუმის გამოკლებით) მდებარე ტერიტორიების გამოყოფასა და ამ ტერიტორიებში აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებაზე.** ამ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის ორი კომპრომისული ვარიანტი, რომლებზეც კონფიდენციალურად მოვახსენე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ მან ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, უკომენტაროდ დატოვა — როგორც იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გამოუშვა. არადა, ჩვენ მიერ ოზგანთან ერთად შემუშავებული პროექტები აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობისა, მათ შორის, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, მეტად საინტერესო და ყურადსაღები იყო.

**როდესაც ვიხილავდით ომის შეწყვეტისა და ღირსეულად გამოსვლის საკითხს, ჩამოვარდა საუბარი აფხაზეთის ორ ნაწილად გაყოფაზე. იმხანად ისინი უყოყმანოდ თმობდნენ გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიებს ღალიძგამდე — ძველი სამურზაყანოს ტერიტორიას, იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე აღიარებდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას**

რადგან ეს პროექტები თავის დროზე არ იქნა მიღებული, აღნიშნულის შესახებ არსად მითქვამს. ინფანტილურ სააკაშვილთან ამ საკითხზე საუბარი კი, რაღა თქმა უნდა, უაზრობა იყო!

გადავწყვიტე, აფხაზეთის პრობლემების მოგვარების ჩემეული ხედვა, სხვა მოსაზრებებთან ერთად, გამეზიარებინა ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის, მაგრამ, დაპირების მიუხედავად, უკვე მეორე წელია, აუდენციას ვერაფრით მივაღწიე ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად.

ასეთია ჩემი მიდგომა და გამოცდილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შეიძლება აქ ბევრი რამ საკამათო და მიუღებელი იყოს ურა-პატრიოტებისთვის, მაგრამ მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ არსებულ პრობლემებს მოაგვარებს მხოლოდ დაშვებული შეცდომების აღიარება, მათი გონივრული ანალიზი და პერსპექტივის ახლებურად დანახვა.

საღი აზროვნება და გონივრული კომპრომისები პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზაა!

**ნაპო მესხია,**
**ნეიროქირურგი,**
**საზოგადო მოღვაწე,**
**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი**

## ბრიტანელი ქალები «ისლამური სახელმწიფოს» მებრძოლებისთვის შექმნილ ბორდელებს მეურვეობენ

**ექსტრემისტების მიერ გატაცებული ათასობით ერაყელი ქალი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ წევრების სექსუალურ მონობაში იმყოფება. ამის თაობაზე იუწყება ბრიტანული გამოცემა Daily Mail-ი.**

ბრიტანული მედიის მონაცემებით, გატაცებული ქალები დატყვევებული ჰყავთ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებისთვის შექმნილ ბორდელებში, რომლებსაც დიდი ბრიტანეთიდან წამოსული ჯიჰადისტი ქალები მეურვეობენ. ეს ბრიტანელი „მამაშები“ ქალთა რელიგიური ორგანიზაცია „ალ-ჰანსას“ წევრები არიან. „ალ-ჰანსა“ კი „ისლამური სახელმწიფოს“ განყოფილებაა და მუსლიმანთა მიერ შარიათის კანონების დარღვევებს იძიებს.

„ალ-ჰანსას“ ჯიჰადისტი ქალები ამბობენ, რომ ისლამისტებისთვის ბორდელების გახსნაში საძრახისი არაფერია. მათი ლოგიკით, მუსლიმანმა ქალებმა, ურწმუნოთა გამოყენებით, ხელი უნდა შეუწყონ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. „ისლამური სახელმწიფოს“ ქალთა განყოფილებას ხელმძღვანელობს 20 წლის გლაზგოელი აისა მაჰმუდი. ბრიტანეთის სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, 18-დან 24 წლამდე 60 ბრიტანელი ქალი ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა და ჯიჰადისტების რიგებში ჩადგა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოცეულის განვითარებულ ეკონომიკებში ახალგაზრდობის უმუშევრობა კვლავინდებურად რეკორდულად მაღალ მაჩვენებელზე რჩება. უკანასკნელ ხანს მდიდარ ქვეყნებში იმ ადამიანების წილი, რომლებიც დახმარების მისაღებთა სიებში ჩაეწერნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არიან უმუშევარნი, ასევე გაიზარდა და ლამის მოსახლეობის მესამედი შეადგინა.**

# წამყვანი ეკონომიკები «დასაქმების გლობალური კრიზისის» შესახებ გააფრთხილეს

**უმსხვილეს მსოფლიო ეკონომიკებს ჯერ კიდევ არ ძალუძთ, საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილები შექმნან, ამ სფეროში გაჩენილი შეთავაზებები კი ხარისხობრივად ძალიან დაბალ დონეზეა საიმისოდ, რომ გლობალურ ზრდას საგულისხმო მხარდაჭერა გაუწიოს. ამგვარი შეფასება გააკეთა რამდენიმე დღის წინათ მსოფლიოს სამმა წამყვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.**




გასულ კვირას ავსტრალიაში დიდი ოცეულის მინისტრების დონის შეხვედრის გახსნისთვის ერთობლივი მოხსენება მოამზადეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა. ანგარიში სხვა არაფერი იყო, თუ არა გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ აუცილებელია უფრო აქტიური ძალისხმევა ხარისხიანი სამუშაო ადგილების შესაქმნელად როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. თუ ასე არ მოხდება, ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სუსტი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების საკითხი მრავალი წლის განმავლობაში იდგება რისკის წინაშე. გარდა ამისა, შესაძლებელია „მანკიერი წრის“ წარმოქმნა, ამ წრიდან თავის დაღწევა კი საკმაოდ ძნელი იქნება.

**„დასაქმების სფეროში გლობალური კრიზისის არსებობაში ეჭვი არავის ეპარება, — აღნიშნა მსოფლიო ბანკის უფროსმა დირექტორმა დასაქმების დარგში ნაიჯელ ტვოუსმა, — სახეზეა სამუშაო ადგილების, განსაკუთრებით კი ხარისხიანი სამუშაო ადგილების დეფიციტი“.** სამუშაო ადგილების უკმარისობა და ხელფასები ზრდის პერსპექტივის გარეშე კვალს ტოვებს უთანასწორობის გაღრმავებაზე. გარდა ამისა, ეს ყველაფერი აჩერებს მომხმარებელთა ხარჯების ზრდას და ეკონომიკის ზრდასაც განვითარებულ ქვეყნებში, — აღნიშნეს ანგარიშში მსოფლიო ბანკისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეკონომისტებმა. ამ მიზეზით დიდი ოცეული ძნელად თუ შეძლებს საკუთარი გეგმების განხორციელებას და 2018 წლამდე გლობალური პროდუქტის 2%-ზე მეტით გაზრდას.

„მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების გაჩენა ხელს უწყობს ოჯახების შემოსავლების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სამომხმარებლო მოთხოვნილებებსაც ზრდის. კომპანიები, როდესაც ამჩნევენ მოხმარების ზრდას, იწყებენ სახსრების ინვესტირებას და იკვრება კეთილმოქმედი წრე, — ხაზი გაუსვა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში — სანდრა პოლასკიმ. ანგარიშში მოყვანილია მნიშვნელოვანი სტრატეგიული გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას დიდი ოცეულის მრავალი ქვეყანა.

**ოცეულის განვითარებულ ეკონომიკებში ახალგაზრდობის უმუშევრობა კვლავინდებურად რეკორდულად მაღალ მაჩვენებელზე რჩება. უკანასკნელ ხანს მდიდარ ქვეყნებში იმ ადამიანების წილი, რომლებიც დახმარების მისაღებთა სიებში ჩაეწერნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში არიან უმუშევარნი, ასევე გაიზარდა და ლამის მოსახლეობის მესამედი შეადგინა.** გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე მათი რაოდენობა ერთ მეხუთედს არ აღემატებოდა, ამგვარი ზრდა კი აძლი- ▶

# სად ამზადებენ ამერიკელ მზვერავებს

**ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ამერიკულ სპეცსამსახურებს დიდად არ უსახელებიათ თავი. და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ პერიოდში გაფართოვდა სწავლება უკვე არსებულ სასწავლო დაწესებულებებში და გაიხსნა ახლებიც აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოების მოღვაწეობის ყველა მიმართულების თანამშრომელთა მოსამზადებლად. ჩნდება კითხვა: სად და როგორ ამზადებენ მათ, ვინც ამერიკული დაზვერვის „დიდება“ უნდა გამოჭედონ?**




1950 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ თავისი პირველი სასწავლებელი დააფუძნა — მომზადებისა და სწავლების განყოფილება. 1990-იან წლებში, ცივი ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, ცსს-ს ბიუჯეტი შეუმცირეს, ამის შედეგად ის იძულებული გახდა, შეემცირებინა თავისი საგანმანათლებლო პროგრამის მასშტაბები. მაგრამ ახალმა დირექტორმა ტენეტმა (1997-2004) გადაწყვიტა, რომ მის უწყებას სწავლების პროგრამების გაფართოება სჭირდებოდა, რათა კადრების კვლავწარმოება მოეხერხებინა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევების შემდეგ მან მიაღწია თავისას და 2002 წელს ცსს-ს უნივერსიტეტი (CIAU) დაარსდა. ამჟამად მისი კამპუსი ვირჯინიის შტატში, დალას-დისკავერის საოფისე კომპლექსშია განლაგებული.

**ამჟამად CIAU არის ამერიკის სადაზვერვო საზოგადოების მთავარი სასწავლო დაწესებულება. იქ ასწავლიან სხვადასხვა სპეციალურ დისციპლინას საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან და ქიმიური იარაღის წარმოების საშუალებებიდან დაწყებული იშვიათი ენებით დამთავრებული (სულ სასწავლებელში 16 ენა ისწავლება).** აქ არა მხოლოდ ამზადებენ ცსს-ს ახალ თანამშრომლებს, არამედ გადამზადებას უტარებენ გამოცდილ მზვერავებს, ზრდიან აშშ-ის სხვა სადაზვერვო სამსახურებისთვის საჭირო კადრებს. სასწავლებლის მსმენელთა დაახლოებით 15% აშშ-ის სხვა სპეცსამსახურების — სამხედრო დაზვერვის სააგენტოს, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სხვათა თანამშრომლები არიან.

პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობა მოიცავს როგორც პროფესიონალ პედაგოგებს, ასევე ექსპერტ-ანალიტიკოსებს სხვადასხვა სადაზვერვო სამსახურიდან. სწავლების მრავალი ელემენტი აღებულია ცსს-ს ფუნქციური გამოცდილებიდან.

CIAU ყოველწლიურად მომზადების 200-300 კურსს ატარებს. ახალი თანამშრომლების საბაზისო მომზადების ყოველი კურსი, როგორც წესი, გათვლილია მაქსიმუმ ორ კვირიან პერიოდზე, ენის შემსწავლელი კურსები კი 21-დან 44 კვირამდე გრძელდება. კურსების შინაარსი მუდმივად აქტუალიზდება. სწავლება მიმდინარეობს სასწავლო კლასებში, ონლაინ ან ვიდეოკონფერენციების სახით. სამეცნიერო ხარისხებს იქ არავის ანიჭებენ.

CIAU საკუთარ მოღვაწეობას კოორდინირებას უკეთებს დაზვერვის ნაციონალურ უნივერსიტეტთან, შერმან კენტის სადაზვერვო სკოლასთან და სხვა სასწავლო დაწესებულებებთან.

დაზვერვის ნაციონალური უნივერსიტეტი (NIU) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომელიც აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებისა და ნაციონალური უსაფრთხოების ორგანოებისთვის ხელმძღვანელ კადრებს ამზადებს. ამ დაწესებულებას ჯერ სამხედრო დაზვერვის სკოლა ერქვა, შემდეგ — სამხედრო დაზვერვის კოლეჯი, სამხედრო დაზვერვის გაერთიანებული კოლეჯი და სამხედრო დაზვერვის ნაციონალური კოლეჯი. უნივერსიტეტი ვაშინგტონშია, სამხედრო დაზვერვის შტაბ-ბინაში.

უნივერსიტეტი 1962 წელს დააფუძნა აშშ-ის ▶

მოკლედ



## ხალიფატში მონების გაყიდვა დაიწყეს

**ევროკავშირის განცხადებით, 1500 ადამიანი, ძირითადად, იეზიდები და ქრისტიანები, ერაყსა და სირიაში ისლამისტმა ტერორისტებმა სექსმონებად აქციეს.** ოფიციალურმა წყაროებმა განაცხადეს, რომ ასეულობით იეზიდი მოკლეს და ზოგი მათგანი ცოცხლად დამარხეს. ამის პარალელურად, სირიაში დამკვირვებელთა ჯგუფმა განაცხადა, რომ ასობით იეზიდ ქალს, რომლებიც ისლამისტმა ტერორისტებმა დაატყვევეს, აიძულეს ისლამის მიღება და შემდეგ ექსტრემისტებს მიჰყიდეს. თითო ქალი 1000 ამერიკულ დოლარად გაიყიდა.



**ელისის მიზანია, შექმნას სახელმწიფო მკაფიოდ განსაზღვრულ ადგილას და სიწმინდედ აქციოს ის ყველა სუნიტისთვის. ისინი მძევლებს იმის გამო არ აჭრიან თავებს, რომ აშშ-თან ომი გააჩაღონ, რაზეც ბენ ლადენი ოცნებობდა, ამით ისინი ცდილობენ, გადააფიქრებინონ ობამას მათი ჯარების დაბომბვა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ერებს შრომის ბაზრებისთვის გრძელვადიანი ზიანის მიყენების პერსპექტივებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სიღატაკის დონე საგრძნობლად შემცირდა, არსებობს მინიშნებები, რომ **განვითარებად ეკონომიკებში ძალიან ბევრი მომუშავე ადამიანი მხოლოდ დასაქმებული ღარიბების რიგებს ავსებს და ვერ მიაღწია საშუალო ფენამდე.**

**დიდი ოცეულის განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში 400 მილიონი ადამიანი 2013 წელს კვლავაც მსოფლიო ბანკის „ზომიერი სიღარიბის" ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა (2 დოლარი დღეში).** მართალია, 1991 წელთან შედარებით მათმა რაოდენობამ ორჯერ იკლო, ზოგადი მონაცემების მიხედვით, ამ ქვეყნებში მომუშავეთა ნახევარზე მეტი — 837 მილიონი ადამიანი — გასულ წელს კვლავაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ან ამ ზღვარზე ოდნავ ზემოთ განაგრძობდა არსებობას.

ტვოუსმა აღნიშნა, რომ ამჟამად „განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ძალზე ბევრი ადამიანია მომუშავე ლატაკი". მისი თქმით, ამგვარი მდგომარეობა არის „სერიოზული და ფართოდ გავრცელებული გამოწვევა" ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია და სამხრეთი აფრიკა. ზემოხსენებული ანგარიშის მონაცემების თანახმად, **დიდი ოცეულის წევრებმა აღიარეს ამ პრობლემის არსებობა და დასაქმების სფეროში სპეციალური პროგრამები აამოქმედეს.** მაგრამ ეს პროგრამები კოორდინირებულად უნდა რეალიზდებოდეს, რათა გლობალური ეკონომიკა დააჩქარონ, ამ დაჩქარების შედეგად კი აუცილებელი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება.

მიმდინარე ეკონომიკურმა აღდგენამ რაღაც დადებითი ნიშნები გამოავლინა, მაგრამ ის კვლავაც სუსტი და მყიფეა, რომლის შესახებაც ანგარიშის ავტორები კიდევ ერთხელ აფრთხილებენ წამყვანი ეკონომიკების ქვეყნებს და მიანიშნებენ იმ მოსალოდნელ რისკებზე, რომლებიც წინ ელით სიტუაციის უცვლელად დატოვების შემთხვევაში. **„ამჟამად არსებული ზრდის ტრაექტორია, თუკი ის რაიმე ცვლილებებს არ განიცდის, ვერ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის უმუშევრობის, არასრული დასაქმებისა და არაფორმალური დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნების რისკს. ანაზღაურების ნელი ზრდა კვლავაც ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს მოხმარებაზე, ცხოვრების დონესა და ჯამურ გლობალურ ზრდაზე",** — ხაზგასმით აღნიშნავენ ანგარიშის ავტორები.

**The Financial Times**

# 11 სექტემბერი — 13 წლის შემდეგ

**ავღანეთსა და ერაყში საგრძნობი შედეგების გარეშე დასრულებული ორი სისხლისმღვრელი ომის შემდეგაც დასავლეთი იმავე „ველურ" მტერს ებრძვის. თუმცა „ალ ქაიდასა" და „ელისს" შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ნიუ იორკში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტებიდან 13 წელი გავიდა. რამდენად წაიწია წინ მას შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ?**



ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავაც საწყის პოზიციებზე დგას. კი, სახელწოდება შეიცვალა — „ალ ქაიდა" მეორე პლანზე გადავიდა და წინ წამოიწია ელისმა — მაგრამ საუბარია იმავე მტერზე, რომლის აგრესია ისლამიზმიდან იღებს სათავეს და დასავლეთზე მეტადაა დაინტერესებული, აიღოს ხელში იარაღი და სიკვდილს ესროლოს გამოწვევა. ყველაფერს ახლა ის დაღლილობაც დაემატა, რომელიც სულ უფრო მეტად იპყრობს დასავლეთს ერაყისა და ავღანეთის სისხლისმღვრელი და უშედეგო ომების შემდეგ.

ამის თაობაზე პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც მოასწრო საუბარი. 2001-ში, ტყუპი ცათამბჯენის განადგურებიდან ცოტა ხნის შემდეგ აშშ-ის შეიარაღებული ძალები უსამა ბენ ლადენის საძებნელად ავღანეთისკენ გაემართნენ. მათ მხარს უჭერდა გაერო და კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი კოალიცია: რუსეთი და ჩინეთი არა მხოლოდ გახდნენ ამ კოალიციის წევრები, არამედ აქტიურადაც მონაწილეობდნენ მასში. შემდეგ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტებიდან შევიტყვეთ, რომ ქვეყნის პრემიერმა ბევრი ოფლი ღვარა, ვიდრე აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს, უმცროს ბუშს, დაარწმუნებდა, რომ უნდა შეჭრილიყო სწორედ ავღანეთში და არა ერაყში, სადაც რაც შეიძლება მალე სურდა საკუთარი ძალების გაგზავნა თეთრ სახლს უფროსი ბუშის დაწყებული საქმეების დასარულებლად და სადამ ჰუსეინთან ანგარიშის ერთხელ და სამუდამოდ გასასწორებლად. ეს თავსმოხვეული იდეა იქცა ბოლოს განმსაზღვრელად აშშ-ის უღიმღამო მცდელობებში, ეხელმძღვანელა ომისშემდგომი ავღანეთისთვის. ამავე დროს, სწორედ ის იქცა მიზეზად, რომ ამერიკამ სინამდვილეში ღიად დატოვა კარი ქვეყანაში დასავლეთის მიერ თალიბებად წოდებული ისლამური დაჯგუფებების დასაბრუნებლად.

ბუშს ერაყში სურდა საომრად წასვლა და საკუთარი ჩანაფიქრი ორი წლის შემდეგ განახორციელა, რისთვისაც დიდი საფასურიც გადაიხადა. დიადი კოალიცია დაიშალა და აღმოჩნდა, რომ საბაბი, რომლის გამოც დაიწყო ომი, რეალობას არ შეესაბამებოდა. რუსეთმა საერთაშორისო თანამშრომლობისაგან შორს დაიჭირა თავი, შემდეგ კი მის მაგალითს მიბაძა ჩინეთმაც. მას შემდეგ ამ ორი ქვეყნიდან არც ერთს არ შეუცვლია პოლიტიკა ამ დრომდე.

ახლა ობამას ახალი მოკავშირეები ჰყავს. რუსეთი და ჩინეთი, მართალია, უდაბნოებში მოთარეშე თავების მკვეთავების მიმართ არანაირ სიმპათია არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც შორიდან უყურებენ სიტუაციას. ორივე ქვეყანაში რელიგიური უმცირესობები და მეზობელი ისლამური ქვეყნები ჯერჯერობით წყნარად არიან და არ იზიარებენ ელისის არაჯანსაღ იდეოლოგიას.

**სამაგიეროდ ირანი ძლიერ შეიცვალა. ბუში მას მოკვეთილ ქვეყანად მოიხსენიებდა, მაგრამ უკანასკნელი არჩევნების შემდეგ ის კორპორატიულ და სავაჭრო პარტნიორად იქცა არა მხოლოდ საკუთარი ბირთვული პროგრამის მართვის საქმეში, არამედ სირიის კრიზისთან და მესოპოტამიაში საკუთარი პოზიციების გამმყარებელი ისლამისტური არმიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.** რომ შეგვძლებოდა, თვალი მიგვედევნებინა, თუ საიდან მოდის ელისთან ფული, დიდი ალბათობით სუნიტური კონფესიის ისლამურ სახელმწიფოებამდე მივიდოდით. ისინი შეშინებულნი არიან „არაბული გაზაფხულით", რომელსაც ჯერჯერობით გადაურჩნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით. **ბაღდადისა და თეირანის მჭიდრო თანამშრომლობამ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში.**

სწორედ ესაა ნამდვილი და ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა დღევანდელობასა და 13 წლის წინანდელ 11 სექტემბერს შორის. მაშინ უსამა ბენ ლადენმა ერთობლივი ბრძოლისკენ მოუწოდა რელიგიურ საზოგადოებას „უმას", განურჩევლად სუნიტებისა და შიიტებისა, რათა ერთად გადაეჭრათ პრობლემები: ხალიფატის დასასრული, პალესტინისა და საუდის არაბეთის საკითხები. თუმცა ამ რელიგიურმა ისლამისტურმა და ანტიდასავლურმა ერთობამ საბოლოო ჯამში ვერ შეძლო საკუთარი თავის რეალიზება. პირიქით, 11 სექტემბრის მოვლენებმა მხოლოდ დააჩქარა კრიზისის გაღრმავების პროცესი ნაციონალისტურ არაბულ რეჟიმებში — მუბარაკიდან კადაფამდე და ასადამდე. სწორედ ერაყი იქცა არა ბუშის მიერ გულუბრყვილოდ ნაოცნებარი დემოკრატიის, არამედ შიიტებისა და სუნიტების დაუნდობელი კონფლიქტის ცენტრად.

**ნაცვლად იმისა, რომ ერთობლივად ემოქმედათ დასავლეთის წინააღმდეგ, ისლამი ორად გაიხლიჩა და სინამდვილეში საკუთარ თავს ებრძვის.** არაბულად ის, რასაც ჩვენ ელისს ვუწოდებთ, ჟღერს როგორც „დავლა ალ ისლამია ალ აშამ". „ალ აშამი" კი დამასკოს ძველი სახელწოდებაა, რაც აღმოსავლეთის კარიბჭეს ნიშნავს. ისტორიულად დამასკო იყო დიდი აბრეშუმის გზის და იმ გზის გადაკვეთაზე, რომლითაც ქარავნები აზიიდან ბრუნდებოდნენ. გაცილებით უფრო საინტერესოა პირველი სიტყვა — „დავლა" არაბულად სახელმწიფოს ნიშნავს, მსგავსი ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე კი ყურანში არაფერია ნათქვამი. ის მნიშვნელოვნად განსხვავდება „უმასაგან" და დასავლეთისთვის მიბაძვის ისტორიულ შედეგს, დასავლურ ინსტიტუტს წარმოადგენს. ბენ ლადენი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იგი არაფრის გულისთვის არ გამოიყენებდა ამ ტერმინს. შესაძლოა, ეს ყოველივე ვინმეს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ეს სიტყვა მოიცავს გადამწყვეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

**ელისის მიზანია, შექმნას სახელმწიფო მკაფიოდ განსაზღვრულ ადგილას და სიწმინდედ აქციოს ის ყველა სუნიტისთვის. ისინი მძევლებს იმის გამო არ აჭრიან თავებს, რომ აშშ-თან ომი გააჩაღონ, რაზეც ბენ ლადენი ოცნებობდა, ამით ისინი ცდილობენ, გადააფიქრებინონ ობამას მათი ჯარების დაბომბვა ბრძოლის ველზე, რომელიც თავად აირჩიეს. არავითარი „უმა" აღარ არსებობს და ელისის მებრძოლებმა მშვენივრად იციან, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგეები არიან საკუთარი მეზობლები — ქურთები, ერაყელი და ირანელი შიიტები, სირიელები, რომლებიც ჯერ კიდევ ემორჩილებიან ასადის მმართველობას. სწორედ ისინი გახდნენ ობამას ახალი უცნაური მოკავშირეები.**

**L'Espresso**

◀ თავდაცვის სამინისტრომ, რათა გაეერთიანებინა არმიასა და ფლოტში დაგროვილი სტრატეგიული დაზვერვის სწავლების აკადემიური პროგრამები. სკოლამ აშშ-ის უმაღლესი განათლების სახელმწიფო კომისიის აკრედიტაცია მიიღო. აქ მოსწავლეებს კონგრესის ნებართვით დაზვერვის მეცნიერებათა ბაკალავრისა და სტრატეგიული დაზვერვის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხები ენიჭებათ. ამ დროისათვის უნივერსიტეტი დამთავრებული აქვს ან იქ რომელიმე აკადემიური პროგრამა გაიარა 80 ათასზე მეტმა სამხედრო და სამოქალაქო პირმა.

**შერმან კენტის სადაზვერვო სკოლა ცსს-სთვის ანალიტიკოსებს ამზადებს.** მას სახელი დაერქვა იელის უნივერსიტეტის პროფესორისა და ცსს-ს თანამშრომლის საპატივცემულოდ, რომელმაც ისტორიაში პირველად გამოიყენა უამრავი მეთოდი სადაზვერვო მონაცემების ანალიზისთვის. სკოლა 2000 წელს გაიხსნა. ის ვირჯინიის შტატში, რესტონში მდებარეობს. მის სასწავლო პროგრამაში შედის რეგიონმცოდნეობა, უცხო ენების შესწავლა, თანამგზავრების სურათების ანალიზი, მასმედიის ინფორმაციების ანალიზი და სხვ.

ცალკე დგას კრიპტოლოგიის ნაციონალური სკოლა (NCS), რომელიც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს სასწავლო დაწესებულებაა. ის 1965 წელს გაიხსნა. ახლა განფენილია რამდენიმე კამპუსში და ამზადებს სპეციალისტებს სპეცსამსახურებისთვის.

როგორც ცნობილია, აკადემიური მომზადება ერთია და მუშაობა — მეორე. ამერიკელი მზვერავების ყველაზე სუსტი წერტილი უცხო ენების, განსაკუთრებით აღმოსავლური ენების, უცოდინარობაა. ამის გამო **ცსს-ს თანამშრომლები ხშირად იძულებულნი არიან, აარჩიონ ენის მცოდნე განათლებული ადამიანი ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც ზრდის საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის რისკს. სწორედ ესაა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში აშშ-ის სპეცსამსახურების მრავალ წარუმატებლობას განაპირობებს. იმავე შედეგის მომტანი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამერიკელებისთვის დამახასიათებელი თვალშისაცემი გულუბრყვილობაა.**

**topwar.ru**



## შოტლანდიამ ბრიტანელები დააპირისპირა

**ბრიტანელი ცნობილი ადამიანების — მსახიობების, მომღერლების, მწერლების, სპორტსმენებისა და სხვების პოზიციები შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გაიყო.** ცნობილი შოტლანდიელი მსახიობი შონ კონერი ღიად აცხადებს, რომ შოტლანდიელი ნაციონალისტია და მას დამოუკიდებელი შოტლანდიის ნახვა სურს. მსგავს პოზიციაზეა ცნობილი მსახიობი ჯერალდ ბატლერიც. შოტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიან „ჰარი პოტერის" ავტორი ჯოან როულინგი, ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიც არიან, პოლ მაკარტნი, სიუზან ბოილი, მიკ ჯაგერი, მსახიობები: ჯუდი დენჩი, პატრიკ სტიუარტი და ჰელენა ბოემ კარტერი.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახლა უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენს ევროატლანტიკურ პატრონებს ქვეყნის მმართველებად მართალი, ეროვნული, პრინციპული, დემოკრატიული დამცველი ხელისუფლება კი არა, ლაქია, გამათხოვრებული, კუდქიცინა არსებანი სჭირდებათ, რომელთაც ქვეყნის დაკნინება, დაქუცმაცება, გაყიდვა და ამოგდება ხელეწიფებათ. თურმე „ნაციონალების“ დამსახურებისამებრ დასჯის მცდელობა ჩვენს გაევროპელებას საეჭვოს გახდის.
ასე თავხედურად პატარა ბავშვსაც კი არ ემუქრებიან, საჩუქარს არ მოგცემო.

# მგლისა და კრავის სტრატეგიული პარტნიორობა ვის გაუგია?!


გივი სომხიშვილი

**გართობის მოყვარულმა თაღლითმა ორ ღატაკს ურჩია, — აგერ, ფართო მდინარე გადაცურეთ და მეორე ნაპირზე უკვე მდიდრები იქნებითო. ერთი გავიდა, მეორეს გაუჭირდა და დაუძახა, მომეხმარე, თორე დავიხრჩობიო. ნაპირზე გასულმა მიაძახა, — წადი, შენი ღატაკი დედაცო...**

**ასოცირების ხელშეკრულების ალსანიშნავ ზეიმზე უსუფაშვილმა ფრთოსანი მისალმება ააფრინა: „გამარჯობა, ევროპელებო!“. ადრე გული გაგვიხეთქა, ნატოს გარეშე საქართველო გაქრებაო. ნატოში არ გვიშვებენ, ჩვენ კიდევ შიშით შევყურებთ — ეს ყველა ჭანჭიკმორყეული, ამდენ ცოდვაწამოკიდებული ნატო არ დაიშალოს და უიმისოდ არ გავქრეთო. კიდევ კარგი, რომ ეს წინასწარხედვა უფრთაბუმბულო ღლაპი გამოდგა, რომელსაც გაფრენა არ უწერია. სამაგიეროდ ახლა ევროპელობა გაგვხდომია თავში საცემი. საზეიმო შეკრების მონაწილე წყალგალმა გასულებს კი მიულოცეს ევროპელობა, მაგრამ სხვამ რა ქნას, ვინც უკვე წყალში ფართხალებს და იხრჩობა ან გამოღმაა დარჩენილი?**

გაევროპელება მთლად იოლი საქმე ნუ გვგონია, ჯერ იმ მდინარეში ფეხი რომ ჩაგაყოფინონ, ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა მიიღო. ასეთი უცოდველი კრავის სახელით არის შენიღბული ეს სატანის ძღვენი. შიგ არ ჩაიხედოთ, თორემ პანდორას სკივრივით წაახდენს ადამის მოდგმას.

**მაგრამ ანტიდისკრიმინაციური კანონის მიღებით უკვე თავი ავხადეთ ამ პანდორას სკივრს, რომლიდანაც უკვე ერთსქესიანთა ქორწინება ემზადება ამოსაფრენად, შემდეგში კი ინცესტი გაისწორებს ფრთებს, ეს უმაღლესი დონის გარყვნილება, რომელსაც საქონელი, მხეცი და ნადირი არ კადრულობს; სისხლის აღრევა დედას, შვილს, მამას, დას, ძმას, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის, მოკლედ, სათქმელადაც საშინლად ამაზრზენია.**

ახლა ასე დაკნინებული შთამომავლობა, გაუკულმართებული, მორალურად და ზნეობრივად წაბილწული, გადაგვარებულ-გადაჯიშებული, ყოველგვარი ადამიანური სიწმინდისგან დაცლილი მხოლოდ ბაყაყებივით თუ იყიყინებს. პანდორას სკივრი კი უკვე აქ არის და ქართველ ერს უფრო დიდ გამოცდას უმზადებს.

სქესობრივ გარყვნილებას, ერთსქესიანთა ბინძურ ურთიერთობას თუ დაცვა და წახალისება სჭირდება, რაც ყოველგვარ სპეტაკსა და წმინდას თავისი სიბილწით სვრის, მაშინ რაღად გვინდა საზოგადოებრივი წესრიგი? ესაა დემოკრატია?

საჭესთან დაბმული რატომ არ ხარო, შენი სიცოცხლის დაცვის საბაბით, პატრული ჯარიმას გიწერს; წამალს რომ ვერ ყიდულობ გაუსაძლისი სიცოცხლის გასაგრძელებლად, შემოიღონ მაშინ ჯარიმა — წამლის არ დალევა ღვედით დაბმაზე ნაკლებად საშიშია სიცოცხლისთვის? ან ოპერაციას რომ ვერ იკეთებ გაჭირვების გამო, გამოგიწერონ ჯარიმა, ეს ხომ შენს ჯანმრთელობაზე „ზრუნვა“ იქნება.

ახლა ჩინეთი წამოვიდა წინ, განვითარდა, გაძლიერდა და მოწინავეთა რიგებში მალე ევროპასაც გაასწროს იქნებ. ჰოდა, ევროპელობის პანდორას სკივრიდან სანამ ყველა „საჩუქარი“ არ ამოფრენილა, იქნებ ჩინელობა გვეცადა. პარლამენტის თავმჯდომარე რომ შემოგიძახებდა: გამარჯობა, ჩინელებოო და ჩვენც წყალგაღმა გასულად ჩავთვლიდით თავს, ამასობაში მარსზეც გაჩნდება სიცოცხლე და ჩვენც „გამარჯობა, მარსელებოს“ საგალობლად წავივარჯიშებთ.

ევროპელობა ასე რომ მოგვწონს, რაღა ბოლოდან ვიწყებთ გაევროპელებას. ფაბრიკა და ქარხანა რომ არ დავიტოვეთ, ევროპაშიც ეგრე არიან? თუმცა ერთი სიკეთე მაინც გვაქვს, ქარხნების საყვირის ხმა არ აფხიზლებს გაუსაძლისი ყოფის ტყვეობაში ჩათვლემილ სიცოცხლეს. ხვალინდელზე ფიქრიც კი ჯოჯოხეთის შემზარავ მოლანდებად ქცეულა. სად წახვალ, რას შეაფარებ დარჩენილი სიცოცხლის უიმედობას, როცა ყველგან გაუსაძლისი ამქვეყნიურობა ბორგავს? ახლა, ცივილიზაციის გაბრწყინების პირობებში თურმე უფრო ჰუმანური და სიკეთით სავსე გახდა კაცობრიობა. რა ვქნათ? დავიჯეროთ? ადამიანები ერთმანეთს ისევე მტრობენ, როგორც პირველყოფილი თემის დროს. ვინც ხალხის მხარდაჭერით პოსტზე შეჯდა, გაჭირვებულ თანამემამულეთა ცხოვრების სიმძიმის შემსუბუქებაზე ზრუნვის ნაცვლად, საკუთარი ნაჭუჭის მოსაპირკეთებლად იყენებს იმ ნდობას, რომელიც ხალხმა გამოუცხადა და შედეგად ეს ნდობა სიძულვილად, უნდობლობად და დაცინვად უბრუნდება. რამდენიც უნდა მოიხვეჭონ, ამქვეყნიდან იმას წაიღებენ, რაც მიაქვს სიზმარს. აქ კი მხოლოდ მათი ავ-კარგის გახსენება რჩება, სადაც სატანის ღვარძლისა და უფლისმიერი სპეტაკი სულიერების განუწყვეტელი ჭიდილია, ბოროტება ებრძვის სიკეთეს, მხეცობა — ადამიანობას, სიძულვილი — სიყვარულს, მტრობა — მოყვრობას. ამ განცდამ ათქმევინა ბრძენ ქართველს: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო.

ბედნიერია ხალხი, თუ მისმა შვილებმა სატანის სამსახურზე არ გაცვალეს ზრუნვა ადამიანზე. ქართველთა გასაჭირი კი შევარდნაძით დაიწყო, ადამიანის ყველა მანკიერების გამოყენებით ქვეყნის დასაკნინებლად და ქართველი ერის ასაწიოკებლად უბედურების ჯარა რომ ატრიალა. ამ სოფლის დამაქცევარი გზირის უშფოთველად წასვლა იმის პრეცედენტია, რომ ქართველთა შემწყნარებლობას საზღვარი არ აქვს, რა უბედურებაც უნდა დაატეხონ თავს. **შევარდნაძის მიერ გამოზრდილი „ნაციონალებით“ ისე მოიწამლა ქვეყანა, რომ ქართველობა აშკარა გადაშენების, დაქცევა-დაქუცმაცებისა და მოსპობის წინაშე იდგა, ამ ჭირისგან დღესაც არ არის სრულად განკურნებული, ჯერ კიდევ საკმაოდ ენერგიულად აფერხებენ აღორძინების პროცესს. წელმოწყვეტილ „ნაციონალს“ ახლაც უხსენებელივით დაუღია პირი ქართველი ერის დასაკბენად, რომელსაც ასე თავაწყვეტილად იცავს ევროატლანტიკური დემოკრატიის ნიღაბაფარებული ნაგავი.**

როცა აირევა ცხოვრება, იმრავლებს მუხთლობა და კუჭის კარნახს აყოლილთა მომხვეჭელობა დატბორავს ნორმალური არსებობის მდელოს, მაშინ თვითონ ერის არსებობას შეექმნება საფრთხე, როგორც დასუსტებულ სკაში მამალი ფუტკრების გამრავლებაა. თუ მუშა ფუტკრებს იმხელა ძალა და ერთობის უნარი შერჩათ, რომ ოჯახის გადარჩენისთვის იბრძოლონ, ფუქსავატ ფუტკრებს სულ ერთიანად გამოყრიან სკიდან, კვლავ გაამრავლებენ ოჯახს და ბარაქას, თუ არადა, მოკვდება სკა მათი გამომხვრელი მუქთამჭამელებიანად. ამიტომაა ადამიანის გენში, ჯიშსა და ჯილაგში ასე ღრმად გამჯდარი სიყვარული მშობელი ერისა, რამეთუ ამაზეა დამოკიდებული არსებობა სასიკეთოსი, რამაც იგი შობა და გაზარდა.

ავისა და კარგის გამკითხავი რიგში ჩამდგარი მომავალია, რომელიც ისეთი მსაჯული იქნება, როგორი აღმზრდელის ჩვევებიც გამოუმუშავდება; ამიტომაა საჭირო უდიდესი სიფხიზლე, რათა დღევანდელობამ ისეთი კეთილშობილებით კვებოს მომავალი, ისე გააჯანსაღოს და აწრთოს, რომ მისი სიკეთისა და სიყვარულის მიერ გასხივოსნებული ლაღი ამქვეყნიურობა ვერ დაამახინჯოს და წუთისოფელი ჯოჯოხეთად ვერ უქციოს უკუღმართთა ტვინის ბოდვამ.

**დიდი — პატარას, ძლიერი სუსტს რომ ჩაგრავს, ძარცვავს, იმორჩილებს და ბოლოს სპობს, ადამიანს ოდითგან ისე ღრმად აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ვერავითარი ცივილიზაციის ვაქცინა ვერ კურნავს, პირიქით, რაც უფრო ვითარდება, იხვეწება და თანამედროვეობის შესაბამისად იცვლის კანს, შინაარსით იგივე მტაცებელი რჩება. ასე ცივილიზებულად, თურმე, ამერიკელთა სტრატეგიული პარტნიორები ვართ და უპატრონობით დაბნეული დეკეულივით მივდევთ ამერიკა-ნატოს ფორანს, რომელთა ნაკვალევზე გმინავს გაპუტული ლივია, ბორგავენ სისხლში-**

►



> **ანტიდისკრიმინაციური კანონის მიღებით უკვე თავი ავხადეთ ამ პანდორას სკივრს, რომლიდანაც უკვე ერთსქესიანთა ქორწინება ემზადება ამოსაფრენად, შემდეგში კი ინცესტი გაისწორებს ფრთებს, ეს უმაღლესი დონის გარყვნილება, რომელსაც საქონელი, მხეცი და ნადირი არ კადრულობს; სისხლის აღრევა დედას, შვილს, მამას, დას, ძმას, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის, მოკლედ, სათქმელადაც საშინლად ამაზრზენია**

მსოფლიო




## ებოლას ვირუსით გარდაცვლილთა რაოდენობამ 2296-ს მიაღწია

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ებოლას სასიკვდილო ვირუსით დაღუპულთა რაოდენობამ 2296-ს მიაღწია, სულ კი ციებ-ცხელების ვირუსით 4293 ადამიანია ინფიცირებული.** გასულ კვირას ებოლას ჰემორაგიული ციებ-ცხელების მსხვერპლთა რაოდენობა 199-ით ნაკლები იყო — 2097 ადამიანი, ინფიცირებულთა რაოდენობა კი 3944-ს შეადგენდა. ლაპარაკია გამოვლენილ შემთხვევებზე გვინეაში, ლიბერიასა და სიერა-ლეონეში. ებოლას ვირუსი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში სიკვდილს იწვევს, სწრაფად ვრცელდება დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე.



# ეშტონი, ფულე, ორბანი, ვოლსკი, ბილდტი, დმიტროვი და მრავალი მათი მსგავსნი ვერ გრძნობენ, რომ დემოკრატიულობის სავარძელი ხალხის მძარცველი, ნეოფაშისტური ბანდისადმი მხარდაჭერით ეგოიზმის, მიკერძოებისა და კორუფციის სუნით აუმყრალდებათ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀უშრობი ერაყი, ავღანეთი, სირია და ახლა მათ მიერ აწეწილი უკრაინა.

**რა გინდა, შვილოსა, ვის კუბოში წვები, მგლისა და კრავის სტრატეგიული პარტნიორობა ვის გაუგია?! რაც მაგ მეგობრების დუდუკზე როკავ, ცხვარ-ძროხა გაგიმრავლდა, ფაბრიკა-ქარხნები თუ ოჯახში შვილები და ბარაქა?** იმის უნარი მაინც დაიტოვე, რომ გაარკვიო, რანი ვიყავით და ახლა რანი ვართ. იმპერია იყო და რუსეთი გჩაგრავდა, რა დააშავა უფასო მკურნალობამ, უფასო სწავლამ, უფასო ბინების მიღებამ? ეს ყველაფერი იმ „ძირს იმპერიას“ რომ გადააბარე, შენთვის რა დაიტოვე? წვრილმან ქარხნებზე რომ აღარ შევჩერდეთ, გვქონდა ელმავალმშენებელი, ჩარხმშენებელი, ავტომშენებელი, მეტალურგიული, საავიაციო, ქიმიური, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა, რადიოს და ტელევიზორის ქარხნები; საკუთარი საზღვაო ფლოტი, რა იქნა? იმპერიამ წაიღო? ან, თუ გაიხსენებ, შენმა ევროპელმა მეგობრებმა რომელიმე ჩვენსავით ევროპელობაშეყრილს მეტალურგიული ან ელმავალმშენებელი ქარხანა აუშენა: აჰა, შვილო, იცხოვრე და სიკეთეში მოიხმარეო? **გარევროპელებად ისეთ პირობებს გვიყენებენ, თუ გადავრჩით, ალბათ, გავფრთხებით და ქვეყანაც უქართველებოდ გაევროპელდება.**

არსებობისთვის ბრძოლა გრძელდება და ძლიერიც სუსტს თანამედროვე მეთოდებით უსწორდება. ზოგჯერ ქვეყანას ისეთი დაავადება უჩნდება, რომ საუკუნით ან რამდენიმე ათეული წლით უკან გადაისვრის და შემდეგ მატარებელს ჩამორჩენილი მგზავრივით მიჩანჩალებს დიდი ხნის წინ გავლილი, უკვე ეკალ-ბარდით დაფარული გზით.

ასეთ დღეშია პატარა, მაგრამ შემოქმედებითი ენერგიით მძლავრი ქართველი ერი, მამალი ფუტკრებივით რომ მოუმრავლდნენ უცხოეთის მიერ ზომბირებული, საკუთარი ნაჭუჭის მოპირკეთების უძღები შვილები და ქვეყანას დაკნინება-დაშლის უფსკრულისკენ მიაქანებენ, მაგრამ თვითგადარჩენის ენერგია რომ არ დაშრეტია, „ნაციონალთა“ პარპაშის დაფერთხვით დაამტკიცა.

**„ნაციონალური მოძრაობა“— ეს უბედურება ისეა ჩაბღაუჭებული ტკიპასავით ქვეყნის ორგანიზმს, რომ ერთი დარტყმით მოცილება შეუძლებელი შეიქნა იმ პირობებში, როდესაც მათი უცხოელი მფარველები ცრუ დემოკრატიულობის პოზიციებიდან ენერგიულად უღრენენ ქვეყნის გამოჯანმრთელებისთვის მებრძოლთ. ეშტონი, ფულე, ორბანი, ვოლსკი, ბილდტი, დმიტროვი და მრავალი მათი მსგავსნი ვერ გრძნობენ, რომ დემოკრატიულობის სავარძელი ხალხის მძარცველი, ნეოფაშისტური ბანდისადმი მხარდაჭერით ეგოიზმის, მიკერძოებისა და კორუფციის სუნით აუმყრალდებათ.** ახლა უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენს ევროატლანტიკურ პატრონებს ქვეყნის მმართველებად მართალი, ეროვნული, პრინციპული, დემოკრატიული დამცველი ხელისუფლება კი არა, ლაქია, გამათხოვრებული, კუდქიცინა არსებანი სჭირდებათ, რომელთაც ქვეყნის დაკნინება, დაქუცმაცება, გაყიდვა და ამოგდება ხელეწიფებათ.

**თურმე „ნაციონალების“ დამსახურებისამებრ დასჯის მცდელობა ჩვენს გაევროპელებას საეჭვოს გახდის. ასე თავხედურად პატარა ბავშვსაც კი არ ემუქრებიან, საჩუქარს არ მოგცემო.**

ქართული გენის სიამაყით აყივლება იყო ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცე პასუხი „ნაციონალთა“ გულშემატკივარ უცხოელთა მუქარისადმი. გამწარებულებმა კვლავ გამოჩხრიკეს ადრე გამოყენებული ბრალდება დინების საწინააღმდეგოდ მოცურავის შესახებ. ქვეყანას უფსკრულისკენ ექაჩებოდნენ მათი რჩეული „ნაციონალები“, ახლა ამ სახიფათო დინებიდან გამოყვანა, მათი გაგებით, ბრალდებაა? ამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვაა სწორედ ის, რაც მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებს შეუძლიათ.

## «ნაციონალური მოძრაობა» — ეს უბედურება ისეა ჩაბღაუჭებული ტკიპასავით ქვეყნის ორგანიზმს, რომ ერთი დარტყმით მოცილება შეუძლებელი შეიქნა იმ პირობებში, როდესაც მათი უცხოელი მფარველები ცრუ დემოკრატიულობის პოზიციებიდან ენერგიულად უღრენენ ქვეყნის გამოჯანმრთელებისთვის მებრძოლთ




ახლა დასავლეთელი ბრძენკაცები გვარიგებენ, ადრე რაც მოხდა, თავი დაანებეთ და წინ იყურეთო. ამან მაღაზის გამყიდველი გამახსენა, მყიდველს რომ უქებდა, კარგი და საუკეთესოაო. დახეული, გაცვეთილი, გახუნებული და ძველია, შეედავა მყიდველი. შენც, სადაც ახალი და სუფთაა, იქ უყურეო, — ურჩია გამყიდველმა. ნუთუ ისეთი გულუბრყვილოები ვართ, რომ ამგვარი რჩევით კვლავ შემოგვასაღონ უამრავი ცოდვით, ღალატითა და ბოროტებით გასვრილი „ნაციონალური“ ჭირი?

ჯერ კოჰაბიტაციით შეაჩეჩეს ხის ხმალი ახალი ხელისუფლების მართლმსაჯულებას; კუბლაშვილის ცალ კარში მოთამაშე სასამართლოს ხომ ვერაფრით მოარგეს მეორე კარი. მედროვე მოსამართლე — რაუფ რაშიდ აბდულ რახმანმაც ამერიკელთა საამებლად სადამ ჰუსეინს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. 8 წლის შემდეგ კი იზეიმა სამართალმა და რახმანი ერაყელმა პატრიოტებმა ჩამოახრჩეს. რამდენ ასეთ აბდულ რახმანს ჰპიდია „ნაციონალთა“ შეკვეთით გამოტანილი ცოდვა. ძალიანაც ნუ ექნებათ ხის ხმლის იმედი. სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემით ქართულმა მართლმსაჯულებამ, მგონი, თემიდას ბასრი მახვილი აიღო ხელში და უცხოელთა ვერავითარი მუქარა ვეღარ იხსნით მკაცრი განაჩენისგან.

ამიტომაა, რომ **სააკაშვილი სახლიდან გაგდებული წუნკალი ძაღლივით კუდამოძუებული გაბოროტებით წკავწკავებს. კარგად იცის, რომ ამერიკელების ყველა ყოფილი ძაღლიშვილის მსგავსი ბედი არ ასცდება.**

ჯერჯერობით კი ენერგიულად მიმდინარეობს „ნაციონალების“ ჭუჭყისგან გახეხვის მცდელობა, ტელეგადაცემები დატბორილია „ნაციონალების“ გამოსვლებითა და მიმდინარე საკითხებისადმი მათებრი სიცრუით გაჟღენთილი კომენტარებით.

**იმის მაგიერ, რომ სადმე ბნელ კუთხეში შეიყუჟონ და ხმა გაკმინდონ, თავიანთი უხამსი და ურცხვი ყბედობით ხალხს ტელევიზია შეაძულეს, რადგან განუწყვეტლივ ეწყობა პინგპონგის თამაშად გადაქცეული „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან პაექრობანი.**

რატომ არავინაა „ნაციონალთა“ ხროვისთვის ლაგამის ამომდები? იმის ბრალი ხომ არ არის, რომ, მიუხედავად „ქართული ოცნებისადმი“ ხალხის დიდი ნდობისა, კოალიციაში ზოგი მყრალი ჭაობის ბინადრის ხმაზე აყიყინდა?!

არჩევნებისას თაფლად და შაქრად დამდნარი კანდიდატები არჩევის შემდეგ განდიდების ილუზიის ბურუსში თავს კარგავენ; ავიწყდებათ, ხალხის საკეთილდღეოდ სამსახურის უპირველესი მოვალეობა.

**„ქართული ოცნების“ კოალიციის შექმნა და ქვეყნის დამაქცევარ „ნაციონალებზე“ გამარჯვებაც ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რადგან კოალიციის ზოგიერთ წევრს ნულოვანი რეიტინგი ჰქონდა.**

ფიცისა და შეპირებულის შესრულება მტერსაც და მოყვარესაც ამშვენებს; ღალატსა და ორპირობას კი ფუმფლოს ავტორიტეტი ახლავს.

ბიძინა ივანიშვილმა დიდი ნდობა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ გაწეული საქმიანობით მოიპოვა. მან შესთავაზა ამომრჩევლებს პრეზიდენტობის კანდიდატად მარგველაშვილი, რომელსაც ბიძინას ფრთების გარეშე აფრენა არ ეწერა. მარგველაშვილმა ისიც კარგად იცოდა, რომ საძულველი პრეზიდენტის რეზიდენცია უნდა გაუქმებულიყო და შენობას სხვა ფუნქცია დაკისრებოდა, ბიძინას გვერდით დგომა კი გამარჯვების ტოლფასი იყო; ამიტომ მოგვევლინა პლასტელინის კაცად. **აირჩიეს პრეზიდენტად, გადაბარგდა ამ საძულველ შენობაში და ახლა იქცა ქვის ნატეხად? ის კი ნუ დაავიწყდება, რომ ხალხის არაფრად ჩაგდებას მისი ნდობის დაკარგვა მოჰყვება.**

**არანაკლებ გაოგნებას იწვევს პარლამენტის შენობად წოდებულ, დაუმთავრებელ-დაუგეგმავ, ცოდვით დასვრილ უბედურებაში პარლამენტარების დღემდე ფუსფუსი „ნაციონალების“ მიერ ქვეყნის დაქცევა-დაქუცმაცების მიზნით კონსტიტუციაში შეტანილი მუხლის გამო.**

ალექსანდრე მაკედონელს გორდიას კვანძი მახვილით რომ არ გადაეჭრა, ალბათ, დღემდე ვერ გამოხსნიდა. ქართული ნათქვამია, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო. შეეშვით მაგ კანონით ჟონგლიორობას და ქართველ ხალხს მოთმინების გამოცდას ნუ უტარებთ; არ დაივიწყოთ, რომ დაუნდობელი დრო მუდმივად არავის ანებივრებს და, პირველ რიგში, მედროვეთა კვალს შლის, რა სიმაღლის ქანდარაზე ნაჯდოhმიც უნდა იყვნენ. დრო მედროვეთა რისხვაა, მაგრამ უძლურია, ჭეშმარიტი მამულიშვილის სამშობლოსა და ერისთვის თავდადებულის მიმართ, რომელთა სახელს საუკუნეთა სიმრავლე მხოლოდ სხივსა და დიდების შარავანდედს ჰმატებს.

**დღეს თუ ვინმეს ბოროტებისა და მუხთლობის ძარღვის ბორგვა არ ასვენებს, ირაკლი ღარიბაშვილს უღრენს, რამეთუ კარგად იციან, რომ იგი საქართველოს დამაქცევართათვის ავი მუსაიფია. ამიტომაც ხალხის უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით შემკობილმა, სპეტაკი ეროვნულობის და სულიერების დაცვის ურყევმა საჭეთმპყრობელმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ირაკლი ღარიბაშვილს თეთრი ცხენი აჩუქა**. ეს დიდი ნდობაა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ თავდადებით საბრძოლველად. ღმერთმა ქნას, რომ ამ ნდობის გამართლებით ქართველი ერისთვის თავდადებამ მტკიცე ქიზიყელად დაუტოვოს მისი სახელი საქართველოს ისტორიას. წინ კი დიდი განსაცდელის დღეებია გასავლელი.

**გვიტევს სიმუხთლე,**
**სიბილწე,**
**გვიცავს სიწმინდე ერისა;**
**მუშტად შევიკრათ,**
**ქართველნო,**
**არ ვათელინოთ**
**ჩვენი სხვას!**

**გივი სოხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი**

## დიდი — პატარას, ძლიერი სუსტს რომ ჩაგრავს, ძარცვავს, იმორჩილებს და ბოლოს სპობს, ადამიანს ოდითგან ისე ღრმად აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ვერავითარი ცივილიზაციის ვაქცინა ვერ კურნავს, პირიქით, რაც უფრო ვითარდება, ისვენება და თანამედროვეობის შესაბამისად იცვლის კანს, შინაარსით იგივე მტაცებელი რჩება. ასე ცივილიზებულად, თურმე, ამერიკელთა სტრატეგიული პარტნიორები ვართ და უპატრონობით დაბნეული დეკეულივით მივდევთ ამერიკა-ნატოს ფორანს, რომელთა ნაკვალევზე გმინავს გაპარტახებული ლივია, ბორგავენ სისხლშეუშრობი ერაყი, ავღანეთი, სირია და ახლა მათ მიერ აწეწილი უკრაინა



## სტალინის ბიუსტს ახალი სიცოცხლე შთაბერა

**ნოვოსიბირსკელმა ვიქტორ დმიტრიევმა სტალინის ბიუსტს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ექსკავატორის მემანქანემ ორი წლის წინათ ადგილობრივი ქარხნის ანგარში სტალინის ბიუსტი იპოვა და, ვიდრე თავისი სახლის წინ ბეტონის ბლოკზე დადგამდა, ცოლთან ერთად მოაწესრიგა: გაწმინდა, გააპრიალა და ოქროსფერი საღებავით დაფარა.**

ახლა სტალინის ბიუსტი, რომელიც შორიდან შეგიძლიათ, შეამჩნიოთ, ადგილობრივი ღირსშესანიშნაობაა: სტალინის ძეგლთან ფოტოებს იღებენ, შეყვარებულები პაემანს ნიშნავენ, ხანში შესულებს კი თაიგულები მიაქვთ.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ საკვები საღებავების დიდი ნაწილი ბუნებრივი ნედლეულისგან მიიღება, მათი უმეტესობა ორგანიზმისთვის მავნებელია.**

# ყველაფერი საკვები დანამატების შესახებ

**ფაქტობრივად, შეუძლებელია მაღაზიებში ისეთი საკვები პროდუქტების მოძებნა, რომელთა შემადგენლობაშიც არ შედის ავადსახსენებელი დანამატები —კონსერვანტები, საღებავები, ემულგატორები, დამატკბობლები. რამდენიმე ათწლეულია, მათ ფართოდ იყენებენ კვების მრეწველობაში და მომხმარებელსაც ხშირად აფრთხილებენ მათი მავნეობის შესახებ. სიტუაციაში საფუძვლიანად გარკვევა და მეტ-ნაკლებად უსაფრთხო პროდუქტების შერჩევა არც თუ ისე იოლი საქმეა.**







საკვებში ისეთ დანამატებს, როგორიცაა რძის მჟავა, მარილი, ლიმონმჟავა, სოდა და სხვა მსგავსი ნივთიერებებია, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყენებენ. დანამატების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური თემა გახდა მე-20 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც კვების მრეწველობამ დიდი ტემპით დაიწყო განვითარება და მაღაზიათა დახლებზე ჩვენთვის კარგად ნაცნობი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი გამოჩნდა. მწარმოებელთა წინაშე დადგა ამოცანა, საკუთარი ნაწარმი სხვადასხვა ქვეყანაში ისე გაეტანათ, რომ პროდუქტს არ შეცვლოდა გემო, ფორმა და ხარისხი. სწორედ ეს ფუნქცია დაეკისრა საკვებ დანამატებს.

საქმის გასამარტივებლად 1953 წელს ევროპაში შემოიღეს საკვები დანამატების კლასიფიკაცია — საღებავები, კონსერვანტები, ემულგატორები და სხვ. თითეულს მიენიჭა თავისი უნიკალური ნომერი, თუმცა ყველა მათგანი იწყება E-თი, რაც ევროპის აღმნიშვნელია. ამ ინდექსის შემდეგ მიწერილი სამნიშნა კოდი განსაზღვრავს კატეგორიას, რომელსაც დანამატი მიეკუთვნება:

**E-100-199 — საღებავები**
**E-200-299 — კონსერვანტები**
**E-300-399 — დამჟავების საწინააღმდეგო**
**E-400-499 — სტაბილიზატორები, ემულგატორები**
**E-600-699 — გემოსა და არომატის გამაძლიერებლები**
**E-900-999 — ქაფის წარმოქმნის საწინააღმდეგო და სხვ.**

ემულგატორების დამსახურებაა, წყლისა და ზეთის შერევა შესაძლებელი რომ ხდება, რომლის შედეგადაც ემულსიის მსგავსი კონსისტენციის პროდუქტი წარმოიქმნება. ბუნებრივი ემულგატორია კვერცხის გული.

ემულგატორებიდან საკვებში უმეტესად შეხვდებით ლეციტინს (სწორედ მისი ჭარბი შემცველობა სძენს კვერცხის გულს მაემულსირებელ თვისებას). ლეციტინი, აგრეთვე, მოიპოვება სოიასა და შირბახტში (სეზამის მარცვლებში). სწორედ სოიას ლეციტინის დამსახურებაა, რომ შოკოლადი ერთგვაროვან მყარ მასად იქცევა და შემადგენელ ნაწილებად არ იშლება.

შედარებით იშვიათად შევხვდებით ქსანტინს, რომელიც, გარდა ზემოხსენებული მიზნისა, გამოიყენება, როგორც შემადედებელი ნივთიერება და დაბალკალორიული ცხიმოვანი დანამატი.

ნებისმიერი საკვები დანამატი, ვიდრე პროდუქტში მოხვდებოდეს, სერიოზულად უნდა შემოწმდეს სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების გაერთიანებული კომიტეტის ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში, რათა ორგანიზამისთვის მათი უსაფრთხოება დადგინდეს.

**საერთაშორისო კლასიფიკატორების აზრით, სიმსივნის გამომწვევ ემულგატორებად ყველა განვითარებულ ქვეყანაში ითვლება და შესაბამისად მკაცრად იკრძალება შემდეგი ემულგატორებით დამზადებული საკვები: E-131, 142, 153; 211; 212; 213; 215; 216; 219; 230, 240; 249; 280; 281; 954.**

**კუჭ-ნაწლავის დაავადებისა და ალერგიის გამომწვევი ემულგატორებია: E-154; 338; 340; 341; 343; 450; 451; 452; 461; 462; 463; 465; 466; 629; 630; 631; 632; 633; 634; 635.**

**კუჭ-ნაწლავის დაავადებების გამომწვევ და წნევის ამწევ ემულგატორებად ითვლება: E-120; 250; 300; 450; 621.**

**განსაკუთრებით საშიში ემულგატორების სიაში შედის: E-510; 513; 527.**

**საეჭვო დანამატების კლასიფიკაცია აქვს მინიჭებული შემდეგ ემულგატორებს: E-104; 122; 141; 150; 171; 173; 477.**

**კვების ტექნოლოგებმა, ქომიკოსებმა და ბიოლოგებმა ყველა ქვეყანაში მიაღწიეს იმას, რომ მათ ხელისუფლებებს მკაცრად აეკრძალათ ამ ემულგატორების გამოყენებით საკვების დამზადება ან მისი შეტანა.**

**მიუხედავად იმისა, რომ საკვები საღებავების დიდი ნაწილი ბუნებრივი ნედლეულისგან მიიღება, მათი უმეტესობა ორგანიზმისთვის მავნებელია.** ეს საკვებდანამატები ხშირად ბუნებრივი ვიტამინის, ანტიოქსიდანტის ან სხვა ნივთიერების ანალოგია და, ერთი შეხედვით, არამცთუ უვნებელი, სასარგებლოც კი უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერ ნივთიერებას, ვიტამინი იქნება ეს თუ სხვა, აქვს მაქსიმალური დღიური დოზა, რომლის გადაჭარბებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად ავნოს ორგანიზმს. **პროდუქტი, რომლის ეტიკეტზეც არ არის მითითებული ასეთი ნივთიერებების შემცველობა და რომელსაც ბავშვები დიდი ოდენობით მოიხმარენ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.**

მაგალითად, წვენები ნებისმიერი შეფუთვით — ქაღალდის პაკეტი იქნება ეს, პოლიეთილენის, მინის ქილა თუ სხვა, როგორც წესი, შეიცავს რომელიმე საკვებდანამატს. თუნდაც ეს დანამატი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ იყოს მიჩნეული, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი კონცენტრაციის განსაზღვრა და, შესაბამისად, იმის განსაზღვრაც, თუ რამდენად უსაფრთხოა ის ორგანიზმისთვის.

**პროდუქტი, რომლის ეტიკეტზეც არ არის მითითებული ასეთი ნივთიერებების შემცველობა და რომელსაც ბავშვები დიდი ოდენობით მოიხმარენ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას**



ნაყინი მარტო რძე და წყალი როდია. არც მადისაღმძვრელად შეზავებული ძეხვია მხოლოდ ხორცი და სანელებლები. ერთი სიტყვით, ნებისმიერი საკვები, რომელიც სუპერმარკეტის დახლზეა და ამა თუ იმ წარწერიანი ეტიკეტი აკრავს, გაცილებით მეტი ინგრედიენტის შემცველია, ვიდრე ერთი შეხედვით (და გასინჯვით) ჩანს.

ეტიკეტზეა ჩამოწერილი ინგრედიენტები, რომელთა ნუსხა ზოგჯერ საკმაოდ გრძელია.

ბევრი ადამიანი შაქრის შემცველ პროდუქტს ერიდება. სწორედ მათ გასაგონად უნდა აღინიშნოს: შესაძლოა, ეს უტკბესი ნივთიერება სურსათის შემადგენლობაში სხვა სახელით იმალებოდეს. ასე, მაგალითად: დასატკბობად პროდუქტს ამატებენ გლუკოზას, ფრუქტოზას, ლაქტოზას, მალტოზას, სუკრაზიტს, სიმინდის სიროფს, თაფლს, ხილის წვენის კონცენტრატს, ლერწმის შაქარს. შესაძლოა, ისინი განსხვავებული მექანიზმით აღწევდნენ ორგანიზმის უჯრედებამდე, ვიდრე სუფთა შაქარი (ამიტომაც მათ ხშირად ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას გვირჩევენ ექიმები), მაგრამ ენერგეტიკული ღირებულებით მას დიდად არ ჩამოუვარდებიან. ხელოვნური დამატკბობლების (ე.წ. შაქრის შემცვლელების) უმეტესობის თითო კოვზის ენერგოღირებულება 16 კალორიას უტოლდება, ხოლო შაქრისა — 18-20-ს.




შაქრის შემცვლელებს შორის გვხვდება უცნაური სახელწოდების ნივთიერებები. მათგან ყველაზე ხშირად ასპარტამსა (Aspartame) და სორბიტოლს (Sorbitol) შეხვდებით, რომლებიც აგრეთვე შაქრის დაბალკალორიულ ანალოგებად მოიაზრება. პირველს უმეტესად მენთოლის შემცველ საწუწნ აბებს, გაზიან სასმელებს, ბურღულეულსა და იოგურტს ამატებენ.

რას შეეხება სორბიტოლს (ის შაქარზე ერთი მესამედით ნაკლებად კალორიულია — მისი ერთი ჩაის კოვზი 13-მდე კალორიას შეიცავს). შაქრიანი დიაბეტის მქონე პირებს სწორედ მას ურჩევენ, ვინაიდან, შაქრისგან განსხვავებით, ნელა შეიწოვება და, შესაბამისად, სისხლში გლუკოზის შემცველობას უმალვე არ ზრდის. სორბიტოლს უმატებენ „უშაქრო“ ნამცხვრებს, საღეჭ რეზინებსა და გაყინულ ჩაროზს.

**კონსერვანტები, იგივე დამცავი ნივთიერებები (Preservatives) ხელს უშლის საკვებში მავნე ბაქტერიების გამრავლებას და, შესაბამისად, პროდუქტის დაძველებას.** ყველაზე ხშირად ეტიკეტზე **ბეტა-ჰიდროქსი-ტოლუოლის** (Beta-Hydroxy-Toluene — BHT) სახელწოდებას ამოიკითხავთ. მას, გარდა კონსერვაციის უნარისა, აქვს ანტიოქსიდანტური თვისებაც, რაც მეტად ეფექტურად იცავს პროდუქტს გახრწნისგან. BHT-ს უმეტესად ზეთისა და ცხიმშემცველ საკვებს, ბურღულეულს ამატებენ.

კიდევ ერთი პოპულარული კონსერვანტია სორბიტის მჟავა (Sorbic acid), რომელსაც უპირატესად ყველს ამატებენ, ვინაიდან სასარგებლო მიკროორგანიზმების მომრავლებას ხელს არ უშლის, ხოლო სოკოს სპორების გამრავლებას აფერხებს. სორბიტის მჟავათი აჯერებენ ფერმენტშემცველ პროდუქტს, მაგალითად, ღვინოსა და საფუარით მდიდარ პურს.

სხვა დანამატებიდან აღსანიშნავია სტაბილიზატორები, რომლებიც საკვებს დაშლისგან იცავს (Stabilizers); მოდიფიცირების უნარის მქონე სახამებელი (Modified starch); მჟავიანობის მარეგულირებელი საშუალებები (Acid regulators); გემოს გამაძლიერებლები (Flavor enhancers), რომლებიც საკვებს მკვეთრ გემოს სძენს.

**სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობა 12%-ით დამოკიდებულია ჯანმრთელობის დაცვაზე, 18%-ით — გენეტიკურ მემკვიდრეობაზე და მთელი 70%-ით — ცხოვრების სტილზე, რაშიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს კვება ასრულებს.**

საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, რომ თანამედროვე ადამიანის რაციონში 600-ზე მეტი სხვადასხვა ნივთი- ▶



## უცნაური კოლგოტები

შემოდგომის სეზონთან ერთად კოლჰოტი, გეტრები და წინდები აქტუალური ხდება. კრეატულად მოაზროვნე დიზაინერებმა მონდომება არ დაიშურეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მომხმარებელს ცივი სეზონი ხალისიანად გაატარებინონ. ყველაზე უცნაურ კოლჰოტს ფეხზე ჩაცმის შემდეგ ლამის ყველა სისხლძარღვი და კაპილარი „ემჩნევა“.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ერება (ნუტრიენტი) უნდა შედიოდეს. სამწუხაროდ, საკვები ნივთიერებების დაბალანსებული რაციონის უზრუნველყოფა დღეს ყველას არ შეუძლია და ამის გამო გახდა აქტუალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატები ან საკვები დანამატები. საუბარია ნატურალური ნივთიერებების კონცენტრატებზე, რომლებიც მიღებულია ცხოველური, მინერალური, მცენარეული წარმოშობის საკვები მასალისგან ან ბუნებრივი ანალოგების იდენტური ნივთიერებების ქიმიური სინთეზის შედეგად.

ბიოლოგიურად აქტიური დანამატების უმრავლესობას, განსაზღვრული რაოდენობით, პროპორციითა და შეხამებით მიღების შემთხვევაში, სამკურნალო ეფექტი აქვს. მედიკამენტებისგან ისინი იმით განსხვავებიან, რომ ორგანიზმის მთლიანობაში მწყობრში მოყვანას უწყობენ ხელს და ამა თუ იმ დაავადების განვითარების გამომწვევ დარღვევებს ებრძვის.

ბიოლოგიურად აქტიური დანამატები მუშაობს არა ორგანიზმის რეგულირების სისტემების ნაცვლად, არამედ, უბრალოდ, ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებების დეფიციტს ან სიჭარბეს აღმოფხვრის. მათი მიღება ხელს უწყობს ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობის თანმიმდევრულ აღდგენას მისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ნაკლებია დამანგრეველი უკუჩვენებები, რომლებიც მედიკამენტების დიდ ნაწილს ახასიათებს.

ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები გამოდის წამლების, ბალზამის, ექსტრაქტის, ნაყენის, კრემის, მშრალი და სითხოვანი კონცენტრატის, სიროფის, აბების, ფხვნილების სახით, ასევე, ისინი შედის სრულიად უბრალო პროდუქტებშიც – იოგურტით დაწყებული, ძეხვით დამთავრებული. მსოფლიოში არსებობს 500-ზე მეტი საკვები დანამატი – ყველასთვის ნაცნობი ძმრიდან მოყოლებული „ტრეტბუტილჰიდროქინონამდე“.

პროდუქტის შემადგენლობაში ბიოლოგიურად აქტიური დანამატების არსებობის ნიშანია ასო E მის შეფუთვაზე.

ხარისხიან დანამატებს ყოველთვის მოჰყვება ხარისხობრივ-რაოდენობრივი შემადგენლობის აღწერა. თუ ინსტრუქციაში მხოლოდ მასში შემავალი კომპონენტების ჩამონათვალია რაოდენობების გარეშე, ამ პროდუქტს სერიოზულად არ უნდა შეხედოთ.

ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთსა და კიდევ ბევრ სხვა სახელმწიფოში აკრძალული საკვებდანამატების სია ათობით და ასობით ელემენტს მოიცავს; ჩვენში, სამწუხაროდ, ასეთი მხოლოდ ხუთია.

არასაკმარისი საკანონმდებლო შეზღუდვის პირობებში ქართული ბაზარი უხარისხო პროდუქტითაა გაჯერებული. ვიდრე საქართველოში აკრძალული ემულგატორების სია გაიზრდება და სურსათის ხარისხზე კონტროლი დაწესდება, საკუთარი კეთილგონიერება თავდაცვის ერთადერთ საშუალებად გვრჩება.

# Smart ball — ჭკვიანი ბურთი








**კომპანია ADIDAS-მა გადაწყვიტა, გამოეშვა ჭკვიანი ბურთი. ეს სპორტული ნივთი აღჭურვილი იქნება ინტეგრირებული სენსორით, რომელიც გაზომავს დარტყმის ძალას, ბურთის ზუსტ ტრაექტორიას, ჰაერში მისი ბრუნვის სიხშირეს და, რა თქმა უნდა, ფრენის სიჩქარეს.**

ბურთი ამ მონაცემებს გადასცემს მხოლოდ ჰაერში ყოფნისას. მიწაზე გორვის დროს მონაცემების გაგზავნას იგი არ ახორციელებს. ბურთის მიერ გაგზავნილი მონაცემის ნახვას შეძლებთ Smartphone-ზე სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით. Adidas-ის განცხადებით, ჭკვიანი ბურთი ხელს შეუწყობს ფეხბურთელების მიერ ბურთის ფლობის ტექნიკის დახვეწას და დარტყმების გაუმჯობესებას. მონაცემების მიწოდება ბურთიდან ხდება Blotooth-ის ტექნოლოგიის დახმარებით. ბურთის ფასი დაახლოებით 300 დოლარია.





# აშშ-ში მსოფლიოში ყველაზე დიდი ალიგატორი დაიჭირეს

**მონადირე მენდი სტოკსმა მსოფლიოში ყვეIლაზე დიდი ალიგატორი მოკლა. მონადირესა და რეპტილიას შორის შერკინება 5 საათს გრძელდებოდა. მენდიმ ის საკუთარ ფერმაში მიიტანა. ალიგატორის თავის სიგრძე 80 სმ იყო, მთლიანი სიგრძე კი — 5 მეტრი, ის 500 კგ-ს იწონიდა.**

რეკორდი დარეგისტრირდა მონადირეთა საერთაშორისო ორგანიზაცია Safari Club International-ის წარმომადგენლების მიერ.

# მარსზე ეგვიპტური ნაგებობა აღმოაჩინეს

**ინტერნეტ-არქეოლოგებმა მარსზე გადაღებულ ფოტოზე უცნაური სკულპტურა აღმოაჩინეს. ნასას ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ფოტოები, რომელზეც ქვის ნაგებობაა ასახული. მას შუაგულში ისეთი შეღრმავება აქვს, რომ ბუნებრივად მისი წარმოქმნა თითქმის შეუძლებელია და ის ხელით უნდა იყოს გამოყვანილი.**



მარსზე არსებული მონუმენტის შესახებ ვირტუალურმა არქეოლოგმა სკოტ უორინგმა გააკეთა განცხადება. აღმოჩენა თავისთავად მოგაგონებთ ეგვიპტურ სკულპტურებს. ვირტუალური არქეოლოგები აღნიშნავენ, რომ ქვევით განლაგებულია სწორკუთხოვანი დაფა და ის აშკარად ხელითაა შექმნილი..

უცნაური მსგავსება მარსზე არსებულ მონუმენტსა და ეგვიპტურ ნაგებობებს შორის ძნელი ასახსნელია. პარალელურად ვირტუალური არქეოლოგების კიდევ ერთმა ჯგუფმა აღმოაჩინა ძვლებიც — ყოველ შემთხვევაში რობოტ „ცნობისმოყვარეობა“-ს მიერ მარსიდან დედამიწაზე გადმოცემულ ჩანაწერზე ასახულია ობიექტები, რომლებიც საოცრად წააგავს ძვლებს.

# მანქანა საჭის გარეშე

**გუგლს სიახლე აქვს — მანქანა საჭის გარეშე. მან უკვე წარადგინა მანქანა ავტოპილოტით.**

**მანქანას საერთოდ არ აქვს საჭე, სიჩქარეების გადამრთველი და პედლები. ეს არის გუგლ-იქსის ახალი ნამუშევარი და პროექტი სერგეი ბრინმა (გუგლის ერთ-ერთი დამაარსებელი) შეადგინა.** ავტომობილი იტევს ორ ადამიანს და ის იმართება მხოლოდ ბორტ-კომპიუტერის საშუალებით, რომელსაც მანქანის მართვის საჭირო ინფორმაციას აწოდებს უამრავი სენსორი. ამ ეტაპზე ეს მხოლოდ პროტოტიპია, თუმცა კომპანია გეგმავს აწარმოოს 100 მანქანა მაშტაბური ტესტირების ჩასატარებლად. სერგეი ბრინი ხაზს უსვამს, რომ ეს არის ელექტრომობილი და ის აწყობილია ბაზარზე მასიური ხელმისაწვდომი ნაწილებით. ტესტირების შემდეგ დაგეგმილია ავტოკონცერნებთან მოლაპარაკება და მანქანის მასიური წარმოება.








ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჯენიფერ ლოურენსი

23 წლის მსახიობს აქვს 2 მილიონ დოლარზე მეტი კაპიტალი, პოპულარობა, რომელიც დღითი-დღე იზრდება, და ერთი ოსკარიც უდევს სამზარეულოს თაროზე.



# ყველაზე სასურველი საპატარძლოები



## შარლოტა კაზირაგი

შარლოტა მონაკოს სამეფო ტახტის მემკვიდრეთა რიგში მეოთხე, გრეის კელის შვილიშვილი, მოდელი, ფილანტროპი და ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალია მსოფლიოში სხვადასხვა გამოცემის მიხედვით.



## მარია შარაპოვა

ჩოგბურთის დედოფალი 26 წლისაა და გათხოვილი არასოდეს ყოფილა. მისი გაცხადებული კაპიტალი დაახლოებით 80 მილიონს შეადგენს.



## პიპა მიდლტონი

მიდლტონების ოჯახის კაპიტალი დაახლოებით 50 მილიონ ფუნტს აღწევს და ამასთან, ბრიტანულ მონარქიასთან ნათესაური კავშირიც არ ფასობს ნაკლებად.



## პრინცესა ბეატრისი

იგი 25 წლისაა. რიგით მეხუთეა ბრიტანეთის სამეფო ტახტის რიგში. კაპიტალი სხვებთან შედარებით არც ისე დიდი აქვს — 5 მილიონი ფუნტი, მაგრამ ტიტულოვანი მეუღლე ნამდვილად ეყოლება მის მომავალ ქმარს.



## დელფინა არნო

ჰოლდინგ LVMH-ს დირექტორი და მულტიმილიარდერ ბერნარდ არნოს შვილი დელფინა უკვე ისეთი ახალგაზრდა აღარაა (39 წლის) და თან უკვე განქორწინებულია, მაგრამ მასზე დაქორწინებას მაინც უამრავი მამაკაცი ინატრებდა.



## ნიკი ჰილტონი

ნიკი 30 წლისაა. მისმა დამ, პერისმა იმდენი სისულელის გაკეთება მოახერხა, რომ ბაბუამ მემკვიდრეობის გარეშე დატოვა. ნიკი კი კარგი შვილიშვილი გამოდგა და ახლა მის აქტივებში 20 მილიონზე მეტი ინახება.



## ეშლი ოლსენი

ეშლი საოჯახო ფილმების ყოფილი ვარსკვლავი, ახლა კი მოდელიორი და ბრენდ Dualstar-ის თანამფლობელია. მისი ტყუპისცალი მერი კეიტი უკვე გათხოვდა საფრანგეთის ექს პრეზიდენტის ძმაზე — ოლივიე სარკოზიზე, ეშლის კი საკუთარი პრინცი ჯერ არ უპოვია.



## ვირჟინი კურტენ კლარინსი

კოსმეტიკური ბრენდის — Clarins-ის დამაარსებლის მემკვიდრე 28 წლისაა და ბედს ელოდება.



## ელიზაბეტ ვონ ტურნ ტაქსისი

ეს ქალბატონი გერმანელი პრინცესა და ჟურნალ „ვოგის“ ერთ-ერთი რედაქტორია. მისი ოჯახის კაპიტალი შეფასებულია 2.3 მილიარდ დოლარად.



## იაპონიაში ნამდვილი ბეტმენი გამოჩნდა

**ამომავალი მზის ქვეყანაში გამოჩნდა ბეტმენი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ახარებს. ქალაქ ჩიბაში ცხოვრობს 41 წლის იაპონელი, რომელიც შემდულებლად მუშაობს. სამსახურის შემდეგ ის ცნობილი სუპერგმირის შავ კოსტიუმს იცვამს, სამბორბლიან მოტოციკლზე ჯდება და ქუჩებში „პატრულირებს“.** სუპერგმირის სიტყვებით, მისი მისია არა დამნაშავეების დაჭერა, არამედ ქალაქის მცხოვრებლების გაბედნიერებაა. შემდულებელი სუპერგმირი ხალხთან ფოტოებს იღებს, ავტოგრაფებს არიგებს და ზუსტად ბეტმენივით გამოიყურება. ამასთან, ისიც ისეთივე დაბალი და ბოხი ხმით საუბრობს, როგორც კომიქსების ცნობილი გმირი, ოლონდ იაპონურად.


# ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


# 16 წელი კრუიზში



**ბრიტანელი წყვილი დაბრუნდა საზღვაო კრუიზიდან, რომელიც 16 წლის მანძილზე გრძელდებოდა. თავდაპირველად უელსელი წყვილი ერთკვირიან დასვენებას გეგმავდა, მაგრამ შემდეგ გაუჩნდა იდეა ხანგრძლივი მოგზაურობის.**

ტურისტებმა საკუთარი იახტით 51 ათასი მილი გაიარეს, ესტუმრნენ 56 ქვეყანას და გზაში საპენსიო ასაკსაც მიაღწიეს.

იმისთვის, რომ მოგზაურობა დაეფინანსებინათ, წყვილმა უელსის სახლი იჯარით გასცა. მათ უარი თქვეს სხვადასხვა სიამოვნებაზე და კვირაში მხოლოდ 217 დოლარს ხარჯავდნენ. 60 წლის ჯეინ გრინმა ისიც გაიხსენა, როგორ გადაცვალა ფიჯის კუნძულებზე ერთ ტომარა ხილში თავისი ბიუსტჰალტერი. საჭიროების შემთხვევაში, იახტას წყვილი საკუთარი ძალებით არემონტებდა.

კლაივ გრინი აცხადებს, რომ ის და მისი მეუღლე უელსში დიდხანს დარჩენას არ აპირებენ და ახალ მოგზაურობას გეგმავენ.



# სიმსუქნის პროფესიები

**კომპანია CareerBuilder JobSearch-მა ჩაატარა კვლევა და დაადგინა იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომლებიც სიმსუქნეს იწვევს.**

კვლევის ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე მეტად ზედმეტი წონისგან მასწავლებლები და ინჟინრები იტანჯებიან. მეცნიერები და ქარხნის მუშები კი პირიქით, ყველაზე ტანწერწეტები აღმოჩნდნენ.

ყველა პროფესია სპეციალისტებმა ორ ჯგუფად დაყვეს — რომლებიც იწვევენ სიმსუქნეს ან გახდომას.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 3700-მა ადამიანმა, რომელთაგან 55% მიიჩნევს, რომ ზედმეტი წონა აქვს. ამათგან 40% აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ სიმსუქნე მათ სამსახურთანაა დაკავშირებული.

ჭარბი წონის განვითარების რისკის ქვეშ არიან შემდეგი პროფესიის ადამიანები: მდივანი ან დირექტორის დამხმარე (69%), ინჟინერი (56%), მასწავლებელი (51%), იურისტი (48%).

აღსანიშნავია, რომ ბევრი დამსაქმებელი ცდილობს, იზრუნოს საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობაზე. რესპონდენტთა მესამედმა განაცხადა, რომ სპორტდარბაზის უფასო აბონემენტებს მათ დამსაქმებელი კომპანიები აძლევდნენ.



# ხე, რომელიც სხვა ხის კენწეროზე იზრდება

**ქალაქებს — გრანასა და კასორცოს შორის არის უნიკალური ხე, უფრო სწორად ხეები, რომელთაგან ერთი მეორის კენწეროზე იზრდება. ადგილობრივები მას უწოდებენ Bialbero de Casorzo, რაც ითარგმნება როგორც „ორმაგი ხე კასორცო“.**

ძირში თუთის ხეა, მის წვეროზე კი იზრდება ალუბლის ხე. არავინ იცის, როგორ მოახერხა ალუბლის ხემ ფესვების გადგმა და სიცოცხლის შენარჩუნება, მაგრამ ადგილობრივები თვლიან, რომ შეიძლება ყველაფერში დამნაშავეა ფრინველი, რომელმაც ერთხელ თუთის ხის თავზე შამოაგდო ალუბლის კურკა და კურკამ შემდეგ გაიდგა ფესვები. ფესვები ჩაიზარდა პირდაპირ თუთის ხეში და მიაღწია ნიადაგს.

სინამდვილეში „ორმაგი ხის“ უცნაურობა ის არის, რომ ხეები ძალიან დიდები არიან და არც ისე ხშირია მოვლენები, როდესაც სახეზეა პარაზიტული ზრდა. მსგავსი ანომალიები, რა თქმა უნდა, ადრეც ხდებოდა ბუნებაში, მაგრამ პარაზიტი ხეები, როგორც წესი, ძალიან პატარები არიან ხოლმე, ხოლო ალუბალი, რომელიც თუთის კენწეროზე იზრდება, პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება ნორმალური ალუბლის ხისგან.



# კაცმა ყოფილ შეყვარებულს 21 807-ჯერ დაურეკა

**ფრანგმა მამაკაცმა, რომლის ვინაობაც არ სახელდება, დაარღვია სტერეოტიპი, რომ ფრანგი კაცები თავდაჭერილები არიან — მან ყოფილ შეყვარებულს ლამის 22 000-ჯერ დაურეკა.**

სატელეფონო ზარები 10 თვის მანძილზე არ წყდებოდა, რაც ნიშნავს, რომ დღეში მამაკაცი მინიმუმ 73-ჯერ ურეკავდა ყოფილ გულისსწორს. კაცმა შეყვარებულის ბინა გაარემონტა, როდესაც ერთად იყვნენ, და დაშორების შემდეგ ფულის უკან დაბრუნება ან მინიმუმ, გაწეული შრომისა და დახარჯული დროისთვის მადლობის მიღება სურდა.

ქალმა ტელეფონის ნომერი გამოცვალა და მისი ნომერიც დაბლოკა, მაგრამ მიტოვებული სატრფო სახლისა და სამსახურის ნომერზე აგრძელებდა რეკვას.

**სასამართლო პროცესზე ქალმა მადლობა გადაუხადა მამაკაცს და მას შემდეგ ზარებიც აღარ განმეორებულა.**



# ინდოელი გოგო ძაღლს გაჰყვა ცოლად

**18 წლის მანგლი მუნდა, რომელიც აღმოსავლეთ ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს, ცოლად მაწანწალა ძაღლს გაყვა.** მაწანწალა ძაღლი ქორწილში მანქანით მოიყვანეს. ქორწინება სოფლის საბჭოს დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. სოფლის უხუცესების თქმით, ამ გზით გოhგონა თავს დააღწევს ბოროტ ძალებს, რომლებიც თითქოს არა მარტო მას, არამედ მის ოჯახსაც ემუქრება. თუკი გოგო ქორწინებაზე უარს იტყოდა, როგორც უხუცესები ამტკიცებდნენ, მამაკაცთან ქორწინებაში მას უბედურება ელოდა. გოგონა მამაკაცზე დაქორწინებას რამდენიმე თვეში შეძლებს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ინდოელი გოგო ძაღლს მიჰყვება ცოლად. ამგვარი რიტუალი ბოროტი ძალების განსადევნად ინდოეთის რამდენიმე რაიონში არსებობს.

# ძაღლმა 43 წინდა შეჭამა



**ორსაათიანი ოპერაციის შემდეგ ძაღლის მუცლიდან წინდების მთელი კოლექცია ამოიღეს. შემთხვევა აშშ-ში, ქალაქ პორტლენდში მოხდა. ადგილობრივ კლინიკაში მიიყვანეს გერმანული ნაგაზი, რომელსაც მოწამვლის სიმპტომები აღენიშნებოდა. მას შემდეგ, რაც 3 წლის ძაღლს რენტგენი გადაუღეს, ექიმები დარწმუნდნენ, რომ მუცელში უამრავი უცხო საგანი ჰქონდა.**

გაკვეთის შემდეგ ქირურგმა ცხოველს 43 ცალი წინდა ამოუღო მუცლიდან. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა — წინდების მოყვარული ძაღლი შინ გაწერეს. პატრონები კი, როგორც იქნა მიხვდნენ, სად ქრებოდა ბინიდან ყოველდღიურად ამდენი წინდა.

# «კამელინი» საერთაშორისო ოქროს ვარსკვლავის მფლობელია

**26 მაისს ნიუ იორკში, მანჰეტენის ცენტრში, სასტუმრო Marriott Maarqius-ის სამეჯლისო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია BID - BUSINESS INITIATIVI DIRECTIONS-ის (პრეზიდენტი ხოსე პრიეტო) ექსპერტთა ჯგუფის მიერ 100-ზე მეტი ქვეყნიდან შერჩეული კომპანიების სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოების ცერემონიალი. საამაყო და აღნიშვნის ღირსია ის, რომ ფარმაცევტულ კომპანია „კამელინს“ ხვდა ჯილდოდ უმაღლეს კატეგორიათა შორის ერთ-ერთი, მიენიჭა პრიზი QUALITY SUMMIT — ოქროს კატეგორია.**







პრიზი „QUALITY SUMMIT“ ენიჭება კომპანიებს, რომლებიც აკმაყოფილებენ QC 100-ის კრიტერიუმებს, რომელიც ეფუძნება კომპანიების ტექნოლოგიურ განახლებას, ეფექტური და მოქნილი საქმიანობის მოდელს, პროდუქციის ხარისხის მუდმივ ამაღლებას და სხვ.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ კომპანია „კამელინის“ დამფუძნებლები ქეთევან მაღლაკელიძე და ავთანდილ მახარობლიძე, აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი კობა გურიელიძე. ეს ჯილდო სხვადასხვა დროს ერგოთ ისეთ კორპორაციებს, როგორებიცაა კრაისლერი, ტატა, ინდიან ოილ კორპორეიშენი, კორეა ელქტრიკ ფოუერ კორპორეიშენი, რაოესი, დუბაი თაუერი, ალკოა კორპორეიშენი და სხვა უმსხვილესი კომპანიები.

ორგანიზაცია BID — BUSINESS INITIATIVI DIRECTIONS 28 წლის განმავლობაში ავრცელებს QC 100-ის ხარისხის მოდელს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, ასევე წარმოადგენს ხარისხის კულტურის გავრცელების ლიდერს მსოფლიოში. ყოველწლიურად აღნიშნულ ღონისძიებას ფართოდ აშუქებენ მედიასაშუალებები.

**კობა გურიელიძე, კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი:**

— საერთაშორისო ორგანიზაცია BID — BUSINESS INITIATIVI DIRECTIONS, წლებია, რაც აწყობს იმ კომპანიების დაჯილდოების ცერემონიალს, რომლებიც ხარისხსა და წარმოების მაღალ დონეზე არიან ორიენტირებულნი; ასევე, ითვალისწინებენ იმას, თუ რა წარმატებას აღწევ მოკლე დროში და რამდენად ინოვაციური ხარ. ოქროს ნომინაცია პრესტიჟულია და გვიხარია, რომ „კამელინი“ მისი მფლობელი გახდა. მათ გაითვალისწინეს ჩვენი კომპანიის წარმოების ხარისხი, ის ინოვაციები, რომლებითაც „კამელინი“ მუდმივად გამოირჩევა და სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში ვატარებთ.

დახურული სისტემით ხდება ნომინაციაში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა. შესაბამისად, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ეს გამარჯვება ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს „კამელინის“ სანდოობასა და მის მაღალ ხარისხზე. კომპანია „კამელინი“ გარდა იმისა, რომ ზრუნავს საკუთარი მომხმარებლის ჯანმრთელობაზე, მუდმივად ცდილობს ტექნოლოგიების განახლებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. რა თქმა უნდა, აქვე მინდა, შეგახსენოთ, რომ კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდან გამომდინარე, უმძიმეს პაციენტებში „კამელინით“ მკურნალობისას მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება. 2004 წლიდან, პრეპარატ „კამელინის“ ავტორის, ქირურგის, ბატონ ძაგული მაღლაკელიძის პირად არქივებში დაცულ უზარმაზარ პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით, დაფუძნდა თანამედროვე სტანდარტების ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“, შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი და დაიწყო პრეპარატ „კამელინის“ უნიკალური თვისებების ახლებური კვლევა. ამ დროიდან დაწყებული „კამელინმა“ უმოკლეს დროში მოიარა უცხოეთის ცნობილი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრები. „კამელინზე“ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო პრეპარატის დიდი პოტენციალი, როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. „კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინი“ 100 %-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიულია, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. „კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინის“ იმუნომოდულირებელი თვისების გამოვლენამ მისი ეფექტურობის მექანიზმის ახსნის საშუალება მოგვცა არსებითად განსხვავებული დაავადებებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ პათოგენეზში ადგილი აქვს იმუნოპათოლოგიურ ფაქტორებს. ცოტა ხნის წინათ ყირგიზეთიდან ჩამოვიდა მთავარი რადიოლოგი, რომელმაც თავისი ინიციატივით პრეპარატ „კამელინის“ ხუთივე ფორმა დაარეგისტრირა ყირგიზეთში, დაიწყო პრეპარატის ექსპორტი. ბელარუსში, ყაზახეთში, ბულგარეთში, უკრაინაში მიმდინარეობს პრეპარატის რეგისტრაციის პროცესი, უბრალოდ, ამას გარკვეული დრო სჭირდება.

მოამზადა
**მაია ცომაია**

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა. დარეკეთ:
2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი);
2-75-04-08; 599 33 10 89; 599 58 09 07;
577 73 56 51; 599 23 03 33.
კამელინი CAMELYN

## მსვლელობა ქუთაისიდან თბილისამდე რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით



**საზოგადოებრივი მოძრაობას „ახალი რეალობა“ (ლიდერი მერაბ შათირიშვილი) და მისი მხარდამჭერები რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვენ.**

მერაბ შათირიშვილი ამბობს, რომ რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს, რადგან „ოცნების“ ხელისუფლებამ მოსახლეობას მოლოდინები გაუცრუა. „ვაპროტესტებთ „ოცნების“ ხელისუფლების მუშაობას. თანამოაზრეებთან ერთად ქუთაისიდან თბილისამდე ფეხით ჩავალ, 23 სექტემბერს კი საქართველოს მთავრობის სახლის წინ ფართომასშტაბიან აქციას გავმართავთ“, — განაცხადა მერაბ შათირიშვილმა.


## გახდომა უმადობით



წლებია, ვებრძვი სიმსუქნეს. დიაბეტმა დამინგრია ჯანმრთელობა, ნერვები, გავხდი დეპრესიული, საკუთარ თავს ველარ ვიტანდი. ერთ საღამოს ტელეეთერში მოვისმინე სტუმრად მიწვეული ქალბატონის საუბარი ხალხურ მედიცინაზე. მან ყურადღება გაამახვილა თავის წიგნში — „მედეადან დღემდე“ თავმოყრილ უამრავ ხალხურ რეცეპტზე, მათ შორის კენკრაზე დამზადებულ გასახდომ ნაყენზე. მეც დავინტერესდი და დავუკავშირდი ქ-ნ ნუნუს. სწორედ მის მიერ დამზადებულმა ნაყენმა დააოკა ჩემი მადა, მომიწესრიგა ნივთიერებათა ცვლა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები, კერძოდ, საშვილოსნოს მიომა და მკერდზე კვანძი.

ალმოჩნდა, რომ ქალბატონ ნუნუს ჩემსავით უამრავი ადამიანისთვის დაუბრუნებია მოხდენილობა, სიცოცხლის ხალისი, ჯანმრთელობა და შარმი. ორი თვე ვსვი ეს საოცარი სითხე და 23კგ დავიკელი, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. მადლობა ქ-ნ ნუნუს!

პატივისცემით, ლელა შ.

**ქალბატონ ნუნუს დაუკავშირდით**
**ტელ.: 2-93-47-51; 599-25-11-58**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლის მატების სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: ალმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**


საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009